ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 75-ე წელიწადი

№084(12763) 11 აპრილი შაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

## შეფრინდება ავია ნახევარფინალში?



» 12

# დინამომ ზესტაფონი აიღო

## საჩემპიონო დუელში: ვიტ ჯორჯია VS დინამო



» 2-3

**0:4** ზესტაფონი – დინამო

**1:3** ოლიმპი – ვიტ ჯორჯია

# ფეხბურთის ფედერაცია ბანდიტებმა დაიპყრეს

ინტერვიუ მამუკა ქვარაცხელიასთან

» 4-5



### დიდი ბრძოლები გენუასა და რომში

მსოფლიო ფეხბურთი » 6-10



### აივერსონი: შეიძლება, ბოლო მატჩი...

კალათბურთი » 14



### არმსტრონგს დამცველი გამოუჩნდა

ველოსპორტი » 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

XXVII ტურის მიმოხილვა

10.04. რუსთავი. ფოლადი.
500 მაყურებელი

**ოლიმპი-ვიტ ჯორჯია**

**1:3**

0:1 რაზმაძე (11. პენალტით), 1:1 მეგრელაძე (15), 1:2 ბეჟვაია (56), 1:3 მელქაძე (75)

ოლიმპი: ალავიძე - თ. ლონლაძე, გ. ონიანი, მაჭავარიანი, აკუასაგა (78. კაკულია) - გ. სეთურიძე (66. ჩიკვილაძე), დეკანოსიძე, დობროვოლსკი, ხუბუა - გ. ნოდ. ჭელიძე, მეგრელაძე.

*სათადარიგოები: სტურუა, გ. ჩხეტიანი, გორდეზიანი*

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი - ბეჟვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე - გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, ყველაშვილი (46. ხურცილავა), გ. მელქაძე (88. მაისაშვილი) - ლიპარტია, ბერიაშვილი (46. კვარაცხელია).

*სათადარიგოები: ა. მიქაბერიძე, მგელაძე, კვალინიძე. ზაქრაძე*

გაფრთხილება: ალავიძე (11), ჯაფარიძე (62), ბეჟვაია (67), აკუასაგა (70), კვახაძე (79), ლიპარტია (88)

არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი



გია მეგრელაძის გოლი ვეტერინართა კარში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# ქარი და... თასი

2003 წელს თბილისის „დინამომ" ჩემპიონატიც მოიგო და თასიც; აი, მას მერე კი „დუბლი" ალარავის შეუსრულებია. ანუ, ერთდროულად ორ ფრონტზე ბრძოლა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. არადა, ამჟამად ისეთი სიტუაციაა, რომ საჩემპიონო მარათონში ჩართული ორივე გუნდი („ვიტ ჯორჯია" და „დინამო") თასზეც აგრძელებს ბრძოლას. ეგ კი არა, თასის ნახევარფინალში არიან გასულნი, თუმცა რამდენად პრიორიტეტული იქნება მათთვის სათასო პაექრობები, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, იმავე „ვიტ ჯორჯიამ", არა გვგონია, სამი დღის მერეც ასე იოლად მოუგოს რუსთავის „ოლიმპს". ჰო, გუშინდელი მეტოქეები სულ მალე ხომ ისევ ხვდებიან ერთმანეთს და, ჩვენი ვარაუდით, მასპინძლებს უფრო მეტი მოტივაცია უნდა ჰქონდეთ. ახლა კი გუშინდელ მატჩზეც - ქარიანი ამინდის თუ პოლიტიკური ვნებათაღელვის გამო გულშემატკივართა მცირე რაოდენობა რომ შეკრიბა. მართლაც გასაკვირი იყო ტურის ცენტრალურ შეხვედრაზე ქომაგთა სიმცირე, მით უმეტეს, რომ „ოლიმპს" ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაზეც არ ჩაუქნევია ხელი.

... მატჩამდე ორივე გუნდს საკადრო დანაკლისი ჰქონდა - **შოთა ბაბუნაშვილი** და **ირაკლი კლიმიაშვილი** არა მარტო საკუთარ გუნდებში, საერთოდ, მეოცე ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ფეხბურთელებად მიიჩნევიან. ისე, მასპინძლები უფრო მეტად დაზარალდნენ ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციის გამო - თვრამეტის ნაცვლად განაცხადში მხოლოდ თექვსმეტი ფეხბურთელი ჰყავდათ. ეგ კი არა, მეორე ტაიმში მოედანზე გუნდის დებიუტანტი, 17 წლის დავით კაკულიაც ვიხილეთ. სამაგიეროდ, „ვეტერინარებს" საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვთ და სწორედ შესვენების მერე განხორციელებულმა ორმა ცვლილებამ გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ამ იღბლიანი შეცვლების გამო თუ მოიგო „ვიტ ჯორჯიამ", არც უმაგისობა ეთქმოდა. თუმცა მანამდე ხომ პირველი ტაიმი იყო - აშკარად თანაბარ ბრძოლაში რომ წარიმართა და სახიფათო მომენტებიც, ასე თუ ისე, მაინც რომ ვნახეთ. სტუმრებმა უკვე პირველ წუთზევე შეუტიეს, თუმცა **ჯაბა ლიპარტიამ მიხეილ ალავიძეს** ვერ აჯობა. აბსოლუტურად იდენტური ტაქტიკური განლაგებით (4-4-2) მოასპარეზე მეტოქეებმა ერთმანეთს „გახსნილი" ფეხბურთი შესთავაზეს და ბურთი, როგორც წესი, მოედნის ცენტრში არც ყოვნდებოდა. მალე კი პირველი გოლიც ვიხილეთ: ლიპარტიასა და ალავიძის მორიგი „დუელი" სტუმართა ფორვარდის წაქცევით დასრულდა და ყოველივე ეს არბიტრმაც წესების დარღვევად შეაფასა! პენალტი ზუსტად გამოიყენა **ლუკა რაზმაძემ**, თუმცა საპასუხო შეტევაში **გიორგი ონიანს** ცოტა დააკლდა, რომ ანგარიში გაეთანაბრებინა - „ოლიმპის" ცენტრალური მცველის თავური დარტყმა მცირედით ასცდა სტუმართა კარს. და მაინც, „ოლიმპმა" საპასუხო გოლი მალე გაიტანა: **გიორგი მეგრელაძემ** ეშმაკურად დაარტყა საჯარიმო დარტყმა (ერთობ მახვილი კუთხიდან) და მატჩში წონასწორობაც აღადგინა. აქვე, ისიც უნდა ვთქვათ, რომ შეხვედრის პირველ ნახევარში (მეორეში - უფრო ნაკლებად) ლამის ყოველი მეორე ორთაბრძოლა ხისტი „ვარდნებით" მთავრდებოდა და რამდენჯერმე განევ-გამონევაც ვიხილეთ. ტემპი კი საკმაოდ მაღალი იყო და ტაიმის ბოლომდე მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს: ჯერ იყო სრულიად კურიოზული სიტუაცია, როცა **გიგა ბეჟვაიას** ბურთი „აეჭრა" და ძლიერი ქარის გამო, ცოტაც და, „ავტოგოლს" ვნახავდით; თუმცა გამოცდილი **გრიგოლ ბედიაშვილი** კარგად გაერკვა სიტუაციაში და ბურთი „ცხრიანიდან" მოხსნა. აი, **გიორგი ბერიაშვილმა** კი ერთობ ხელსაყრელი მომენტი გაანიავა: **გიორგი დათუნაიშვილის** ჩინებული პასის მერე „ვეტერინართა" ფორვარდმა, რატომღაც ეფექტურად მოინდომა გოლის გატანა, არადა, მარტივად რომ ეთამაშა, ბევრად მეტ სარგებელს ნახავდა.

მეორე ტაიმში, როგორც უკვე გითხარით, **რამაზ მუმლაძემ** მოედანზე ორი ახალი ფეხბურთელი შემოიყვანა. ყოველივე ამან გარკვეული გადაადგილებებიც გამოიწვია: ბეჟვაიამ ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე „აიწია", **გიორგი მელქაძეც** ცენტრში ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა, ხოლო შეტევაში ისედაც ზეაქტიურ ლიპარტიას **ვახტანგ კვარაცხელია** შეუწყვილდა. „ვეტერინარებმა" მეორე ტაიმი დამაჯერებლად ჩაატარეს, თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამაში ხელი... მასპინძლებმა შეუწყვეს! ჰო, ასეთი სუსტი „ოლიმპი" ბოლოს როდის ვნახეთ, აღარც გვახსოვს - შეტევაშიც პასიურობდნენ, შუახაზიც პირწმინდად დათმეს და დაცვაშიც აურზაური და უხეშ შეცდომას უშვებდნენ! 45 წუთისათვის მეტისმეტი ხომ არ არის? მერე, ცოტა არ იყოს, ნერვებმაც უმტყუნა ზოგიერთ ფეხბურთელს და ნამდვილად გამართლებული იყო **აკუასაგას** შეცვლაც. ჰო, „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი **ვარლამ კილასონია**, ალბათ, მიხვდა, რომ გუნდის გაბონელი ლეგიონერი ძალიან მალე წითელ ბარათს მიიღებდა...

...გოლები კი ასეთ სიტუაციებში გავიდა: მელქაძის ჯარიმას „ოლიმპის" საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, მერე კი ყველას ბეჟვაიამ დაასწრო და საკუთარი გუნდი წინ გაიყვანა. მესამე გოლი კი, ლიპარტიას დამსახურება გახლდათ: სტუმართა მოუღლელი ფორვარდი ალავიძესთან პირისპირ დარჩა (ოღონდ, მახვილი კუთხიდან) და ბურთი „ოლიმპის" კართან გაგზავნა, სადაც მელქაძეს ცარიელი კარისთვის „დამიზნება" არ გასჭირვებია...

სხვათა შორის, მესამე გოლამდე ერთობ საინტერესო ეპიზოდიც ვნახეთ: ერთწუთიან ინტერვალში ლიპარტიასა და ალავიძის მორიგი „დაუსწრებელი" დაპირისპირება მთელ შეხვედრად ღირდა! სტუმართა ფორვარდი ჯერ მარჯვენა ფლანგიდან ცდილობდა შორეულ კუთხეში ბურთის ზუსტად გაგზავნას, მერე კი - საპირისპირო ფლანგიდან; ორივეჯერ ალავიძემ იხსნა საკუთარი კარი, თორემ „ოლიმპი" უფრო დიდი ანგარიშით დამარცხდებოდა. ჰო, მართლა, ცნობისათვის: ეს იყო ამ სეზონში რუსთაველი კლუბის პირველი საშინაო მარცხი. ანდა, როგორ უნდა მოეგოთ მასპინძლებს, როცა მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი რომ ჰქვია, მხოლოდ 82-ე წუთზე შექმნეს - კვლავაც მეგრელაძის აქტიურობის შედეგად.

ისე, არავინ იცის, შესაძლოა „ოლიმპის" ფეხბურთელთა უმრავლესობა უკვე სათასო პაექრობაზე ფიქრობდა; თანაც, ზესტაფონიდანაც „დამაიმედებელი" ინფორმაცია მოდიოდა - მესამე ადგილისათვის უშუალო კონკურენტი ხომ „დინამოსთან" მარცხდებოდა. თუმცა ვარაუდებს თავი უნდა გავანებოთ; ფაქტია, რომ მასპინძლებმა ძალიან სუსტად ითამაშეს და ახლა რეაბილიტაციისათვის აუცილებლად სჭირდებათ მომდევნო მატჩში გამარჯვება. ეს მომდევნო მატჩი კი 14 აპრილს უნდა ჩატარდეს და „ოლიმპის" მეტოქე... „ვიტ ჯორჯია" იქნება!..

**გია ტუხაშვილი**



ვიტ ჯორჯია ბეჟვაიას გოლით დაწინაურდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 25 | 16 | 8 | 1 | 43-14 | 56 |
| 2. დინამო | 25 | 17 | 4 | 4 | 54-18 | 55 |
| 3. ზესტაფონი | 24 | 13 | 4 | 7 | 29-19 | 43 |
| 4. ოლიმპი | 25 | 11 | 9 | 4 | 27-16 | 42 |
| 5. სიონი | 24 | 9 | 9 | 6 | 26-20 | 36 |
| 6. მგლები | 25 | 8 | 6 | 11 | 29-31 | 30 |
| 7. ლოკომოტივი | 24 | 8 | 6 | 10 | 26-25 | 30 |
| 8. მესხეთი | 24 | 5 | 8 | 11 | 15-31 | 23 |
| 9. გაგრა | 24 | 5 | 6 | 13 | 18-38 | 21 |
| 10. სპარტაკი | 23 | 3 | 6 | 14 | 21-39 | 15 |
| 11. ბორჯომი | 24 | 2 | 6 | 16 | 18-55 | 12 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| ვაწაძე (დინამო) | 10 |
| თოდუა (მგლები) | 10 |

**დღეს**

11.04. თბილისი.
ამერი. 16:10

**გაგრა
სიონი**

Live

არბიტრი: ო. ხეცაძე;
ასისტენტები: შ. ქუხილავა, ო. მოლოდინაშვილი;
მეოთხე მსაჯი: ი. ურუშაძე
დისკვალიფიკაცია: არავინ

11.04. გორი.
ქართლი. 16:00

**სპარტაკი
ბორჯომი**

არბიტრი: მ. ურუშაძე;
ასისტენტები: ზ. ბერულავა, ა. კოკაია;
მეოთხე მსაჯი: კ. ჭაჭუა
დისკვალიფიკაცია: არავინ

**მომდევნო ტური**

**17 აპრილი, პარასკევი**

ბორჯომი-ლოკომოტივი
გაგრა-სპარტაკი

**18 აპრილი, შაბათი**

მგლები-ოლიმპი
დინამო-მესხეთი
ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი

*სიონი ისვენებს*

**14 აპრილი, სამშაბათი**

თასის 1/2 ფინალი, პირველი მატჩები

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამომ ფერო შეადნო და დაადუღა

## საფრთხობელა, რომელიც ბელურასაც ვერ დააფრთხობდა

10.04. ზესტაფონი. ცენტრალური. 2 000 მაყურებელი

**ზესტაფონი-დინამო 0:4**

0:1 ჯიუსი (39), 0:2 კოშკაძე (52), 0:3 ტომიჩი (70), 0:4 ტომიჩი (75)

ზესტაფონი: მამალაძე - ლობჟანიძე, გ. ხიდეშელი, ს. თოდუა, მაკარიანი - დაუშვილი, ბენაშვილი (58. გორგიაშვილი), ძარია (46. იონანიძე) - გ. ჭელიძე (55. ნ. კვასხვაძე), გრიგალაშვილი - ლ. მელქაძე.

სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, კაკალაძე, კვესიეშვილი, ჭანკოტაძე

დინამო: ოვონო - თომაშვილი, გ. კაშია, ნერგაძე, ხმალაძე - ტომიჩი, დილმელაშვილი, ნემსაძე, კოშკაძე (82. ლომია) - მერებაშვილი (83. სპასოევიჩი), ჯიუსი (80. აკირემი).

სათადარიგოები: ლორია, კაკუბავა, გველესიანი, ჯიშკარიანი

გაფრთხილება: ძარია (44), დაუშვილი (55), ტომიჩი (55)

არბიტრი: ლ. სილაგავა

„დინამომ" მეტოქე აკადემიურ სტილში დაამარცხა. **კახა კაჭარავას** გუნდმა არცთუ მძიმე ბრძოლაში მოიპოვა მსუყე გამარჯვება. მაღალი კონცენტრაცია და უშეცდომო თამაში - ეს საკმარისი აღმოჩნდა „ზესტაფონის" გასანადგურებლად.

**გია გეგუჩაძე** გუნდს ისეთი სტილით ათამაშებს, მის დახვეწას დროს სჭირდება. 4-3-3 განლაგება მოდურია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებისთვის ამის შესრულება რთულია. ამ განლაგების თანამედროვე ვარიანტი მოიცავს ზონების შევსებისა და ფეხბურთელთა უნივერსალიზმის ელემენტებს, რასაც „ზესტაფონი" ჯერ ვერ გვიჩვენებს. ახლა რომ ვხედავთ, ეს არის ოდენ მცდელობა მოდური, ავანტიურისტული ფეხბურთისა. ვერ გეტყვით, „ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** დროის რა კრედიტი გამოუყო გეგუჩაძეს, რომელიც ახლა ერთობ რთულ სიტუაციაშია - ყველა უნდა დააჯეროს, რომ მისი გეზი სწორია, მათ შორის, ფეხბურთელებიც და, ალბათ, საკუთარი თავიც - თავდაჯერებულობა ხომ მწვრთნელებსაც სჭირდებათ. გეგუჩაძე არ ირჩევს შუალედურ ვარიანტს, წინ იყურება, თანამედროვე გუნდის შექმნას ცდილობს და ვნახოთ, რა გამოუვა, გუშინ კი... გუშინ „ზესტაფონი" ისეთ საფრთხობელას ჰგავდა, ბელურასაც რომ ვერ დააფრთხობდა...

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, „ზესტაფონის" ფეხბურთელებმა ჯერ ფეხზე მყარად დგომა უნდა ისწავლონ და მერე 4-3-3 სქემით თამაში. ქომაგი შედეგს ითხოვს და შეუძლებელია მისი დარწმუნება მიმართულების სისწორეში, თუ გუნდს გამონათებები არ ექნება. გამონათება კი ისეთი მეტოქის წაქცევას გულისხმობს, როგორიც „დინამო" ან „ვიტ ჯორჯიაა"... სხვათა შორის, მომდევნო ტურში „ზესტაფონი" სწორედ „ვიტ ჯორჯიას" ხვდება...

ნაწვიმარი მინდორი, ბლანტერის ლეგენდარული მარში და 2 ათასამდე ქომაგი - ასე შეეგება ზესტაფონი ტურის ცენტრალურ მატჩს. მინდვრის საფარი უცხოეთიდან ჩამოიტანეს, კარგი მოედნისთვის ფული არ დაიშურეს, მაგრამ გუშინ გამოჩნდა, რომ სადრენაჟო სისტემა რიგიანი ვერ არის - ფეხბურთელებს წამდაუწუმ უსხლტებოდათ ფეხი და სასაცილოდ იშოტებოდნენ...

...ახლა უშუალოდ სათამაშო პერიპეტიებზე გადავიდეთ. **გიორგი მერებაშვილმა სევასტი თოდუას** ასწაპნა ბურთი და გადააწოდა **ალეკო კოშკაძეს**, რომელმაც კარის გასწვრივ **დონალდ ჯიუსს** ჩააწოდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბურთს ფეხი ააცილა. ამას „ზესტაფონმა" განიავებული საგოლე შანსითვე უპასუხა - **გულვერდ თომაშვილის** შეცდომის შემდეგ **შოთა გრიგალაშვილმა** ერთობ ხელსაყრელი პოზიციიდან ძალზე არაზუსტად დაარტყა.

მნიშვნელოვანი უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ყოფილა, „დინამო" თავის თამაშს თამაშობდა, „ზესტაფონიც" თავისას ცდილობდა, არ იყო აღმაფრენა და თვალისმომჭრელი ეპიზოდები. მასპინძლები სწრაფად თამაშს ლამობდნენ, რაც არ გამოსდიოდათ, „დინამო" კი რაციონალურად მოქმედებდა და, რაც მთავარია, შედეგიანადაც.

პირველი გოლი ასე გავიდა - **დავით დილმელაშვილმა** ისეთი ჩაუწოდა ჯიუსს, რომ „ზესტაფონის" ცენტრალურ მცველებს ჩაეძინათ და კამერუნელმა თავდამსხმელმა ახლოდან გადაგზავნა ბურთი ბადეში. „ზესტაფონმა" გასათანაბრებლად კი გაიწია, მაგრამ ბორძიკობდა, თამაშის გახსნასა და გაშლას ლამობდა, თუმცა მოწინააღმდეგეს იქით უხსნიდა თავისუფალ სივრცეებს. ერთ-ერთი კონტრშეტევისას კოშკაძემ ორი ზესტაფონელი მცველი გააბითურა, ძლიერად დაარტყა და **ზურაბ მამალაძემ** ბურთი მუშტებით მოიგერია.



გურამ კაშია (მარცხნივ) და ზურაბ იონანიძე

პირველ ტაიმში „ზესტაფონმა" ოდენ ორი-სამი ნორმალური კომბინაცია გაითამაშა. რომელთაგან ბოლო 45-ე წუთზე იყო - **ირაკლი ძარიამ** ოდნავ მახვილი მარცხენა კუთხიდან არაზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმისთვის გეგუჩაძემ გუნდი 4-4-2 განლაგებაზე გადააწყო - თავდასხმაში **ლევან მელქაძეს** შეცვლაზე შესული **ზურაბ იონანიძე** შეუწყვილა. ეროვნული ჩემპიონატის ლიხსიქითა ვარსკვლავმა ახალგაზრდა თანაგუნდელებს გუშინ არაერთხელ აჩვენა, როგორ უნდა შეიმაგრო ბურთი, როგორ უნდა დაფარო კორპუსით, როგორ უნდა მიიღო ბურთი, როგორ უნდა მოტრიალდე ბურთიანად - იონანიძემ კარიერის საუკეთესო წლები უკან კი მოიტოვა, მაგრამ მაინც კარგი მაგალითია იმ ახალგაზრდებისთვის, ფეხზე დგომა რომ უჭირთ. თუმცა საერთო ჯამში იონანიძემ ვერაფერი შეცვალა - „ზესტაფონი" მთელი გუნდით ჩაფლავდა.

...კოშკაძემ **გიორგი ხიდეშელთან** ზურგით მდგომ ჯიუსს გადაწოდა ბურთი, კამერუნელმა ოსტატურად ითამაშა და ცარიელ სივრცეში დააგორა, კოშკაძემ 15-ოდე მეტრი ისე გაირბინა, არავინ გამოჰკიდებია და ახლოდან გაუტანა მამალაძეს - ზესტაფონელთა დამცავმა ეშელონმა ისევ ჩაყვინთა.

ორბურთიანი უპირატესობა მორყეული „ზესტაფონის" მარცხს მოასწავებდა. „დინამოს" მალევე შეეძლო მესამე გოლის გატანა - მერებაშვილის ჩინებული პასით ჯიუსი მამალაძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ კუთხურის გარდა ვერაფერს გამორჩა.

„ზესტაფონი" რაღაცას ცდილობდა და ერთი საგოლე შანსიც შექმნა - ხიდეშელის სოლორეიდი კარგად გააგრძელა მელქაძემ, დამაგვირგვინებელი დარტყმა კი იონანიძისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ **დიდიე ოვონოსთან** კუთხე დაიმახვილა და შორეულ ძელს ააცილა.

**მერებაშვილი-კოშკაძე-ტომიჩი** და 0:3. აქედან 5 წუთში ისევ გაჩანაგდა „ზესტაფონის" დაცვა და ჩერნოგორიელმა ნახევარმცველმა დუბლიც მიითვალა. „ზესტაფონს" ერთი ბურთის გაქვითვა შეეძლო, თუმცა ამაშიც არ აღმოაჩნდა შნო - კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ხიდეშელს მიუვიდა, რომელმაც ახლო მანძილიდან მიზანი ვერ გაასწორა.

ზესტაფონელთა კრიტიკა ოდნავაც არ აკნინებს „დინამოს" წარმატებას. დინამოელთა მობილური, მახვილი და ალღოიანი თამაში გადაულახავი წინაღობა აღმოჩნდა გეგუჩაძის გუნდისთვის. ანგარიში ვინძლო ძალათა ბალანსს ზუსტად არ ასახავს, მაგრამ გუშინ „დინამო" მეტოქეს მართლაც ბევრად აღემატებოდა. ფეროელების მთავარი პრობლემა კი ალბათ ის არის, რომ ჯერაც ვერ მიაგნეს იმ კალაპოტს, ფეხბურთელების პოტენციალს ბოლომდე რომ გამოაჩენს.

გია გეგუჩაძე მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე არ მოსულა, მისმა თანაშემწე **გია ჭიაბრიშვილმა** კი ეს გვითხრა: *„მოედანზე დღეს მხოლოდ ერთი გუნდი იყო, ჩვენ ვერც ჟინი ვაჩვენეთ და ვერც სათამაშო კლასი. რაც დღეს ნახეთ, ეს ჩვენი გუნდის პოტენციალის მინიმუმიც კი არ არის და ახლა უნდა გავაანალიზოთ, რატომ მოხდა ასე, რატომ ვერ შეასრულეს ფეხბურთელებმა დავალებები".*

**კახა კაჭარავა:** *„თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველმა გოლმა მნიშვნელოვნად განაპირობა მოვლენათა შემდგომი განვითარება. „დინამომ" პირველ რიგში მონდომების, ასპროცენტიანი კონცენტრაციისა და თავდადების ხარჯზე გაიმარჯვა, რისთვისაც ფეხბურთელებს დიდ მადლობას ვუხდი".*

**დავით თავართქილაძე**
ზესტაფონი-თბილისი

# გოლები და ქულები ლოგიკურად გაიყვეს

## ლოკომოტივმა თასის ნახევარფინალისთვის გამორჩეულები დაასვენა

10.04. თბილისი. გ. მესხი. 100 მაყურებელი

**ლოკომოტივი-მგლები 1:1**

0:1 ჭედია (25. თოდუას პასით), 1:1 მოდებაძე (49. შ. კვანტალიანის პასით)

ლოკომოტივი: ლომაია - ბებუა, გუშარაშვილი, ლომიძე, ელიავა - კობიაშვილი, დიაკვნიშვილი, წულაძე (89. გ. კვანტალიანი), სარალიძე - მებალიშვილი (46. შ. კვანტალიანი), გ. მოდებაძე (65. დ. ჩაგელიშვილი).

სათადარიგოები: ბელელური, ხუმარაშვილი, ლ. ჩეგელიშვილი, კაიშაური

მგლები: სომხიშვილი - ჭითანავა, აქუბარდია, რ. ონიანი, რაქვიაშვილი - ქირია (72. მალიჩავა), ბაჯელიძე (60. ინჯგია), პ. დათუნაიშვილი, გულორდავა - გ. თოდუა (80. ხურციძე), ჭედია.

სათადარიგოები: ქალდანი, ჯოჯუა, ხუხუა, ბ. ნოზაძე

გაფრთხილება: რ. ონიანი (55), ჭედია (65), წულაძე (70)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

გუშინ ვაკეში გამართული მატჩი ორი განსხვავებული ტაიმისგან შედგებოდა - უფერული პირველი 45 წუთი უკეთესმა მეორე ნახევარმა შეცვალა. ამაზე ქვემოთ, მანამდე კი ორიოდ სიტყვით საკადრო დანაკლისზე. მოგეხსენებათ, 14 აპრილს თასის ნახევარფინალური მატჩებია. ძალზე ძნელი იქნება, „ლოკომოტივმა" მე-5 ადგილზე მყოფ „სიონს" გადაუსწროს და ადგილი გაუცვალოს. ბოლნისელები „ლოკოს" ახლა უკვე 6 ქულით უსწრებენ და თანაც, ერთი თამაშით ნაკლები აქვთ ჩატარებული. **გიორგი კიკნაძის** გუნდი თასის ნახევარფინალშია და იქ უფრო მეტი მოტივაციაც გააჩნია. „ლოკომოტივს" ნახევარფინალში პირველი დაპირისპირება თბილისის „დინამოსთან" სამშაბათს ელის. სწორედ ამიტომ იყო, მასპინძლებმა ზუგდიდელთა წინააღმდეგ გუნდის ლიდერები **კახა მახარაძე, ირაკლი ჩირიკაშვილი** და **დაჩი ფოფხაძე** რომ არ ათამაშეს. **გიორგი კახელიშვილი** კი დისკვალიფიცირებულია, ამავე მიზეზით აკლდა „მგლებს" კაპიტანი **ვალტერ გუჩუა.**

რაც შეეხება მატჩის მსვლელობას, მეტოქეებმა შეხვედრა ურთიერთდაზვერვით დაიწყეს. სასტარტო წუთებში თამაში უმთავრესად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. ორივე გუნდი შეეცადა უპირატესობის მოპოვებას, მაგრამ მათ თამაშში ბევრი წუნი იყო, შეტევებს ორგანიზებულობა აკლდა და საჯარიმოს მისადგომებთან იფუშებოდა.

ტაიმის შუაწელში ზუგდიდელებმა იძალეს. მათ მასპინძელთა შეცდომით ისარგებლეს და ანგარიშიც გახსნეს. 25-ე წუთზე გამოცდილმა **გია თოდუამ** თბილისელთა მცველების შეუთანხმებლობით ისარგებლა, გადაცემა ჩაჭრა და ჩინებული პასით მოძებნა **გიორგი ჭედია,** რომელმაც **გიორგი ლომაიას** შანსი არ დაუტოვა - 0:1. ამ გოლმა სტუმრები მადაზე მოიყვანა. „მგლები" ანგარიშის გაზრდას შეეცადა, მაგრამ დედაქალაქელები დაცვაში საიმედოდ იყვნენ და თავადაც უტევდნენ. თუმცა **ლაშა მებალიშვილისა** და **გოგა მოდებაძის** ტანდემი ვერ მარჯვობდა. ეს კარგად დაინახა „ლოკომოტივის" თავკაცობამ და შესვენების შემდეგ მოდებაძეს აქტიური **შალვა კვანტალიანი** შეაშველა. მანამდე კი, ტაიმის მიწურულს, სტუმრებს შეეძლოთ, სხვაობა უფრო სოლიდური გაეხადათ, მაგრამ მეკარე ლომაიამ იმარჯვა. მასპინძელთა კიპერი ჯერ **პაატა დათუნაიშვილის** დარტყმულს გადაეფარა, მერე კი, მცველების შეცდომისას, დროულად რომ არ დაეტოვებინა კარი, ჭედია დუბლს მიითვლიდა. ბოლო წუთზე ზუგდიდელებმა მცირე შტურმიც კი მოაწყვეს, მაგრამ დათუნაიშვილისა და **არჩილ ბაჯელიძის** მცდელობა იმავე ლომაიამ ჩაფუშა.

მეორე ტაიმი „ლოკომოტივმა" უფრო აქტიურად დაიწყო და საერთოდაც - მასპინძლებმა შესვენების მერე უკეთ ითამაშეს. კიკნაძის შეცვლამ გაამართლა - შალვა კვანტალიანმა საგრძნობლად გამოაცოცხლა თბილისელები და მათ შეტევებს სიმწვავე შემატა. 49-ე წუთზე მოდებაძემ სწორედ მისი ოსტატური პასით გაათანაბრა ანგარიში - 1:1. ორიოდე წუთში **გიორგი დიაკვნიშვილის** პასით მოდებაძე მეორე გოლის გატანასაც შეეცადა, მაგრამ მცირედით ააცილა. ათ წუთში პაატა დათუნაიშვილის გრძელ პასს სტუმართა კაპიტანი **როინ ონიანი** ვერ შესწვდა, თორემ ლომაიას კარის დაცვა ძალზე გაუჭირდებოდა. 74-ე წუთზე შეცვლაზე შესული **დავით ჩაგელიშვილის** თავური მცირედით გადაცდა **გიორგი სომხიშვილის** კარს. სამ წუთში კი ხელსაყრელ პოციზიაში მყოფ დათუნაიშვილს შეეძლო სტუმართა დაწინაურება, მაგრამ მცირედით ააცილა. 78-ე წუთზე სომხიშვილი **რევაზ წულაძის** დარტყმულს გადაეფარა. ბოლოს კი დიაკვნიშვილმა და **ირაკლი მალიჩავამ** თითო სახიფათო, მაგრამ ცოტათი უზუსტო დარტყმები გაცვალეს და არბიტრის საფინალო სასტვენმაც არ დაახანა. მეტოქეებმა გოლები და ქულები გაიყვეს და პოზიციებიც შეინარჩუნეს.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

მამუკა კვარაცხელია

# ფეხბურთის ფედერაცია

## ტოპმიოლერს უკან უნდა დავაბრუნებინოთ აქედან


მამუკა კვარაცხელია

ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა კვარაცხელიამ სფფ-ის აღმასკომის ბოლო სხდომას ჩემპიონატის ჩატარების გაზაფხული-შემოდგომის სისტემაზე გადასვლის წინადადებით მიმართა. მისი წინა თხოვნა, სკოლის ასაკის ბავშვები თამაშებზე უფასოდ დაეშვათ, აღმასკომმა ვერ (თუ არ) გადაწყვიტა. ამ და სხვა თემებზე უეფას მედიაოფიცერთან საინტერესო საუბარი გამოგვივიდა...

**- ბატონო მამუკა, თქვენ საარჩევნო პროგრამაშიც გქონდათ გაზაფხულ-შემოდგომის სისტემაზე გადასვლა. იმავეს ითხოვდით აღმასკომისგანაც. კი, მაგრამ რაღა დროს „საბჭოური“ სისტემაა?**

- ფედერაციის აღმასკომის მიმართვის ასლები, პროფლიგის აღმასკომსა და ფედერაციის ახალდანიშნულ გენერალურ მდივან რევაზ არველაძესაც მივაწოდე. აი, რას ვწერდი: ამ ჩემპიონატმა საერთოდ პირველობის ჩატარების სისტემის უვარგისობა დაგვანახვა. შემოდგომა-გაზაფხულის სისტემაზე გადასვლა დიდი შეცდომა აღმოჩნდა გეოგრაფიულად სუბტროპიკული კლიმატის სარტყელში მდებარე ქვეყნის ჩემპიონატისთვის და გთხოვთ, სფფ-ისა და პფლ-ის აღმასკომების უახლეს სხდომაზე განიხილოთ გაზაფხული-შემოდგომის სისტემაზე (დასაწყისი მარტის პირველი კვირა, დასასრული ნოემბრის ბოლო, მაქსიმუმ დეკემბრის პირველი კვირა) გადასვლის შესაძლებლობა-მეთქი... ახლა ნახეთ, როგორ ვასაბუთებდი ამ შეთავაზებას: ა) ჩემპიონატის დაწყება აგვისტოში და პირველი წრის დამთავრება დეკემბერში, ხოლო განახლება თებერვალში და ფინიში მაისში, ისედაც უხარისხო საფეხბურთო მინდვრებს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს; ბ) საქართველოში არც ერთ მინდორს არ გააჩნია ხელოვნური გათბობის სისტემა, რის გამოც პირველივე თოვლის მოსვლისთანავე ნადგურდება მწვანე საფარი, ანდაც შეუძლებელი ხდება თამაშების ჩატარება; გ) ამ სისტემის პირობებში სრულად ვერ ვიყენებთ კლიმატურად საუკეთესო თვეებს - ივნისსა და ივლისს (სიცხის პირობებში მატჩები ჩატარდება გვიან, ანდაც ხელოვნური განათების ქვეშ); დ) თებერვალსა და დეკემბერში, ისედაც მცირე ქართულ საფეხბურთო პუბლიკას, სიცივის გამო მაყურებელი კიდევ უფრო აკლდება; ე) აგვისტოში უეფას ტურნირებზე გასული ქართული კლუბები მეტოქეებს მოუმზადებლები ხვდებიან, რადგან ევროპულ კლუბებს სეზონის დაწყებამდე სრული მოსამზადებელი ციკლის გავლის საშუალება აქვთ, ჩვენი გუნდები კი ამას ნაკლებად ახერხებენ და ევროტურნირებს პირველივე წრეში ეთიშებიან.

**- რა პასუხი მიიღეთ?**

- ორიოდე გამონაკლისის გარდა, აღმასკომში ფეხბურთის არმცოდნე ხალხია და რაც არ იციან, რა უნდა ეპასუხათ? როგორც გავიგე, უთქვამთ - სად გვაქვს ამდენი დრო, ყველა შემოსული წინადადება რომ განვიხილოთო?!

**- ჩემპიონატის მატჩებზე ბავშვების უფასოდ დასწრების წინადადებაზე რა პასუხი მიიღეთ?**

- ეს აღმასკომი ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ან რაში აინტერესებთ, მივლენ პატარები ფეხბურთზე, თუ არა? პროფლიგას გადასცეს გადასაწყვეტად... გახსოვთ ჩაწყობილი თამაშების თემა? ვითომ საქმეები პროკურატურას გადაეცა და წელიწადზე მეტია, არაფერი ისმის...

**- 15 თებერვალს, როცა ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის დღე აღინიშნებოდა, ცოტა გულგატეხილი მეჩვენეთ. ხომ არ გადაიფიქრეთ ბრძოლა?**

- გულგატეხილი არა, მაგრამ დალონებული კი ვიყავი, რადგან ფედერაციის დაარსებიდან 19 წლისთავზე 50 კაციც არ შეგროვდა... არავინ იყო ფედერაციიდან, არადა, უზარმაზარ ხელფასებს იღებენ. ამ ლონისძიებას ვინ ჩივის, სამსახურშიც კი არ დადიან, თუმცა ფედერაციაში რომც ათენ-აღამონ, ცუდის გარდა, მაინც ვერაფერს გააკეთებენ... ბრძოლაზე მკითხეთ... ტაიმ-აუტი მაქვს აღებული, რა აზრი აქვს არჩევნებს, როცა ისევ ერთი ზარით გადაწყდება ყველაფერი. ჯერ ადრეა, მოვა ამის დრო... ჯერ იმას უნდა მივაღწიოთ, რომ ეს დისკრიმინაციული საარჩევნო სისტემა შეიცვალოს და ფედერაციის პრეზიდენტი 33-მა კი არა, ვთქვათ 120 ან 150-მა კაცმა აირჩიოს. ხმის უფლება უნდა ჰქონდეთ უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგის ყველა კლუბს, რეგიონულ ფედერაციებს, ბავშვთა რეგისტრირებულ სკოლებს და არამც და არამც იმ სუბიექტებს, რომლებიც ფედერაციისგან ხელფასს იღებენ.

**- ამით ძალიან ბევრ დელეგატს მიიღებთ...**

- საქართველოს ჩემპიონატის ზედა სამ ლიგაში დაახლოებით 70 გუნდი და ამდენივე რეგისტრირებული ბავშვთა სკოლაა. ამ ხალხს აქვს ყოველდღიური შეხება ქართულ ფეხბურთთან და არა ფედერაციის უვარგის აღმასკომს, ანდაც სფფ-ში ახალკაცის ნაცნობობით შეყვანილ დილეტანტებს. ამიტომაც, ქართული ფეხბურთის ბედი მასში ყოველდღიურად მომუშავე ხალხმა უნდა გადაწყვიტოს... ბულგარეთში ფედერაციის პრეზიდენტს 338 დელეგატი ირჩევს, რუმინეთში 294, შვეიცარიაში 101, უნგრეთში 102, დანიაში 145, შვედეთში 189, უკრაინაში 250, შოტლანდიაში 80, სლოვაკეთში 150, ნორვეგიაში 250 და ასე შემდეგ. პატარა ბოსნიაშიც კი ჩვენზე გაცილებით მეტი, 54 დელეგატი ჰყავთ... განა შეიძლება ქართული ფეხბურთის ბედი 33 კაცის გადასაწყვეტი გახდეს?

**- სანაკრებო ამბებზე რას გვეტყვით? თავის დროზე არც ექტორ კუპერი მოგივიდათ თვალში. როცა ყველა მის შრომისმოყვარეობაზე ლაპარაკობდა, თქვენ მას ფიასკო უწინასწარმეტყველეთ და სუსტ მწვრთნელად მოიხსენიეთ...**

- რა თქმა უნდა, სანაკრებო თვალსაზრისით სუსტი მწვრთნელია. ეს ხომ მისთვის პირველი ნაკრებია, ამ საქმეში არანაირი გამოცდილება არა აქვს. სხვა საქმეა ფულებითა თუ ვარსკვლავებით გაძეძგილი „ინტერი“ და „ვალენსია“. თუ მაგარი ხარ, აქ დამიმტკიცე, სუსტი ქვეყნის გუნდში, თორემ ცნობილი ბრაზილიური გამოთქმისა არ იყოს - პელეს, გარინჩას, დიდისა და ვავას მწვრთნელის კი არა, მხოლოდ მაისურების დარიგება უნდოდათ. ახლა გადაირია მთელი საქართველო და ეს ბუნებრივიცაა - ყველა თამაში წააგო და ბავშვიც კი აკრიტიკებს. მაშინ რატომ არ იღებდა ხმას არავინ, როცა აფერისტ კლაუს ტოპმიოლერს ვაკრიტიკებდი? ახლა ის ხალხი ყვირის ყველაზე მეტს, და მათ შორის ჟურნალისტებიც, სამი წლის წინათ რომ დამცინოდნენ - როგორ ბედავს კვარაცხელია ამხელა ტიტულოვანი მწვრთნელის გაკრიტიკებასო. ამ ხალხს, ახლა ლამის გენიოსად რომ მოაქვს თავი, ან ეშინოდა, ანდაც სუსტად ესმით ფეხბურთი. დიახ, კუპერიც უვარგისია, რადგან მშვენივრად იცოდა, სად მოდიოდა, მაგრამ ტოპმიოლერის არ იყოს, აძლევენ ამ მილიონებს და გიჟია, უარი თქვას?!

» 5

ინტერვიუ

გიორგი ჭედია

# ტორპედოში აღარ მინდა, უკეთესი მსურს

## ვინც არ უნდა იყოს, ყველასთან მოგებისთვის ვიბრძოლებთ

**სამი გოლი** ბოლო ორ მატჩში - ასეთია „მგლების“ ფორვარდ გიორგი ჭედიას მონაგარი. ამ გოლებმა ზუგდიდურ გუნდს 4 ქულა მოუტანა. გასულ თვეში „მგლებს“ უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხე ემუქრებოდა, ახლა კი მე-6 ადგილზე მყოფ „ლოკომოტივსაც“ დაეწია და გუშინ შეეძლო, გადაესწრო კიდეც უშუალო დაპირისპირებაში, მაგრამ ვერ მოახერხა - ოდენ ფრეს დასჯერდა. „მიხეილ მესხზე“ გამართულ მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ჭედია „მგლების“ ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. თამაშის დასრულების შემდეგ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ...

**- გიორგი, ჯერ გუნდში არსებულ ზოგად სიტუაციაზე ვთქვათ...**

- გეხსომებათ, ამ რამდენიმე კვირის წინათ, „მგლების“ მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო. ფეხბურთელებმა სრული მობილიზება გამოვაცხადეთ და გათამაშების ცხრილში მდგომარეობა საგრძნობლად გავიუმჯობესეთ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მონდომების ხარჯზე ყველაფრის მიღწევა შეიძლება.

**- ...და დღევანდელ მატჩში თუ შეიძლებოდა მეტის მიღწევა?**

- რაც შეეხება „ლოკომოტივთან“ თამაშს, თქვენ ნახეთ, რომ ამ გუნდმა ადრე არა ერთი ფავორიტი გაამწარა. მასთან ყველას უჭირს თამაში. პირდაპირ გეტყვით, რომ ჩვენი მთავარი მიზანი იყო, შინ უქულოდ არ დავბრუნებულიყავით. დღეს ქულას კი დავჯერდით, მაგრამ გულდასაწყვეტი იყო - თამაშს ვიგებდით. თუმცა ამ ქულითაც კმაყოფილები ვართ.

**- იქნებ საგოლე მომენტი გაიხსენოთ...**

- გია თოდუა გამოცდილი ფეხბურთელი რომაა, დღეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა. მან ჩინებულად ისარგებლა მეტოქის მცველების შეუთანხმებლობით, ჩაჭრა გადაცემა და გამოზომილი პასი მომცა. თოდუამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გამეტანა და მეც გარჯა დავუფასე - მადლობა მინდა ვუთხრა ასეთი პასისთვის. ეს გოლი მისიცაა.

**- ამჯერად, ერთ გოლს დასჯერდი, წინა შეხვედრაში კი დუბლი მიითვალე...**

- ასე იყო... ცხინვალის „სპარტაკი“ ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. ამ გუნდმა ხომ თავად ლიდერები - „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ გაამწარა. „სპარტაკი“ ზუგდიდშიც მოგებაზე დაგეშილი ჩამოვიდა. ეს თამაში ცხინვალელთათვის უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლაში ბოლო თუ არა ერთ-ერთი ბოლო შანსი მაინც იყო. თუმცა ჩვენ სწრაფი გოლებით დავწინაურდით და მეტოქეს შანსი აღარ დავუტოვეთ.

**- სულ რამდენი გოლი დაგიგროვდათ?**

- მიმდინარე სეზონში მე-5 გოლი გავიტანე. „ლოკომოტივთან“ და „სპარტაკთან“ გატანილის ბურთების გარდა, თითოჯერ „გაგრა“ და „ბორჯომი“ დავამწუხრე. ჩემპიონატში გაზაფხულიდან ჩავერთე, თორემ ეროვნულ პირველობაზე შარშანაც რომ მეთამაშა, გაცილებით მეტი გოლი მექნებოდა გატანილი.

**- კიდევ რამდენს მოასწრებთ სეზონის დასრულებამდე?**

- ძალიან მინდა, ათამდე მაინც ავიდე. დარჩენილ მატჩებში კიდევ 5 გოლის გატანა იოლი საქმე ნამდვილად არ იქნება. თუმცა ვეცდები, ჩანაფიქრი განვახორციელო და ვნახოთ, რამდენად გამომივა. თუმცა გოლის გატანაზე მეტად, უფრო გუნდის წარმატებაზე ვფიქრობ. მთავარია, „მგლებმა“ მოიგოს და თუნდაც, ეს მეტოქის ავტოგოლით იყოს.

**- ზუგდიდელთა გუნდში თქვენს გამოჩენამდე, „მგლების“ მთავარმეგოლე გია თოდუას წინ ხაზზე უჭირდა...**

- კი და ეს მეც მითხრა. ერთმანეთს იოლად გავუგეთ. გამოცდილი ფეხბურთელის გვერდით თამაში რთული სულაც არ არის. მე და თოდუა კარგ ტანდემს ვქმნით. ამისგან მეტოქეებს ბევრი თავსატეხი აქვთ ხოლმე.

**- მომდევნოც რთული მატჩი გაქვთ...**

- დიახ, 18 აპრილს რუსთავის „ოლიმპს“ ვუმასპინძლებთ, მერე „ზესტაფონს“ უნდა ვესტუმროთ. ჩვენ ყველა მატჩში 3 ქულას ვგეგმავთ, განსაკუთრებით საშინაო მატჩებში. ვინც არ უნდა იყოს, ყველასთან მოგებისთვის ვიბრძოლებთ, არც „დინამოსი“ გვეშინია, არც „ვიტ ჯორჯიასი“ და არც „ოლიმპის“.

**- მართალია, მარტიდან ხარ საქართველოს ჩემპიონატში, მაგრამ უკვე არა ერთი გუნდის წინააღმდეგ მოასწარით თამაში. მეტოქე მცველებიდან ვის გამოყოფდით?**

- გვარების დაკონკრეტებას მოვერიდები. თუმცა ერთს კი ვიტყვი, „ვიტ ჯორჯიას“ კარგი მცველები ჰყავს, ძალიან გამიჭირდა მათ წინააღმდეგ თამაში. საერთოდ, ვიტელებს საკმაოდ შეკრული, მებრძოლი და ძლიერი გუნდი ჰყავთ. პირველ ადგილზე ტყუილად კი არ არიან? საიმედო მცველები ჰყავს თბილისის „დინამოსაც“...

**- „მგლებში“ ჟოდინოს „ტორპედოდან“ ხარ განათხოვრებული. ამ სეზონის დასრულების შემდეგ რას აპირებ?**

- ბელარუსიდან ოჯახური პირობების გამო წამოვედი. მაშინ სხვა გზა არ მქონდა. ახლა ყველაფერი დალაგდა და ჩემი მდგომარეობაც უკეთესია... რაც შეეხება კითხვას, „მგლებში“ ამ ჩემპიონატის ბოლომდე ვარ განათხოვრებული. სეზონი დასრულდება, ზუგდიდური კლუბის ხელმძღვანელობასაც დაველაპარაკები და ვნახოთ რა ვარიანტები მექნება. „ტორპედოსთან“ კიდევ 2 წლით მაკავშირებს კონტრაქტი, მაგრამ... აღარ მინდა ამ გუნდში დაბრუნება, უკეთეს გუნდში მსურს თამაში, მით უმეტეს, სათამაშო პრაქტიკის დეფიციტს აღარ განვიცდი, „მგლებში“ კარგად ავთამაშდი“ და ჟოდინოს „ტორპედოზე“ უკეთეს გუნდში მოხვედრის პრეტენზია გამიჩნდა.


გიორგი ჭედია

**- ისე ლაპარაკობ, თითქოს რაღაც ვარიანტი უკვე გაქვს...**

- არა, ჯერ არანაირი ვარიანტი არ მაქვს. თუ მთხოვნელი გამომიჩნდება, „მგლებსაც“ დაველაპარაკები და ჟოდინოს „ტორპედოსაც“.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

მამუკა კვარაცხელია

# ბანდიტებმა დაიპყრეს

## წაღებული ჩვენი და ჩვენი შვილების ფული

4 «

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე ორი კვირის წინათ გახარებული ამბობდა - არიქა, კუპერი თანახმაა, კონტრაქტი გააგრძელოსო! მერე კიდევ უნამუსოდ განაცხადა - ახალკაცი ხალხმა აირჩიაო!!! მოკლედ, სფფ ბანდიტებმა დაიპყრეს: ჩვენს ფულს ითვისებენ და აბუჩადაც გვიგდებენ... და ღირსებიც ვართ!

**- ამ სიტყვებისთვის სასამართლოში რომ გიჩივლონ?**

- მეც ეგ არ მინდა?! საშუალება მექნება, შემხვედრი სარჩელი შევაგებო და აბა, მაშინ ნახეთ სეირი! სამწუხაროა, რომ უფლება არ მაქვს, პირველმა ვუჩივლო, რადგან უეფას მედიაოფიცერი ვარ და სასამართლოში მიმართვა მეკრძალება.

**- ნაკრების თამაშმა ყველა ალაშფოთა, არადა, სულ რალაც ერთი თვის წინათ, ბევრი საუბრობდა - ნაკრები ახლა სხვაგვარად ათამაშდაო...**

- მაინტერესებს, რატომ არ ალშფოთდა სრულიად ქართული საფეხბურთო ბომონდი, ტელევიზიით ახალკაცის გერმანული ბინა რომ ვუჩვენე? ანდაც, გოგიტა გოგუას წერილი რომ გამოვაქვეყნე, სადაც ის ახალკაცსა და ტოპმიოლერს პირდაპირ ადანაშაულებდა მის სატრანსფერო ინტერესებში? ან ტოპმიოლერი რომ დაგვცინოდა ხოლმე - ჩემპიონატი არა გაქვთო?! გახსოვთ? ან ის მაინც ხომ გახსოვთ, ორი ცრუარჩევნების მერე ახალკაცი რომ ილია ჭავჭავაძის სიტყვებით გესაუბრებოდათ ჟურნალისტებს? რატომ არ გამოუცხადეთ ბოიკოტი არარჩეულ კაცს? რატომ არ ეკითხებით ახალკაცს ყველა პრესკონფერენციაზე - სად წაილო 35 მილიონი ლარი? სანამ ყველა თამაში არ წააგო ერთმაც და მეორემაც, ხმა არავინ ამოილო, თითქოს მანამდე არაფერი ხდებოდა. ამიტომაც ნება მიბოძეთ და არ ვირწმუნო დღეს მქადაგებელ მედროვეთა ჭეშმარიტების... ახლა ამტკიცებენ, ქართული ფეხბურთი გარდაიცვალაო. საქართველოს უნიათო ნაკრების წარუმატებლობა ქართული ფეხბურთის დალუპვას არ ნიშნავს. ეს დილეტანტებისთვის არის ერთი და იგივე - ნაკრები და ქართული ფეხბურთი. ქართული ფეხბურთი დღეს კი არა, 2005 წლის 11 ივნისს დაილუპა, როცა პრეზიდენტად უდიდესი მტერი, უმცროსი ახალკაცი დაუნიშნეს... სულ რომ არ ჰქონდეს ქვეყანას ფედერაცია, ერთმანეთში ამ დონეზე მაინც ითამაშებენ კლუბები და ბავშვები.

**- ისევ ფიქრობთ სფფ-ის პრეზიდენტის სავარძელზე?**

- სწორედაც რომ სავარძელზე არ ვფიქრობ. სად იქნება სავარძელზე ჯდომის დრო? მკლავები უნდა დავიკაპიწოთ და დღე და ღამე გავასწოროთ...

**- თქვენ გენერალური მდივანიც შერჩეული გეყოლებათ...**

- რა თქმა უნდა! მიმაჩნია, რომ „ის კაცი" ყველაზე ღირსეული გენერალური მდივანი იქნება, ოღონდ, ჯერ არ დაგიკონკრეტებთ. ისე, ამ კაცს საქართველოში მხოლოდ ერთი პიროვნება - ვალერი ჩოლარია თუ აჯობებს...

**- კიდევ ვის მოიაზრებთ თქვენს გუნდში?**

- „ჩვენი ფეხბურთისა" და „ქომაგთა ლიგის" დიდ ნაწილს, აგრეთვე, ბევრ ცნობილ ვეტერან ფეხბურთელს და ქართველ ჟურნალისტს. თუ დღევანდელი ფედერაციის, უსაქმურებით გატენილ 100-ზე მეტ თანამშრომელში მომიძებნით 5 კაცზე მეტს (აქ მწვრთნელებს არ ვგულისხმობ), რომელსაც ზოგიერთი ჟურნალისტივით უყვარს ქართული ფეხბურთი და საერთოდ, წარმოდგენა აქვს, რა არის ქართული ფეხბურთი, საჯაროდ მოვიხდი ბოდიშს!

**- მაინც რამდენი წელი დასჭირდება თქვენი აზრით ქართული ფეხბურთის კრიზისიდან გამოყვანას?**

- ორი ან ორწელიწადნახევარი.

**- ხუმრობთ?!**

- სრული სერიოზულობით გეუბნებით! გააჩნია, ვინ აკეთებს საქმეს და როგორი გულით! 20 წელია, ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე ვფიქრობ და ყველაფერი დეტალებში მაქვს გაწერილი. ქართველ გულშემატკივარს მინდა ვუთხრა - ნუ დაუჯერებენ პესიმისტებს, რომელთაც არც საქართველოს ისტორია იციან, არც ჩვენი ერის შესაძლებლობებზე აქვთ წარმოდგენა... ჩვენი ერის ნიჭიერებას პატიოსან შრომასა და სწორ ორგანიზაციას თუ მიაშველებ, ძალიან მალე მსოფლიო საფეხბურთო სამყარო ქართულ სასწაულს იხილავს. თუ მოვედი, ერთი წლის შემდეგ, ზუსტად 365 დღეში ქართული ფეხბურთი ჭაობიდან ამოვა, მეორე წელს კი ნელ-ნელა წარმატებებიც მოვა. შარშან დანიასა და შვედეთში ათასზე მეტგუნდიან ტურნირებში ზაზა დიდებაშვილის ერთი უბრალო სკოლის გუნდმა 22 თამაშიდან 18 მატჩი მოიგო და ორი თასი ჩამოიტანა! აი, რა არის ქართული გენი!




მამუკა კვარაცხელია

**- და საინტერესოა, ამისთვის საჭირო ფულს სად იშოვით? სახლიდან ხომ არ მოიტანთ?**

- გიჟი ვარ, ფული სახლიდან მოვიტანო?! ახალკაცმა მოიტანა, ჟორდანიამ თუ ვინმე სხვამ და მე არ ვიცი? ქართულ ფეხბურთში ფული საკმარისზე მეტია, განძრევა და სირბილი უნდა. ისე, პირობას გაძლევთ, ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ბიზნესმენები ფედერაციის სპონსორობისთვის რიგში ჩადგებიან, შემდეგ კი ქართული ფეხბურთი იქით გადაუხდის ფულს სახელმწიფოს... არც ძველი ვალები უნდა დავივიწყოთ, ტოპმიოლერს უკან უნდა დავაბრუნებინოთ აქედან წაღებული ჩვენი და ჩვენი შვილების ფული.

**- ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა თქვა, 200 მილიონი ლარია საჭირო ფეხბურთის გასაცოცხლებლადო...**

- გია ყოველთვის წესიერ კაცად მიმაჩნდა, მაგრამ მის ინტერვიუში ერთმა ფრაზამ გამაოცა: მე ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვარ და არა - „ნაციონალური მოძრაობის" უფლებამოსილი პირიო!!! როდის აქეთ? „ნაციონალური მოძრაობა" რომ ახალკაცს სკამებზე სვამდა, რატომ არ ამოილო ხმა? როცა მერიამ ერთი ხელის მოსმით 30-მდე სპორტული სკოლა დაშალა, არც მაშინ უთქვამს რამე და არც სპორტის აკადემიის გაყიდვისას! არც 200 მილიონი ლარია საჭირო ქართული ფეხბურთის ფეხზე დასაყენებლად - ხუთჯერ მაინცაა გაბერილი ეს ციფრი, მაგრამ როცა ტოპმიოლერებს 12 მილიონი ლარი აჩუქეს, კუპერს 3 მილიონი, ხოლო შაკირას 10 მილიონამდე, მაშინ რატომ არ ამოილო ხმა ბატონმა გიამ?

**- ისევ ნაკრებს დავუბრუნდეთ. ერთი შეხედვით, ურიგო ფეხბურთელები არ გვყავს, მაგრამ ვერც ერთი მწვრთნელის ხელში ვერ ითამაშეს...**

- ...და ვერც ითამაშებენ, რადგან პიროვნებები არ არიან! ნაკრებში პიროვნება უნდა მიიწვიო და არა სახელი! როცა გამოცდილი ფეხბურთელები 2005 წელს ამბობდნენ - ჟირესი კარგი მწვრთნელიაო, მერე ოთხ თვეში, იგივე ფეხბურთელები, ქება-დიდებას უძლვნიდნენ დარსაძეს, შემდეგ ექვს თვეში თქვეს - გველირსა ტოპმწვრთნელიო და წელიწადნახევარში უკვე მეოთხე - კუპერიც დითირამბებით აავსეს, ასეთი უპრინციპო ფეხბურთელებისგან ელოდებით გამარჯვებებს? ნიჭიერი მოთამაშე საქართველოში ახლაც ბევრია, მათ ყურადღების მიქცევა უნდათ და ამ ვაინაკრებზე კარგ შედეგს ახლავე მიაღწევენ.

**- კვარაცხელია ისევ მზადაა საბრძოლველად?**

- მე მუდამ ბრძოლაში ვარ! ახლა უცხოეთში ვარ და თანაც, ვაიტელევიზიები არ მიწვევენ, რათა ეკრანიდან არ ვთქვა სიმართლე, ამ დროს კი ვის აღარ აძლევენ ეთერს... ქართული ფეხბურთის დალუპვაში ჟურნალისტთა ნაწილსაც მიუძღვის დიდი წვლილი!

მერაბ მამულაშვილი

ქართველები რუსეთში



მიხეილ აშვეთია

### აშვეთია და აბრამიძე აგებენ და იგებენ

ბარნაულის „დინამო" ორ ქართველთან, ფორვარდ **მიხეილ აშვეთიასთან** და მცველ **ვალერი აბრამიძესთან** ერთად ახალი სეზონისთვის ემზადება. ამ გუნდს რუსეთის მეორე დივიზიონის დასავლეთ ზონაში მოუწევს ასპარეზობა და დაწინაურება აქვს გადაწყვეტილი. ბარნაულელები მოსამზადებელ შეკრებას ანთალიაში გადიან. აშვეთიასა და აბრამიძის გუნდმა იქ თურქულ „ქუმანჯისფორთან" 0:1 წააგო, მომდევნო საკონტროლო მატჩში კი ალმათის „ქაირათი" დაამარცხა - 2:0. ამ შეხვედრაში აშვეთიამ და აბრამიძემ სრულად ითამაშეს. „დინამოს" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქართველ ფორვარდს ანგარიშის გაზრდა შეეძლო, მაგრამ კარგი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

ჩვენებურებს ახალი სეზონი 26 აპრილს ეწყებათ. ბარნაულელები სასტარტო მატჩს ბლაგოვეშჩენსკში, ადგილობრივ „ამურთან" ჩაატარებენ.

### მეორე მორგოშიასი იყო

ახალგაზრდული გუნდების ჩემპიონატში მოსკოვის „დინამოს" რეზერვისტებმა ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმეს. ამჯერად, მათ „როსტოვის" თანატოლები დაამარცხეს - 2:0. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩს წერტილი მოსკოველთა ნახევარმცველმა **ვახტანგ მორგოშიამ** დაუსვა.

50-ე ნომრით მოასპარეზე მორგოშია მოსკოვის „დინამოს" საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია. ის რუსეთის მოქალაქე გახლავთ, 12 აპრილს 20 წლის გახდება. სხვათა შორის, ახალგაზრდულ გუნდებს შორის პირველობაზე მორგოშიამ წინა სამივე ტურში ითამაშა. „მოსკვასთან" სასტარტო მატჩში (0:1) ვახტანგი ძირითადში იყო და 61 წუთი დაყო მოედანზე, „ხიმკის" წინაალმდეგ მეორე ტაიმის დასაწყისიდან გამოჩნდა, „ტერეკთან" საგარეო შეხვედრაში კი 62-ე წუთიდან ჩაერთო.

საინტერესოა, აქვს თუ არა ვახტანგს სურვილი, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშოს? იქნებ, ამ ფეხბურთელით 21-წლამდელთა გუნდის მთავარი მწვრთნელიც დაინტერესდეს.

დავით ცაბაძე



ვახტანგ მორგოშია

უეფას რეიტინგი

### საქართველოს 38, დინამოს 198

უეფამ მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა. შეგახსენებთ, რომ ეს რეიტინგი ორი ნაწილისგან შედგება - ქვეყნების და საკლუბო. ევროპის 53 ქვეყანას შორის საქართველო მეორე ნახევარშია, კონკრეტულად კი 6.664 ქულით 38-ე ადგილი უკავია. საგულისხმოა ისიც, რომ საქართველომ ახლანდელი მაჩვენებელი 1.166 ქულით გაიუმჯობესა. ევროტურნირებზე 2009/10 წლების სეზონში საქართველოსთვის ლიმიტირებული გუნდების რაოდენობის გრაფაში კვლავაც 3 კლუბია მითითებული.

რაც შეეხება საკლუბო რეიტინგს, გამორჩეულთა შორის მხოლოდ თბილისის „დინამოა". საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა 0.2330 ქულით გაიუმჯობესა მაჩვენებელი და ამჟამად 198-ე ადგილზეა (3.332 ქულა). „დინამოს" წინ პოლონური კლუბები - ვარშავის „ლეგია" და „გროცლინია", შემდეგ კი ფინური გუნდები - „ტამპერე" და „მიუპა".

დავით ცაბაძე



იტალია. სერია A

# დიდი ბრძოლები გენუასა და რომში

## პალერმო ლიდერის შეჩერებას ეცდება

| დღეს | |
|---|---|
| ბოლონია-სიენა | 17:00 |
| კიევო-მილანი | 17:00 |
| ფიორენტინა-კალიარი | 17:00 |
| ინტერი-პალერმო | 17:00 |
| ლაციო-რომა | 17:00 |
| ლეჩე-სამპდორია | 17:00 |
| ნაპოლი-ატალანტა | 17:00 |
| ტორინო-კატანია | 17:00 |
| ჯენოა-იუვენტუსი | 22:30 |
| **ხვალ** | |
| რეჯინა-უდინეზე | 18:00 |

იტალიის ჩემპიონატის 31-ე ტურის ათი შეხვედრიდან, ცხრა დღეს გაიმართება. ხვალ კი მხოლოდ ერთი პაექრობა შედგება, „რეჯინა" „უდინეზეს" უმასპინძლებს. ალბათ მიხვდით, რომ ამის მიზეზი უდინური კლუბის უეფას თასზე ასპარეზობაა. ფრიულელები ხუთშაბათს ბრემენის „ვერდერს" დაუპირისპირდნენ და გასვლით თამაშში 1:3-ზე დამარცხდნენ. ამ მარცხით, **პასკუალე მარინოს** გუნდმა ძალიან გაირთულა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი. თუმცა, უმჯობესია სერია A-ს და ამ უქმეებზე გასამართ შეხვედრებს დავუბრუნდეთ.

„ინტერი" საკუთარ კედლებში „პალერმოს" მიიღებს და შეეცდება, სკუდეტოსკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგას წინ. „ნერაძურის" ერთადერთი მიზანი გამარჯვება და მორიგი სამი ქულის მოპოვებაა. გასულ ტურში, „უდინეზეს" დამარცხებამ და მდევართან ქულათა სხვაობის კიდევ უფრო გაზრდამ, „ინტერი" სკუდეტოს" ძალიან მიუახლოვა. ამაზე იტალიური მედია და არა მარტო მედია, ღიად საუბრობს. ჯერჯერობით თავშეკავებულია **ჟოზე მოურინიო** და ერთობ ფრთხილ განცხადებებს აკეთებს. გუშინდელი მატჩისწინა კომენტარიც ამაზე მეტყველებს:

*„თითოეული შეხვედრისთვის ისე ვემზადებით, როგორც გადამწყვეტი პაექრობისთვის. ის ფორა, რომელიც მოვიპოვეთ, დამშვიდების საბაბს არ გვაძლევს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი გუნდის ძალაში დარწმუნებული არ ვარ. ფეხბურთელები მომავალი პაექრობისთვის მზად არიან და წესით, მიზანს უნდა მივაღწიოთ".*

ადრიანოს არყოფნაში, „პალერმოს" **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან** ერთად **მარიო ბალოტელი** შეუტევს. სწორედ ამ ორ ფორვარდს ენდობა სხვებზე მეტად პორტუგალიელი სპეციალისტი. სათადარიგოზე დარჩებიან **ხულიო კრუსი** და **ერნან კრესპო**. არგენტინელები მოედანზე სულ უფრო იშვიათად ჩნდებიან და სეზონის ბოლოს, ალბათ დატოვებენ კიდეც ლომბარდიულ გრანდს. დიდი ცვლილებები არც სხვა რგოლებში იგეგმება. მოურინიოს უბრალოდ საბაბი არ აქვს შეცვალოს ის შემადგენლობა, რომელიც წარმატებულად ასპარეზობს. შესაბამისად, ნახევარდაცვაში კვლავაც უალტერნატივო არიან **ხავიერ ძანეტი, სალი მუნტარი, ესტებან კამბიასო** და **დეიან სტანკოვიჩი**. სერბს მცირე ტრავმა აქვს, თუმცა თუ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, „პალერმოს" აუცილებლად შეერკინება. დაცვის ხაზში კი სიახლეა, ტრავმისგან განიკურნა **ვალტერ სამუელი** და სავარაუდოდ, ცენტრში **ივან კორდობას** შეუწყვილდება. სათადარიგოთა შორის რჩებიან **მატერაცი** და **მაქსველი**. კარში **ფრანჩესკო ტოლდო** ჩადგება, ვინც ტრავმირებულ **ჟულიო სეზარს** ცვლის.

ლიდერთან საპაექროდ დიდი სამზადისია სიცილიელთა ბანაკში: *„პალერმო" მილანში ქულისთვის ან სულაც ქულებისთვის ჩადის. კუნძულელები ამჟამად მერვე ადგილზე არიან და უეფას თასის საგზურის მოპოვებას ცდილობენ".*

**დავიდე ბალარდინი** ლომბარდიაში იმედიანად მიემგზავრება: *„ჩვენი მიზანი უეფას ზონაში მოხვედრა და მომავალ სეზონში, ევროტურნირზე ასპარეზობაა. ამ ჩემპიონატში საკმაოდ კარგად ვთამაშობთ და წესით, სატურნირო ცხრილში უფრო მაღლაც უნდა ვიყოთ. ტრავმებმა ხელი ძალიან შეგვიშალა, თორემ ასეც იქნებოდა".*

ბალარდინი გარკვეულწილად მართალიც არის. „პალერმოს" ლაზარეთი მუდმივად სავსე იყო, თუმცა ახლა ვითარება გაცილებით უკეთესია. ტრავმა მხოლოდ **გუანას** და **ბუდანს** აქვთ, დანარჩენები მწყობრში არიან. რაც მთავარია, სრულ მზადყოფნაში არიან სიცილიელთა წამყვანი ფორვარდები, **ედისონ კავანი** და **ფაბრიციო მიკოლი**. ჯანმრთელად არის ჩვენებური **ლევან მჭედლიძეც** და იმედია, მიეცემა თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

საინტერესო შეხვედრა გაიმართება გენუაში, სადაც „ჯენოა" „იუვენტუსს" უმასპინძლებს. სატურნირო ცხრილში მეორე და მეოთხე პოზიციაზე მყოფი გუნდების ჯახი დიდ ინტერესს იწვევს, რაც არც არის გასაკვირი. ორივე გუნდს ქულები ჰაერივით სჭირდება - თუ „იუვემ" კიდევ ერთხელ წაიფორხილა, სკუდეტოზე ოცნებასაც კი უნდა შეეშვას, ‚ჯენოას" კი ვერმოგება სავარაუდოდ მეოთხე ადგილის დათმობად დაუჯდება. ბუნებრივია, გუნდები სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებმებიან ერთმანეთს და წესით, კარგი ფეხბურთიც უნდა ვიხილოთ.

**კლაუდიო რანიერი** ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს შეხვედრას დიდი დანაკლისით ხვდება. ტრავმირებულნი არიან: **ძანეტი, სისოკო, ამაური, ეკდალი, მანინგერი, სალიჰამიჯიჩი** და **გრიგერა**. „იუვეს" თავკაცი თავდასხმაში **დელ პიერო - იაკვინტას** ტანდემს გაამწესებს და ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმისგან. **ჯოვინკო, ნედვედი, მარკიზიო** და **კამორანეზი** ნახევარდაცვას გაამაგრებენ - **მოლინარო, კიელინი, ლეგროტალიე** და **ძებინა** კი დაცვას. სენიორ რანიერი „ჯენოასთან" მატჩს გადამწყვეტად მიიჩნევს:

*„ეს იქნება უმნიშვნელოვანესი პაექრობა, რომელიც ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. თუ „ინტერთან" ქულათა სხვაობის შემცირება აქედანვე არ დავიწყეთ, სკუდეტოზე ფიქრიც კი უაზრობაა. შესაბამისად, „ჯენოა" აუცილებლად უნდა დავამარცხოთ, რომ გაჩემპიონების იმედი შევინარჩუნოთ. ამის გაკეთება რომ რთული იქნება, ცხადზე ცხადია, თუმცა ამან არ უნდა შეგვაშინოს. „ჯენოა" ძლიერია, მაგრამ არა დაუმარცხებელი. ჩვენ ჩვენი თამაში უნდა ვაჩვენოთ და ბურთი კარგად გავაკონტროლოთ. ასეთ შემთხვევაში, სამ ქულას აუცილებლად მოვიპოვებთ".*

დიდი დანაკლისით ხვდებიან „იუვესთან" ჯახს **გასპერინი** და მისი „ჯენოაც". გენუელებს გუნდის გამოკვეთილი ლიდერი, **დიეგო მილიტო** ვერ დაეხმარება. არგენტინელი ტრავმირებულია, ისევე როგორც **სკარპი** და **პარო**. ამის მიუხედავად, მწვრთნელი შემტევ ტაქტიკას არ უღალატებს და მრისხანე მეტოქეს სამი ნომინალური თავდამსხმელით დაუპირისპირდება. მარცხნიდან **პალადინო** შეუტევს, მარჯვნიდან **სკული**, ცენტრში კი **ოლივეირა** იმოქმედებს. გასპერინის კარგად ესმის, რომ წაფორხილება ძვირად დაუჯდება, შესაბამისად გუნდს მხოლოდ გამარჯვებისთვის განაწყობს.

„ჯენოას" მდევრები კი ჩასაფრებულნი არიან. „ფიორენტინა" საკუთარ მოედანზე კერკეტ „კალიარის" მიიღებს. ფლორენციელებს ოთხი ფეხბურთელის გარეშე მოუწევთ კუნძულელებთან შეტოქება. ტრავმირებულნი არიან: **გობი, კლოუდრუპი, სანტანა** და **მუტუ**. რუმინელს **იოვეტიჩი** შეცვლის და თავდასხმაში **ალბერტო ჯილარდინოს** შეუწყვილდება.


რა მოხდება მეორე რომაულ დერბიში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მივადექით რომაულ დერბისაც. „ჯალოროსისთვის" ამ პაექრობას ორმაგი დატვირთვა აქვს, ერთი რომ დერბია და მეორე, სატურნირო მოტივაცია. **ლუჩანო სპალეტის** გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და თანაც, სამკვდრო-სასიცოცხლოდ. რომაელები არ მალავენ, რომ ლიგის მიღმა დარჩენა მათი გუნდისთვის ფინანსური თვალსაზრისით კატასტროფის მომტანი იქნება. ამ კუთხით, ნაკლებად მოტივირებულია „ბიანკოჩელესტე", მაგრამ დერბი დერბია და თავადაც ხვდებით, რომ აქ დანდობა არ იქნება.

სპალეტი ხუთ ფეხბურთელს მოისაკლისებს: **აკვილანის, სისინიოს, ვუჩინიჩს, ჟუანს** და **მონტელას**. სამაგიეროდ, მწყობრშია **ფრანჩესკო ტოტი** და „ლაციოს" პირველივე წუთებიდან შეუტევს. ნახევარდაცვაში სავარაუდოდ ხუთი ფეხბურთელი გაირჯება: **ტონეტო, პეროტა, ტადეი, პისარო** და **დე როსი**. სწორედ ასეთი მობილური შუა ხაზით შეეცდება ლუჩანო მეტოქის გატეხვას. გულხელდაკრეფილი არც **დელიო როსი** და მისი „ლაციო" იქნება. მით უმეტეს, რომ „ბიანკოჩელესტე" ფაქტობრივად დანაკარგის გარეშე ხვდება ამ პაექრობას. ერთადერთი, ვინც „რომასთან" თამაშს ვერ შეძლებს, ღრმა თადარიგში მყოფი **სიმონე ინძაგი** გახლავთ.

როსი ალბათ 4-4-2 ტაქტიკას აირჩევს და შეტევაში **როკი-სარატეს** ტანდემს გაამწესებს. ნახევარმცველები სავარაუდოდ ხაზზე განლაგდებიან. მარცხნიდან **ფოჯა**, ცენტრში **მატუზალემი** და **ლედესმა**, მარჯვნივ კი **ბროკი**. „ლაციო" ცხრილში მეცხრე ადგილზეა და ევროტურნირებზე მოხვედრის პრაქტიკული შანსი დაკარგული აქვს, თუმცა დელიო როსი მოტავაციის მხრივ პრობლემებს ვერ ხედავს. სულ ბოლოს, სწორედ მის კომენტარს გავეცნოთ:

*„დერბი ყოველთვის გამორჩეული თამაშია და ასე იქნება ამჯერადაც. ასეთ დროს, ცხრილში არსებულ მდგომარეობას მნიშვნელობა არ აქვს. ერთმანეთის პირისპირ პრინციპული მეტოქეები წარდგებიან და მოტივაციის ნაკლებობაზე საუბარიც კი ზედმეტია".*

**ლაშა წიკლაური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 30 | 22 | 6 | 2 | 55-21 | 72 |
| 2. იუვენტუსი | 30 | 19 | 6 | 5 | 54-26 | 63 |
| 3. მილანი | 30 | 17 | 7 | 5 | 53-28 | 58 |
| 4. ჯენოა | 30 | 15 | 9 | 6 | 40-27 | 54 |
| 5. ფიორენტინა | 30 | 16 | 4 | 10 | 41-30 | 52 |
| 6. რომა | 30 | 14 | 7 | 9 | 46-42 | 49 |
| 7. კალიარი | 30 | 13 | 6 | 11 | 35-29 | 45 |
| 8. პალერმო | 30 | 14 | 3 | 13 | 40-38 | 45 |
| 9. ლაციო | 30 | 12 | 5 | 13 | 39-43 | 41 |
| 10. ატალანტა | 30 | 12 | 4 | 14 | 36-35 | 40 |
| 11. ნაპოლი | 30 | 10 | 8 | 12 | 35-35 | 38 |
| 12. სამპდორია | 30 | 9 | 10 | 11 | 33-38 | 37 |
| 13. კატანია | 30 | 10 | 7 | 12 | 30-35 | 37 |
| 14. უდინეზე | 30 | 9 | 9 | 12 | 38-42 | 36 |
| 15. სიენა | 30 | 9 | 7 | 14 | 25-32 | 34 |
| 16. კიევო | 30 | 7 | 10 | 13 | 28-39 | 31 |
| 17. ბოლონია | 30 | 6 | 8 | 16 | 32-49 | 26 |
| 18. ტორინო | 30 | 5 | 9 | 16 | 26-46 | 24 |
| 19. ლეჩე | 30 | 4 | 12 | 14 | 26-50 | 24 |
| 20. რეჯინა | 30 | 3 | 11 | 15 | 22-49 | 20 |

სავარაუდო ტრანსფერი

# ვენგერს გალასი სჭირდება

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ ფრანგი **ვილიამ გალასი** „ვილიარეალთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში დაიმტვრა და სეზონის ბოლომდე „მეთოფეთა" რიგებში ვერ იასპარეზებს. ბოლო 4-5 თვის განმავლობაში მუდმივად იყო ლაპარაკი, რომ ფეხბურთელი სეზონის დასრულების შემდეგ „ემირიტსს" დატოვებდა და საასპარეზოდ სამშობლოში, კერძოდ „პარი სენჟერმენში" დაბრუნდებოდა. ასეთ შემთხვევაში, გამოდის, რომ ვილიამს „არსენალის" რიგებში ასპარეზობა აღარც მოუწევს. **არსენ ვენგერი** იმედს გამოთქვამს, რომ ასე არ მოხდება და გალასი კარიერას „არსენალშივე" განაგრძობს. 31 წლის ფეხბურთელი წელს უამრავ პრობლემას გადააწყდა. გალასს კონფლიქტი შეემთხვა **რობინ ვან პერსისთან** მას მერე, რაც ჰოლანდიელს გუნდში არეულობის შემტანი უწოდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ გარკვეული მიზეზების გამო **კოლო ტურესთან** ურთიერთობა შეწყვიტა. ყოველივე ამას მასმედიის მხრიდან წამოსული საშინელი ზეწოლა დაემატა. მიუხედავად ყველაფრისა, მან შეძლო და პრობლემებს გაუმკლავდა, თუმცა კულუარებში ამბობენ, რომ მის მოთმინებასაც აღმოაჩნდა საზღვარი და „არსენალთან" განშორება ამიტომაც უნდაო. აი, რა განუცხადა თავისი გუნდის ყოფილი კაპიტნის შესახებ „დეილი მეილს" არსენ ვენგერმა: *„წავა თუ არა გალასი? ეს კიდევ გასარკვევია. მისი კონტრაქტი „არსენალთან" ერთი წლის შემდეგ იწურება, მე კი მისი შენარჩუნება მსურს. მთელი სეზონის განმავლობაში მან მრავალ გამოცდას უკვე გაუძლო, ახლა კი ყველაზე დიდ იმედის გაცრუება, ტრავმა მიიღო. ჩვენ გვჯერა მისი. ვიცით, რომ მალე დაგვიბრუნდება და ისევ უმაღლეს დონეზე შეძლებს თამაშს".*


ვილიამ გალასი

**შალვა ბიბილაშვილი**

დაპირისპირება

# ელერდაისი: ბენიტესს წუწუნი უყვარს

დღეს „ენფილდზე" საინტერესო შეხვედრა შედგება, მერსის ნაპირებს „ბლექბერნი" სტუმრობს. თამაშის დაწყებამდე **სემ ელერდაისმა** პრესკონფერენცია გამართა, სადაც დღევანდელი მეტოქის მთავარ მწვრთნელს ბრალდებათა მთელი კორიანტელი წაუყენა. „დიდმა სემმა" **რაფა ბენიტესს** წუწუნა და მტირალა უწოდა. მისი აზრით, „ვარდებს" შეუძლიათ გასვლით შეხვედრაში სამი ქულისთვის ბრძოლა. *„ბოლტონის" მწვრთნელობისას საშინაო შეხვედრებში „ლივერპულისთვის" არაერთხელ მიგვიყენებია მტკივნეული დარტყმა, „ენფილდზე" კი მუდამ ვაგებდით,* - განუცხადა სემმა „სანს". - *ერთი რამ დავაფიქსირე ბენიტესის ხასიათიდან, როგორც კი მის გუნდს საქმეები არასათანადოდ მისდის, მაშინვე წუწუნსა და დიდ მოთქმა-გოდებას მორთავს ხოლმე. დიახ, მას ეს პროცესი საოცრად ხიბლავს და იმედი მაქვს, ტირილის საფუძველს ჩვენც მივცემთ. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ყველამ ვნახეთ ამჟამად პრემიერლიგის საუკეთესო კლუბის, „ლივერპულის" მარცხი „ჩელსისთან". თავად სტადიონზე გახლდით ამის მოწმე. იმედი მაქვს, ეს მცირედით მაინც შეარყევს მასპინძელთა რწმენას საკუთარ ძალებში. ასეთი მარცხი შეიძლება ნებისმიერმა კლუბმა იწვნიოს. შეხვედრისას მათ გამოაჩინეს, რომ სუსტი წერტილები მათაც აქვთ, რისი გამოყენება ჩვენც შეგვიძლია".*

ელერდაისმა კომენტარი გააკეთა ბენიტესისა და სერ **ალექს ფერგიუსონის** ბოლოდროინდელ სიტყვიერ შეხლა-შემოხლაზე: *„მხოლოდ უტვინო ადამიანს შეუძლია ფერგიზე ფსიქოლოგიური იერიში მიიტანოს, რადგან შოტლანდიელმა ფეხბურთში ყველაფერი იცის. „დიდი ოთხეულის" ზოგიერთი მწვრთნელისთვის მეც მომიგია მსგავსი დუელი, რაც შეეხება „მანიუს" ბოსს, მასთან არასოდეს არაფერი გამომსვლია. ფერგისთან პაექრობა ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერ საკითხზე წარმოუდგენლად ძნელია".*

**შალვა ბიბილაშვილი**


სემ ელერდაისი

ესპანეთი. ლიგა BBVA XXX ტურის წინ

# ბარსელონა რუტინას უბრუნდება

## რამოსი რობენზე წუხს

| | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ბარსელონა-რეკრეატივო | 22:00 |
| ვილიარეალი-მალაგა | 00:00 |
| **ხვალ** | |
| რეალი-ვალიადოლიდი | 19:00 |
| მალიორკა-ალმერია | 19:00 |
| ოსასუნა-ბილბაო | 19:00 |
| ნუმანსია-ესპანიოლი | 19:00 |
| რასინგი-ბეტისი | 19:00 |
| სპორტინგი-ვალენსია | 19:00 |
| სევილია-ხეტაფე | 21:00 |
| დეპორტივო-ატლეტიკო | 23:00 |

ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნის" განადგურების შემდეგ „ბარსელონა" პრიმერა დივიზიონისთვის მზადებას შეუდგა. ხუთშაბათს **პეპ გვარდიოლამ** ბიჭები მსუბუქად ავარჯიშა. მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენელებთან კატალონიელებს დიდი ენერგია არ დაუხარჯავთ, მთავარმა მწვრთნელმა ტრადიცია მაინც არ დაარღვია და მატჩის მეორე დღეს ბიჭები მძიმე ვარჯიშებისგან გაათავისუფლა. სამაგიეროდ, ესპანური გრანდის დამრიგებელმა შეგირდები პარასკევს აღარ დაინდო და ყველა ის მოთამაშე, რომელიც იმ დროისთვის ტრავმას არ უჩიოდა, სრული დატვირთვით ამუშავა. აქვე მოგახსენებთ, რომ სხვადასხვა სიმძიმის მიკროტრავმის გამო **ლეო მესი, კარლეს პუიოლი, ანდრეს ინიესტა** და **ტიერი ანრი** ფიზმომზადების სპეციალისტების მეთვალყურეობით ინდივიდუალურად ვარჯიშობდნენ. კატალონიური გრანდის სამედიცინო შტაბის ინფორმაციით, ჩამოთვლილ ფეხბურთელებს „რეკრეატივოსთან" მატჩის გამოტოვება არ ემუქრებათ. ისინი მოედანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვერ გავლენ, თუ პეპ გვარდიოლა ტაქტიკური მოსაზრებებით სხვა მოთამაშეებზე გააკეთებს აქცენტს. ძნელი სათქმელია, ეს რამდენად გამართლებული ნაბიჯი იქნება, თუმცა ის კი ფაქტია, რომ „ბარსას" წინ სეზონის ყველაზე პრინციპული დაპირისპირებები ელის და თუ „რეაკრეატივოსთან" წამყვანი ფეხბურთელების ნაწილს დასვენების საშუალებას მისცემენ, ტრაგედია არ მოხდება. მეორე მხრივ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბარსას" მადრიდის „რეალი" ფეხდაფეხ მიჰყვება და იმ შანსს ელოდება, რომელიც ჩემპიონობის მოპოვების შესაძლებლობას მისცემს. ამ გადმოსახედიდან, შეიძლება ითქვას, რომ წამყვანი მოთამაშეების დასვენება გარკვეულ რისკს შეიცავს. გვარდიოლას მართლაც ბევრი საფიქრალი აქვს, მაგრამ ის ნიჭიერი კაცია და სწორი გადაწყვეტილების მიღება არ გაუჭირდება. მთავარია, ფეხბურთელები ტრავმებმა არ შეაწუხოს, თორემ მწვრთნელი გუნდისთვის სასარგებლო ნაბიჯს უპრობლემოდ გადადგამს. გვარდიოლა, როგორც ყოველთვის, ახლაც სერიოზულადაა განწყობილი და აცხადებს, რომ „რეკრეატივოსთან" ხუმრობა არ შეიძლება:

*„ბაიერნთან" მოპოვებული ფანტასტიკური გამარჯვების შემდეგ პრიმერა დივიზიონის ციებ-ცხელებაში ვბრუნდებით. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ძალიან რთული მატჩი გველის. „რეკრეატივო" გრანდი არ არის, მაგრამ გრანდების წინააღმდეგ მთელი ძალით თამაში ძალიან უყვარს. დარწმუნებული ვარ, უელველები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ქულები დაგვაკარგვინონ. ჩვენ კი წაფორხილების უფლება არ გვაქვს. „რეალი" დიდი სხვაობით ნამდვილად არ ჩამოგვრჩება, ამიტომ, „ბარსელონასთვის" ნებისმიერ ქულას ოქროს ფასი აქვს. მოკლედ, „რეკრეატივოსთან" სრული მობილიზებით ვითამაშებთ. ბიჭებმა იციან, რომ თანამედროვე ფეხბურთში სუსტი მოწინააღმდეგეები პრაქტიკულად არ არსებობენ. ამიტომ, როგორც ყოველთვის, ახლაც დიდი პასუხისმგებლობა გვმართებს. მნიშვნელოვანია, რომ ფეხბურთელები საბრძოლველად არიან განწყობილი და გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებათ. მე საოცარი შეგირდები მყავს, ისინი ხედავენ, რომ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში თამაშობენ, მაგრამ ამასთან, გულწრფელად ამბობენ, რომ ჯერ არაფრისთვის მიუღწევიათ. დიახ, ეს სიმართლეა, „ბარსელონას" მიმდინარე სეზონში ჯერჯერობით არანაირი ტიტული არ მოუგია".*

მცირე საკადრო პრობლემები **ხუანდე რამოსსაც** აქვს. სამეფო კლუბის მთავარ მწვრთნელს კვირის განმავლობაში სრულ შემადგენლობასთან მუშაობის საშუალება ერთხელაც არ მიეცა. **მარსელომ, პეპემ** და **არიენ რობენმა** გუშინდელი ვარჯიშიც გამოტოვეს. სამივეს ტრავმა აწუხებს. ვერ ვიტყვით, რომ ისინი სერიოზულად არიან დაშავებული, მაგრამ ფაქტია, ტკივილი მოედანზე გასვლისა და „ვალიადოლიდთან" მატჩისთვის მომზადების საშუალებას არ აძლევთ. გუშინდელი ინფორმაციით, ამ ტრიოს თამაში გამორიცხულია, მაგრამ ხშირად მომხდარა, როცა პარასკევს ერთს ამბობდნენ, მეორე დღეს კი მოვლენები სრულიად საპირისპირო სცენარით ვითარდებოდა. წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, მოდით, დასკვნას ნაადრევად ნუ გამოვიტანთ და შეხვედრის დაწყებას დაველოდოთ. სხვათა შორის, ტრავმამ **ფაბიო კანავაროსაც** შეუშალა ხელი. იტალიელ მცველს ბარძაყის კუნთი აწუხებდა, მაგრამ ესპანელი ექიმების მუხლჩაუხრელი მუშაობის ფასად, მიკროტრავმა მოიშუშა და ბოლო ვარჯიში სრული დატვირთვით ჩაატარა. ვარჯიშზე **იკერ კასილიასმა** მარცხენა ხელის თითი იტკინა. წაქცეულ მეკარეს **დრენტემ** ფეხი დააბიჯა. ექიმები ძალიან შეშინდნენ, ეგონათ, რომ იკერმა თითი მოიტეხა. ის დაუყოვნებლივ რენტგენის გადასაღებად გააქანეს. გამოკვლევამ ცხადყო, რომ საშიში არაფერი იყო. კასილიასს ტკივილმა რამდენიმე საათში გაუარა, ასე რომ, „ვალიადოლიდთან" ის აუცილებლად ითამაშებს. ხუანდე რამოსი ყველაზე მეტად პეპესა და განსაკუთრებით, არიენ რობენის გამო წუხს:

*„არ დავმალავ, რომ ჩემს გუნდში რობენსა და პეპეს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ. ისინი სამეფო კლუბის ერთ-ერთი ლიდერები არიან. ბუნებრივია, მათი არყოფნის შემთხვევაში სერიოზული პრობლემები შეგვექმნება. რობენი მის პოზიციაზე შეუცვლელია. რამდენიც უნდა ვილაპარაკო, მაინც ვერავის დავარწმუნებ, რომ არიენის სრულფასოვნად შეცვლა შესაძლებელია. არა, სენიორებო, ეს გამორიცხულია. ისღა დამრჩენია, ღმერთს დახმარება ვთხოვო. იმედს ბოლო წუთამდე არ დავკარგავ. თუ დავინახავ, რომ რობენსა და პეპეს მოედანზე გასვლა შეუძლიათ, უკან არ დავიხევ".*

ვინ დათვლის, უკვე მერამდენედ, „ატლეტიკოს" ქვესკნელის წყვდიადიდან დედამიწის ზედაპირზე ამოძრომა მართებს. გასულ ტურში „როხიბლანკომ" საშინაო შეხვედრაში დამამცირებელი მარცხი განიცადა და სამი ქულის დაკარგვით ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი გაიუარესა. წელს „ატლეტიკოს" უპირველესი მტერი არასტაბილურობაა. გუნდი ერთ შეხვედრას გასაოცრად ატარებს, ფეხბურთელები გულშემატკივრებსა და სპეციალისტებს პირლიას ტოვებენ, მაგრამ რამდენიმე დღეში შეიძლება ისე საშინლად ითამაშონ, ხალხს თავი შეაძულონ. ასე მოხდა უახლოეს წარსულშიც. მადრიდელებმა „ვილიარეალთან" გმირული მატჩი ჩაატარეს, ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოქაჩეს და მოიგეს, მაგრამ შემდეგ „მალიორკასა" და „ოსასუნასთან" ზედიზედ ორი თამაში წააგეს და „ვილიარეალთან" მიახლოების შანსი დაკარგეს. **აბელ რესინოს** ბიჭებმა ამჯერად ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ „დეპორტივოსთან" გასვლით პაექრობაში აღარ წაიფორხილონ და შინ ჰაერივით საჭირო სამი ქულით დაბრუნდნენ. სენიორ რესინოს პრინციპული დაპირისპირების წინ წამყვანი მოთამაშეების ერთი ჯგუფი დაუბრუნდა. ლაპარაკია, **ჰეიტინგას, მაქსი როდრიგესისა** და **ანტონიო ლოპესის** ტრიოზე. ისინი სხვადასხვა სიმძიმის ტრავმას უჩიოდნენ, მაგრამ შუა კვირაში გამოჯანმრთელდნენ და თავდაუზოგავი ვარჯიშით ფორმა აღიდგინეს. მაქსი როდრიგესს „ატლეტიკოში" მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ამიტომ მთავარი მწვრთნელი მის გამოჯანმრთელებას სიხარულით შეხვდა და გულშემატკივრებს პირობა მისცა, არგენტინელ ნახევარმცველს ძირითად შემადგენლობაში დავაყენებო. „როხიბლანკოს" პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **აბელ რესინოს** განაცხადში კლუბის უკლებლივ ყველა წამყვანი მოთამაშე მოხვდება. **დიეგო ფორლანი** და **სერხიო აგუერო** სანაკრებო თავგადასავლების გამო გადაღლილი იყვნენ, მაგრამ მწვრთნელის მიერ გამოწერილი ინდივიდუალური ვარჯიშებისა და სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ თავს არაჩვეულებრივად გრძნობენ. გულშემატკივრები ყველაზე დიდ იმედს ისევ და ისევ ფორლანს უკავშირებენ. ეს არც არის გასაკვირი, ურუგვაელი ფორვარდი წელს ფანტასტიკურ ფორმაშია და მრავალი გოლი გააქვს. ის კლუბის საუკეთესო ბომბარდირია. აბელ რესინოს „დეპორტივოსთან" მატჩში შესაძლოა, მხოლოდ და მხოლოდ **მანიშე** დააკლდეს.

„სევილია" პრიმერა დივიზიონის დარჩენილ ტურებს არნახული ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობით ეკიდება. ანდალუსიელები, ბუნებრივია, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას უმიზნებენ. მათ ეს ამოცანა პრაქტიკულად გადაჭრილი აქვთ, თუმცა ხომ იცით, ადამიანის ამბიციას ხშირად საზღვარი არ აქვს. ასე ხდება **მანოლო ხიმენესის** გუნდის შემთხვევაშიც. ანდალუსიელები აცხადებენ, რომ ისინი მეორე ადგილის დასაკავებლად იბრძოლებენ. ძნელი სათქმელია, ასეთ ოპტიმიზმს რა განაპირობებს, „რეალი" ხომ 9-ქულიან უპირატესობას ფლობს, თუმცა ოცნებას ვერავინ ვერავის აუკრძალავს. სამხრეთელების პრეზიდენტს, სენიორ **დელ ნიდოს** ღრმად სწამს, იმ შემთხვევაში, თუ მისი გუნდი დარჩენილ ტურებში 5-6 შეხვედრას მოიგებს, სამეფო კლუბს მეორე ადგილს წაართმევს. როგორც ჩანს, დელ ნიდო დარწმუნებულია, რომ დედაქალაქელებს სეზონის მიწურულს ჩავარდნა დაეწყებათ და პოზიციას დათმობენ. მეორე ადგილს ის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ყოველგვარი საკვალიფიკაციო რაუნდების გარეშე ასპარეზობის საშუალებას იძლევა. ამიტომ, ესპანური გრანდები ამ მიზნისთვის ბოლო წამამდე იბრძოლებენ. „ხეტაფესთან" მატჩის წინ სენიორ ხიმენეს სასიხარულო ამბავი შეატყობინეს - **ჟულიენ ესკუდე** სრულიად გამოჯანმრთელდა და ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ მზად არის.

**ილია ნიკოლაიშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 29 | 23 | 3 | 3 | 85-24 | 72 |
| 2. რეალი | 29 | 21 | 3 | 5 | 67-31 | 66 |
| 3. სევილია | 29 | 17 | 6 | 6 | 43-26 | 57 |
| 4. ვილიარეალი | 29 | 13 | 9 | 7 | 45-40 | 48 |
| 5. ვალენსია | 29 | 13 | 7 | 9 | 52-41 | 46 |
| 6. ატლეტიკო | 29 | 12 | 7 | 10 | 58-47 | 43 |
| 7. მალაგა | 29 | 12 | 7 | 10 | 45-47 | 43 |
| 8. დეპორტივო | 29 | 12 | 7 | 10 | 38-40 | 43 |
| 9. ვალიადოლიდი | 29 | 12 | 3 | 14 | 42-47 | 39 |
| 10. რასინგი | 29 | 9 | 9 | 11 | 36-35 | 36 |
| 11. ალმერია | 29 | 9 | 7 | 13 | 36-46 | 34 |
| 12. ბილბაო | 29 | 9 | 7 | 13 | 39-49 | 34 |
| 13. სპორტინგი | 29 | 11 | 0 | 18 | 36-61 | 33 |
| 14. ოსასუნა | 29 | 7 | 11 | 11 | 32-35 | 32 |
| 15. მალიორკა | 29 | 8 | 8 | 13 | 34-48 | 32 |
| 16. ბეტისი | 29 | 7 | 10 | 12 | 41-47 | 31 |
| 17. ხეტაფე | 29 | 7 | 10 | 12 | 39-46 | 31 |
| 18. რეკრეატივო | 29 | 7 | 9 | 13 | 27-41 | 30 |
| 19. ნუმანსია | 29 | 8 | 3 | 18 | 33-59 | 27 |
| 20. ესპანიოლი | 29 | 5 | 10 | 14 | 28-46 | 25 |



ბარსელონამ ბაიერნი მალე უნდა დაივიწყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა


ბეკალი პოლიციელთა გარემოცვაში

სკანდალი

# სტიაუას მფლობელი ციხეშიც არ მშვიდდება

## ჯიჯი ბეკალის ხალხმა მოსამართლის ეზოში ხელყუმბარა ისროლა

როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ რუმინულ ფეხბურთში დიდი სკანდალი მოხდა. „სტიაუას" მფლობელს **ჯიჯი ბეკალის** დედაქალაქის სასამართლომ ერთთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გამოძიებას ეჭვი აქვს, რომ მან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. როგორც გაუწყეთ, საქმის მასალებიდან გამოიკვეთა, რომ ბატონმა ბეკალიმ პირად მცველებს მისი მანქანის ქურდების გატაცება დაავალა. ბიჭებმა დავალება უზადოდ შეასრულეს და სამი ადამიანი გაიტაცეს. ისინი იარაღის მუქარით ქალაქგარეთ, ტყეში წაიყვანეს.

გატაცებულები მანქანის მოპარვის ფაქტს კატეგორიულად უარყოფდნენ და აცხადებდნენ, რომ მარტივი გაუგებრობა ხდებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც აღიარეს, რომ ავტომობილი მათ მოიპარეს. ქურდებმა ძვირადღირებული ნივთი უკან დააბრუნეს და ამით თავისუფლება დაიბრუნეს. ერთი კვირის წინაც ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ, რომ ქურდები ძალიან უცნაურად მოიქცნენ და სამართალდამცავ ორგანოებს მიმართეს. მათ პოლიციაში განაცხადეს, რომ ჯიჯი ბეკალის ბრძანებით გაიტაცეს და შუა ტყეში სამი საათის განმავლობაში დაუნდობლად აწამეს. ბეკალი მაშინვე დააპატიმრეს. ის რუმინეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანია და მისმა დაპატიმრებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია. „სტიაუას" მფლობელის დამქაშები ისე გათავხედდნენ, რომ მოსამართლეს, რომელმაც მათ ბოსს პატიმრობა მიუსაჯეს სიკვდილით დაემუქრნენ. კრიმინალებმა მას ანონიმური წერილი გაუგზავნეს და შეუთვალეს, შენც მოგკლავთ და ცოლ-შვილს ცოცხლად დაგიწვავთო.

დაუჯერებელია, მაგრამ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ასეთი საშინელებებიც ხდება. ბეკალის ამფსონებმა მოსამართლის ეზოში ხელყუმბარა ჩააგდეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, არ აფეთქდა და მის ნამსხვრევებს არაფერი დაუზიანებია. მოსამართლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას არ შეეშინდა და საგანგებო პრესკონფერენციაზე დამნაშავეებს ღიად დაუპირისპირდა - დედაბუდიანად რომ ამოგვწყვიტოთ, უკან მაინც არ დავიხევ, სანამ პირში სული მიდგას, კანონის და სამართლის სამსახურში ვიქნებიო. პოლიცია მომხდარ ფაქტზე გამოძიებას აწარმოებს. რუმინული პრესა ბეკალის წინააღმდეგ დაირაზმა და სახელმწიფოსგან უკანონობის აღკვეთას მოითხოვს. ჟურნალისტები დაუფარავად ამბობენ, რომ პოლიცია კორუმპირებულია და შესაძლოა, კრიმინალებს დიდი თანხის სანაცვლოდ ხელი დააფარონ.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# გზა უკრაინულ-გერმანული ნახევარფინალებისკენ

## გერმანელთა პრესტიჟის საქმე გაკეთდა, მაგრამ რა ეშველება კალჩოს პრესტიჟს?


შახტარმა მარსელს მაგრად ამოჰკრა

ხუთშაბათს „ჰამბურგმა" და „ვერდერმა" უეფას თასის მეოთხედფინალში გერმანული ფეხბურთის შელახული რეპუტაცია ნაწილობრივ აღადგინეს და პირველი მატჩები მოიგეს, რითაც ორივე გუნდს ნახევარფინალში გასვლის საკმაოდ კარგი შანსი აქვს. მარტინ იოლის გუნდმა „მანჩესტერ სიტის" 3:1 მოუგო, ხოლო თომას შააფის სამწყსომ კი ასეთივე ანგარიშით „უდინეზე" დაამარცხა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ „ვერდერმა" გოლი მატჩის მინურულს გაუშვა, „ჰამბურგი" კი თავიდან აგებდა და მერე სამი გოლით ასიამოვნა პრემიერლიგის ამბიციური წარმომადგენელი. პარალელურად, დონეცკის „შახტარმა" საფრანგეთის ჩემპიონობის პრეტენდენტი „მარსელი" 2:0 დაამარცხა, მეორე უკრაინულმა კლუბმა კიევის „დინამომ" კი პარიზში პსჟ-სთან უგოლო ფრეს მიაღწია.

### ვერდერი-უდინეზე 3:1

ისევ და ისევ **დიეგო**! საინტერესოა, რა ეშველებოდა „ვერდერს", რომ არა ბრაზილიელი ფლეიმეიქერი? ან, შეიძლებოდა, ასეც გვეთქვა: რა ეშველება „ვერდერს" გაისად დიეგოს გარეშე? როგორც იცით, ბრემენელები ფაქტობრივად იძულებულები არიან, ზაფხულში თავიანთ სუპერვარსკვლავს შეელიონ. „უდინეზესთან" მატჩში დიეგო „მუსიკოსების" ნამდვილი დირიჟორი იყო, გენიალური პასებიც არიგა და ევროტურნირებს შემორჩენილ ერთადერთ იტალიურ კლუბს ორი გოლიც გაუტანა. საბოლოო ანგარიში კი 3:1-ია და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბრემენული კლუბი ცალი ფეხით ნახევარფინალშია. რომ არა „უდინეზეს" ის ერთადერთი გოლი, რომელიც **ფაბიო კვალიარელამ** 87-ე წუთზე გაიტანა, საპასუხო შეხვედრა ფაქტობრივად უაზრო იქნებოდა.

*„უდინეზეს" კარგი მომენტები ჰქონდა, მაგრამ საერთო ჯამში, ჩვენ უფრო ეფექტურად ვითამაშეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ. სამწუხაროდ, ბოლოს ძალიან გასაბრაზებელი გოლი გავუშვით და ახლა საპასუხო მატჩში ისე მშვიდად ვერ ვიქნებით, როგორც ეს 3:0-ის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი,"* - კმაყოფილია „ვერდერის" დამრიგებელი **თომას შააფი**.

„უდინეზეს" დამრიგებელი **მარინო** კი უკმაყოფილო და გაბრაზებული გახლდათ: *„შეიძლება ითქვას, რომ დღეს ძალიან არ გაგვიმართლა. წესით, მინიმუმ სამი გოლი უნდა გაგვეტანა. კიდევ კარგი, რომ ბოლოს ერთი გოლის გატანა მაინც მოვახერხეთ, რადგან 0:3-ზე წაგების შემთხვევაში, ფაქტობრივად გავარდნილები ვიქნებოდით. ახლა კი შანსი გვაქვს, რომ 2:0 მოვიგოთ, რაც ნახევარფინალში გაგვიყვანს. მჯერა ჩემი გუნდის და ვიცი, რომ „ვერდერის" ამ ანგარიშით დამარცხება შეგვიძლია,"* - თქვა „უდინეზეს" თავკაცმა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს: პირველი ნახევარი საათის განმავლობაში შეხვედრა მეტ-ნაკლებად საინტერესო იყო, ბრემენელები დომინირებდნენ, იტალიელები კი საკუთარი საჯარიმოს მისადგომებს კარგად აკონტროლებდნენ. „ვეზერშტადიონის" პუბლიკა პირველად **ნალდომ** გამოაფხიზლა, რომელმაც 30-ე წუთზე ბურთი ძელს მოარტყა. გამოფხიზლება და გოლის ხილვა ერთი იყო: 34-ე წუთზე დიეგომ **მესუთ იოზილისგან** მიიღო პასი, **დომიცისგან** მას დისკომფორტი არ უგრძვნია, 15 მეტრიდან დაარტყა და მარცხენა დაბალ კუთხეში გაიტანა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა „ვერდერი" სასწაულებრივად გადარჩა: 47-ე წუთზე იტალიელებმა უსწრაფესი კონტრშეტევა განახორციელეს და **ასამოამ** კვალიარელა **ტიმ ვიზესთან** პირისპირ დატოვა. „უდინეზეს" გოლეადორმა ვიზეს ბურთი თავსზემოთ კი გადაატარა, მაგრამ კარს კარგად ვერ დაუმიზნა: ბურთი ვიზეს კარს მცირე მანძილით ასცდა. უდინელები მძაფრი კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას, „ვერდერი" კი კვლავინდებურად დომინირებდა. შეიძლება ითქვას, რომ არჩეულ ტაქტიკას იტალიელები უფრო უკეთ ასრულებდნენ. ასე, მაგალითად, 59-ე წუთზე კვალიარელა კიდევ ერთხელ გავიდა ვიზესთან პირისპირ, მაგრამ „ვერდერის" მეკარემ გუნდი იხსნა. ამ ფაქტს კი დიეგოს შესანიშნავი გოლი მოჰყვა: ბრაზილიელმა საჯარიმოში **დ'აგოსტინო** დაიფრინა და კუთხისკენ დაარტყა. იტალიელებმა ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლეს და ანგარიში 2:0 გახდა. უფრო მეტიც: ზუსტად ორ წუთში „მუსიკოსებმა" კიდევ ერთხელ დალაშქრეს იტალიელების კარი: **ბიონიშის** გრძელ პასს **უგო ალმეიდა** გამოეხმაურა და **ჰანდაროვიჩს** ბურთი კარიდან მესამედ გამოატანინა. 3:0 უკვე გამანადგურებელი და „უდინეზესთვის" ფაქტობრივად უიმედო ანგარიში გახლდათ, რის გამოც იტალიელებმა უფრო აგრესიულად შეუტიეს. „ვერდერსაც" ცოტათი ჩაეძინა და ბოლოს და ბოლოს, კვალიარელამ ნავსი გატეხა: ვიზეს გაუტანა - 3:1.

### ჰამბურგი-მანჩესტერ სიტი 3:1

ცალი ფეხით ნახევარფინალშია „ჰამბურგიც", რომელმაც „მანჩესტერ სიტი" დაამარცხა - ასევე 3:1. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დიდი შანსია, ნახევარფინალში „ვერდერი" და „ჰამბურგი" ერთმანეთის წინააღმდეგ წარდგნენ. „ჰამბურგის" გამარჯვებაც მეტწილად ერთი ფეხბურთელის დამსახურებაა. ლაპარაკია ასევე გამთამაშებელ **პიოტრ ტროხოვსკიზე**, რომელმაც ერთი გოლი თვითონ გაიტანა, ორი კი სხვებს გაატანინა. იოლის შეგირდები თავიდან არც ისე კარგად გამოიყურებოდნენ: თამაშის დაწყებიდან ერთი წუთიც კი არ იყო გასული, როცა **აირლენდმა** სტუმრები დააწინაურა - **რობინიოს** პასით, რომელმაც მანამდე **ბენჯამინი** და **გრავგაარდი** გააცურა. როგორც წესი, „ჰამბურგი" ამ სეზონში მხოლოდ მაშინ იწყებს ხოლმე თამაშს, როცა გოლს გაუშვებს. ამჯერადაც ასე მოხდა: მე-5 და მე-8 წუთებზე **მლადენ პეტრიჩმა** და გრავგაარდმა ჩინებული შანსები ვერ გამოიყენეს (**შეი გივენმა** იყოჩაღა), სამაგიეროდ, მე-9 წუთზე იოლის გუნდმა ანგარიში გაათანაბრა - ტროხოვსკის კუთხურს **იორის მატიისენი** გამოეხმაურა, ბურთს ურქინა და 1:1. ამის შემდეგ „ჰამბურგმა" უკანმოუხედავად შეუტია, მაგრამ გერმანელები გოლის გატანას ველარ ახერხებდნენ. პირველი ტაიმის მინურულს ჩინებული შანსი ჰქონდა ტროხოვსკის, რომელმაც **ოლიჩისგან** კარგი პასი მიიღო, მაგრამ გივენის წინაშე ვერაფერს გახდა.

სამაგიეროდ, ჰამბურგელებმა მეორე ტაიმში შეძლეს „სიტის" გატეხა. ჯერ იყო და, **რიჩარდმა** საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და მსაჯის მიერ დანიშნული თერთმეტმეტრიანი ტროხოვსკიმ გოლად აქცია (72), მერე კი, ტროხეს პასით უკვე **პაულო გერერომ** იხეირა, რომელიც მანამდე მოედანზე ივიცა ოლიჩის ნაცვლად შევიდა. **მარკ ჰიუზის** ამბიციურმა გუნდმა „ჰამბურგს" დარჩენილ დროში ველარაფერი დაუპირისპირა, მაგრამ „სიტის" თავკაცმა მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე დაიქადნა, საპასუხო შეხვედრაში „ჰამბურგს" ჯოჯოხეთს მოვუწყობთო. ვნახოთ...

### პსჟ-დინამო (კ) 0:0

თუკი ერთ მხარეს ნახევარფინალისკენ გერმანული კლუბები ისწრაფვიან და ძალიან კარგი შანსი აქვთ, რომ უეფას თასის მიმდინარე გათამაშებაში გერმანული ნახევარფინალი გამოაცხონ, მეორე მხრივ უკრაინელები უმიზნებენ უკრაინულ ნახევარფინალს. პსჟ-სა და კიევის „დინამოს" დაპირისპირებას თვით საფრანგეთის პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზიც** კი ესწრებოდა, მაგრამ პარიზულ კლუბს ქვეყნის პირველი პირის სტუმრობა ვერაფერში წაადგა. პსჟ-მ უკრაინულ გრანდთან მხოლოდ 0:0-ს მიაღწია. ეს იყო ტაქტიკურად ძალიან დატვირთული და მძიმედ საყურებელი შეხვედრა - სარკოზი ნამდვილად ვერ დაიჩემებს, რომ ამ თამაშის ყურებით სიამოვნება მიიღო. პარიზელები სათამაშო ასპექტში მხოლოდ მცირე უპირატესობას ფლობდნენ, რაც ანგარიშში ვერ ასახეს. 31-ე წუთზე **შანტომს** შეეძლო პსჟ-ს დაწინაურება, მაგრამ „დინამოს" მეკარე **ბოგუში** აღუდგა წინ. ეს იყო ერთადერთი რეალური მომენტი, რომელიც ამ შეხვედრაში შეიქმნა. საბოლოოდ 0:0, რაც კიევურ კლუბს საპასუხო მატჩისთვის უპირატესობას ანიჭებს.

### შახტარი-მარსელი 2:0

მეორე უკრაინულმა კლუბმაც საკმაოდ კარგი ფორა შეიქმნა - დონეცკელებმა „მარსელს" 2:0 მოუგეს და მომავალ ხუთშაბათს, „ველოდრომზე" მშვიდად შეეცდებიან სასურველი შედეგის მიღწევას. **ერიკ გერეტსის** სამწყსო კი ვალდებული იქნება, შეუტიოს. დონეცკური კლუბიდან გოლები მცველმა **ტომას ჰიუბშმანმა** (39) და ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **ჟადსონმა** გაიტანეს.

ერთი სიტყვით, შანსი იმისა, რომ ერთი ნახევარფინალი გერმანული იყოს (ვერდერი-ჰამბურგი), მეორე კი-უკრაინული (დინამო-შახტარი), ძალიან დიდია...

**გოტფრიდ ლენცი**



გამოვიდა ახალი ნომერი

გერმანია. ბუნდესლიგა XXVI ტურის წინ

# მოდი, ვნახოთ მგელი...

## დესპოტ ფელიქსს რკინის ჰანსი შეაჩერებს?

| დღეს | |
|---|---|
| ბორუსია (მ)-ვოლფსბურგი | 17:30 |
| ბაიერნი-აინტრახტი | 17:30 |
| ჰანოვერი-ჰერტა | 17:30 |
| შალკე-კარლსრუე | 17:30 |
| ჰოფენჰაიმი-ბოხუმი | 17:30 |
| კოტბუსი-არმინია | 17:30 |
| ბორუსია (დ)-კიოლნი | 17:30 |
| **ხვალ** | |
| ლევერკუზენი-ვერდერი | 19:00 |
| შტუტგარტი-ჰამბურგი | 19:00 |

„ვოლფსბურგი" ლიდერობის შენარჩუნებას ეცდება და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოუვა, თუ მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" ზედიზედ მეცხრე გამარჯვებას იზეიმებს. „გლადბახი" სუსტი გუნდია, მაგრამ ნამდვილად შეუძლია, რომ პირველ ადგილზე ალზევებული „ვოლფსბურგისთვის" კერკეტი კაკალი გახდეს. ამასთან, ძალიან საინტერესოა, რა რეაქციას აჩვენებს მიუნხენის „ბაიერნი" ერთ კვირაში განცდილი ორი კატასტროფული მარცხის (1:5 ვოლფსბურგში, 0:4 ბარსელონაში) შემდეგ. საერთაშორისო ამბიციები, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხის პირისპირ - ასეთი დევიზით იმართება ამ ტურში სამი მატჩი: „შალკე"-„კარლსრუე", „ჰანოვერი"-„ჰერტა" და „ჰოფენჰაიმი"-„ბოხუმი". „სარდაფში" ერთმანეთს „კოტბუსი" და „არმინია" შეებრძოლებიან, ხვალ კი, უეფას თასის მონაწილენი, „ვერდერი" და „ჰამბურგი" თამაშობენ.

მიონხენგლადბახის „ბორუსია" მე-16 ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ **ჰანს მაიერის** გუნდი მეორე ბუნდესლიგაში ვარდება. წინა ტურში „გლადბახმა" „კარლსრუესთან" ფრეს მიაღწია, ახლა კი, „რკინის ჰანსის" სამწყსოს წინაშე ძალიან რთული ამოცანა დგას: წარმატების მიღწევა გალიდერებულ „ვოლფსბურგთან", რომელიც ბოლო დროს ქვას ქვაზე არ ტოვებს. მაიერისთვის დიდად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მას **მარკო მარინი** უბრუნდება. ეს უკანასკნელი დისკვალიფიცირებული იყო და ძირითადი შემადგენლობიდან **ოლივერ ნოივილს** ამოაგდებს. ალსანიშნავია, რომ მიუხედავად ცუდი შედეგებისა, „გლადბახი" ამ სეზონში ჩრდილოგერმანულ კლუბებს კუდამოძუებულებს ისტუმრებდა. „ბორუსიამ" აქამდე უკვე მოუგო „ჰამბურგს", „ვერდერს" და „ჰანოვერს". საინტერესოა, შესწევს თუ არა „გლადბახს" „ვოლფსბურგისთვის" ფეხის დადების უნარი. ფაქტია, რომ **ფელიქს მაგათის** გუნდი ცოტათი ეიფორიაშია „ბაიერნის" განადგურების, გალიდერების და ზოგადად ზედიზედ რვა თამაშის მოგების გამო. თუმცა არა გვგონია, რომ ამ ყველაფერმა „დესპოტი ფელიქსის" შეგირდების თავდაჯერებაზე იმოქმედოს.

მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის საფრთხის წინაშე მყოფი გუნდების ზონა მე-12 ადგილიდან იწყება, სადაც ფრანკფურტის „აინტრახტია" 29 ქულით. „აინტრახტს" „ჰანოვერი" (26 ქულა) და „ბოხუმი" (25) მოსდევენ. ალსანიშნავია, რომ ამ ტურში სამივე მათგანი საუკეთესო სამეულის წარმომადგენლებს ხვდება. ყველაზე საინტერესო ის არის, თუ როგორ წარმოაჩენს თავს შერცხვენილი „ბაიერნი" „აინტრახტთან" მატჩში. ბავარიელთა მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** ხომ უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული: მისი გუნდი გერმანიის თასიდან გავარდა, ჩემპიონთა ლიგიდანაც ფაქტობრივად გავარდნილია და ბუნდესლიგაშიც მხოლოდ მეოთხე ადგილზეა. მოკლედ, რეკორდმაისტერს ახლა მართებს მთელი ძალების მოკრება: „ბაიერნმა" „აინტრახტს" თავისი რეალური ძალა უნდა აგრძნობინოს. მართალია, „აინტრახტი" კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ მყოფ „გლადბახს" 6 ქულით უსწრებს, მაგრამ რაკი „ბაიერნი" კრიზისშია, ფრანკფურტელები მიუნხენში გასასეირნებლად არ მიდიან. მიუნხენიდან რაღაცის წამოღება გვინდაო, ამბობს **მარკუს შტაინჰიოფერი**, რომელიც ერთ დროს მიუნხენური კლუბის მოყვარულთა გუნდში თამაშობდა და რა თქმა უნდა, მინიმუმ ერთ ქულას გულისხმობს.

როგორც ყოველთვის, „ჰანოვერს" სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში წელსაც ძალიან ცუდი შედეგები აქვს (0 მოგება, 2 ფრე, 11 წაგება), რის გამოც, წითლები გადარჩენას საშინაო მატჩებში მიღწეული წარმატებებით ცდილობენ. დღეს „96" „ჰერტას" მასპინძლობს და მთავარი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** ამბობს, ბერლინელებთან აუცილებლად 3 ქულა უნდა მოვიპოვოთო. მას მერე, რაც „ჰერტამ" წინა ტურში შინ „დორტმუნდთან" წააგო და ლიდერობა დაკარგა, დედაქალაქურ კლუბს აღარც „ჰანოვერი" უფრთხის. თანაც, „ჰერტას" ზედიზედ ორი თამაში აქვს წაგებული და აშკარად რეგრესი დაეწყო.



შეაჩერებს ჯემსის (ძირს) გლადბახი გრაფიტეს ვოლფსბურგს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლუსიენ ფავრს ანდრეი ვორონინი** დროულად გამოუჯანმრთელდა, სამაგიეროდ, ტრავმირებულია **მარკო პანტელიჩი**.

„ჰოფენჰაიმს" ძალიან ცუდად მისდის საქმეები. **რალფ რანგნიკის** გუნდმა მეორე წრეში, ბოლო რვა თამაშში 6 ფრე ითამაშა და 2-ჯერ დამარცხდა. შესაბამისად, პირველი წრის სენსაციური გამარჯვებული „სოფლელები" ახლა უკვე მეექვსე ადგილზე იმყოფებიან. „ჰოფეს" მთავარი მიზანი, მინიმუმ მეხუთე ადგილზე გასვლაა - გუნდს უეფას თასის საგზურის მოპოვება უნდა. ამისათვის კი, დღეს „ბოხუმის" დამარცხება საჭირო. ტრავმირებული **ტიმო ჰილდებრანდის** ნაცვლად, „ჰოფენჰაიმის" კარს **დანიელ ჰაასი** დაიცავს. რანგნიკს თავდასხმაში **ბუბაკარ სანოგო** აკლია, მისი შეცვლის პირველი ალტერნატივა ბრაზილიელი **ველინგტონი** გახლავთ, მეორე კი, ახალგაზრდა იტალიელი ფორვარდი **ტერაცინო**. დიდი შანსია, რომ „ბოხუმს" არ ჰყავდეს ფლეიმეიქერი **აზაუაგი**, ეჭვქვეშაა ფორვარდ **კლიმოვიჩის** თამაშიც.

„არმინიასთან" მოგებული მატჩის შემდეგ (2:0 ბილეფელდში), „შალკეში" ოპტიმიზმი დაბრუნდა. წარმატების უმთავრესი შემოქმედები კი მწვრთნელთა ტრიოა: **მაიკ ბიუსკენსი, იური მიულდერი** და **ოლივერ რეკი**. დღეს გელზენკირხენული კლუბი აუტსაიდერ „კარლსრუეს" მასპინძლობს - გუნდს, რომელიც ნელ-ნელა ეგუება, რომ მომავალ სეზონს მეორე ბუნდესლიგაში გაატარებს. „შალკეს" ფანებს კი იმედი გაუჩნდათ, რომ მათი საყვარელი გუნდი გაისად უეფას თასზე მაინც ითამაშებს. ფაქტობრივად ასეთივე მდგომარეობაშია დორტმუნდის „ბორუსიაც", რომელმაც ერთი კვირის წინ ყველა გააკვირვა იმით, რომ ბერლინში ლიდერ „ჰერტას" 3:1 მოუგო. ვესტფალიელთა მთავარი მწვრთნელი „კიოლნთანაც" იმავე შემადგენლობას დაეყრდნობა, რომელმაც „ჰერტას" მოუგო და აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „კიოლნი" ზოგადად ამ სეზონში სტუმრად ხშირად აცხობს სენსაციებს.

კოტბუსში ერთმანეთის წინააღმდეგ „ენერგი" და არმინია წარდგებიან, რაც ქვესკნელის დუელია. ზედიზედ ხუთი მატჩის წაგების შემდეგ, **ბოიან პრაშნიკარის** „კოტბუსი" ბოლოსწინა ადგილზეა და გავარდნის რეალური კანდიდატია. გუნდის ფლეიმეიქერ **ერვინ სკელა** თანაგუნდელებისგან ამ შეხვედრისთვის მაქსიმალურ კონცენტრაციას ითხოვს. საქმე რთულად აქვთ ბილეფელდებსაც, რომლებიც საშიშ ზონას მხოლოდ ერთი ქულით არიან მოშორებულები - მათთვის „კოტბუსთან" წაგება დაუშვებელია.

ხვალ კი ორი მეტად საინტერესო მატჩია: „ლევერკუზენი"-„ვერდერი" და „შტუტგარტი"-„ჰამბურგი". „ლევერკუზენისა" და „შტუტგარტის" ფეხბურთელებს იმის იმედი აქვთ, რომ მათი მეტოქეები გადაღლილები იქნებიან: „ჰამბურგი" და „ვერდერი" ხუთშაბათს ხომ უეფას თასზე თამაშობდნენ. „ბაიერი" „კიოლნის" დამარცხებით (2:0) მეხუთე ადგილს მიუახლოვდა (41 ქულა), რაც ბრემენული კლუბისთვის ჯერჯერობით ოცნების სფეროა (35 ქულა). იმისათვის, რომ „ვერდერმა" ხუთეულში მოხვედრის შანსი შეინარჩუნოს, ხვალ ბრემენელებმა აუცილებლად უნდა დაამარცხონ **ბრუნო ლაბადიას** გუნდი, რაც „მუსიკოსებისთვის" იოლი ნამდვილად არ იქნება. ბევრისთვის ასე ნანატრ მეხუთე ადგილზე ახლა „შტუტგარტია" და **მარკუს ბაბელის** შეგირდები ამ პოზიციის შესანარჩუნებლად ყველაფერს გააკეთებენ. ამისათვის, შვაბები „ჰამბურგთან", როგორც მინიმუმ, არ უნდა დამარცხდნენ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ „შტუტგარტი" სულ სამი ქულის მოპოვებას შეძლებს, შვაბებს უფრო მეტის მიღწევის შანსი გაუჩნდებათ და ვინიცობაა, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც გაიბრძოლონ. „შტუტგარტს" დისკვალიფიცირებული **კაკაუ** არ ეყოლება, რომელსაც ან **მარიკა** შეცვლის, ანაც ახალგაზრდა **შიბერი**. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ჰამბურგი" საკმაოდ კარგ ფორმაშია. **მარტინ იოლის** გუნდმა ბუნდესლიგაში ზედიზედ სამი მატჩის მოგების შემდეგ, უეფას თასის მეოთხედფინალში „მანჩესტერ სიტიც" დაამარცხა (3:1) და ნახევარფინალში გასვლის ჩინებული შანსი აქვს.

გოტფრიდ ლენცი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვოლფსბურგი | 26 | 15 | 6 | 5 | 58-32 | 51 |
| 2. ჰამბურგი | 26 | 16 | 3 | 7 | 40-36 | 51 |
| 3. ჰერტა | 26 | 15 | 4 | 7 | 40-32 | 49 |
| 4. ბაიერნი | 26 | 14 | 6 | 6 | 54-36 | 48 |
| 5. შტუტგარტი | 26 | 13 | 6 | 7 | 46-37 | 45 |
| 6. ჰოფენჰაიმი | 26 | 12 | 8 | 6 | 52-35 | 44 |
| 7. ლევერკუზენი | 26 | 12 | 5 | 9 | 48-33 | 41 |
| 8. შალკე | 26 | 11 | 7 | 8 | 36-27 | 40 |
| 9. ბორუსია (დ) | 26 | 9 | 13 | 4 | 40-32 | 40 |
| 10. ვერდერი | 26 | 9 | 8 | 9 | 50-36 | 35 |
| 11. კიოლნი | 26 | 9 | 5 | 12 | 29-37 | 32 |
| 12. აინტრახტი | 26 | 7 | 8 | 11 | 32-40 | 29 |
| 13. ჰანოვერი | 26 | 6 | 8 | 12 | 36-56 | 26 |
| 14. ბოხუმი | 26 | 5 | 10 | 11 | 30-42 | 25 |
| 15. არმინია | 26 | 4 | 12 | 10 | 21-38 | 24 |
| 16. ბორუსია (მ) | 26 | 6 | 5 | 15 | 32-47 | 23 |
| 17. კოტბუსი | 26 | 5 | 5 | 16 | 22-46 | 20 |
| 18. კარლსრუე | 26 | 5 | 3 | 18 | 18-42 | 18 |

ბაიერნი

# კლინსმანს ზაფხულში გააგდებენ!

## აინტრახტი მისთვის ბოლო შანსია, რათა სეზონის ბოლომდე დარჩეს

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

გამოცემა „ბილდი" გუშინ დარწმუნებით იუწყებოდა, რომ მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა **იურგენ კლინსმანის** გათავისუფლება გადაწყვიტეს. მართალია, კლინსი დღეს, „აინტრახტთან" მატჩში გუნდს უთავკაცებს, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ცნობილია: მომავალ სეზონში რეკორდმაისტერს ახალი დამრიგებელი ეყოლება. ხსენებული გამოცემის ინფორმაციით, ბავარიული გრანდის ხელმძღვანელებიც მიხვდნენ, რომ კლინსმანს „ბაიერნთან" ერთად მომავალი ვერ ექნება. მიხვდნენ, რომ იურგენი ფაქტობრივად სტატისტის როლშია და არა მთავარი მწვრთნელისა.

არადა, ჯერ კიდევ ბარსელონაში ყოფნისას, მიუნხენში გაფრენამდე, კლინსმანმა კიდევ ერთხელ სცადა, მისთვის დამახასიათებელი ოპტიმისტური განცხადებებით ყველა დაერწმუნებინა, რომ „ბაიერნისთვის" ჯერ კიდევ ღირსეული მწვრთნელია. მაგრამ როგორც ჩანს, იურგენი ამაში ველარავის არწმუნებს.

*„ახლა უკვე თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ 12-ს უკლია 5 წუთი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგაში სასწრაფოდ მოგებათა სერია უნდა გამოვაცხოთ. დარწმუნებული ვარ, ეს შეგვიძლია!"* - განაცხადა კლინსმანმა მიუნხენში დაბრუნების შემდეგ. კლინსისთვის სამწუხაროდ, „ბაიერნის" შეფები, მენეჯერი **ული ჰიონესი** და ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** ამაში დარწმუნებულები არ არიან. ისინიც ამჩნევენ, რომ **რიბერი** და კომპანია მართალია, კლინსმანის წინააღმდეგ არ თამაშობენ, მაგრამ არც კლინსმანისთვის თამაშობენ, რაც უკვე სახიფათოა. არანაირი ტაქტიკური განმარტებები, არანაირი ტაქტიკური ვარჯიშები, მხოლოდ ხმამაღალი სიტყვები მატჩის წინ და შესვენების დროს - რეკორდმაისტერის ფეხბურთელებს კლინსმანი ყელში ამოუვიდათ, მათ მწვრთნელი სჭირდებათ და არა მხოლოდ მოტივატორი.

კი მაგრამ, რატომ არ რეაგირებს „ბაიერნის" ხელმძღვანელობა ახლავე? რატომ არ ცდილობენ ჰიონესი და რუმენიგე იმის გადარჩენას, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელია? „ბილდის" ინფორმაციით, ული და კალე ყველანაირად შეეცდებიან, კლინსი ზაფხულამდე არ გაუშვან, იქნებ გუნდი როგორმე გახდეს გერმანიის ჩემპიონი. ეს კი ჰიონესს და რუმენიგეს იმისთვის სჭირდებათ, რომ კლინსმანის ბაიერნული სამწვრთნელო კარიერა მთლად ჩასვრილად არ გამოცხადდეს და კლინსის რეკორდმაისტერის დამრიგებლად დანიშვნას „დიდი შეცდომა" არ ეწოდოს. როგორც იცით, იურგენი სწორედ ჰიონესის და რუმენიგეს დანიშნულია. შესაბამისად, ისინიც ხედავენ,

»»» 10

9 «««

რომ მწვრთნელის ახლავე გაგდების შემთხვევაში, მათაც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა. ეს კი გარკვეულწილად რისკია, რადგან საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შეიძლება, „ბაიერნი" ისევ უეფას თასის საგზურს დასჯერდეს. სამაგიეროდ, ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებით და სანდო წყაროებზე დაყრდნობით იუწყებიან, რომ ზაფხულში მიუნხენური კლუბის პროექტი სახელწოდებით „იურგენ კლინსმანი", აუცილებლად დაიხურება - კლინსის რეკორდმაისტერიდან გაუშვებენ.

დღეს „ბაიერნი" ფრანკფურტის „აინტრახტს" მასპინძლობს და ეს შანსი იურგენისთვის ფაქტობრივად ბოლოა. თუკი რეკორდმაისტერი „აინტრახტს" მოუგებს, მაშინ კლინსმანი პოსტზე დარჩება, ოღონდ, როგორც გითხარით, სეზონის ბოლომდე ან მანამდე, სანამ გუნდს ჩემპიონობის შანსი ექნება. იმ შემთხვევაში, თუ ბავარიელები ფრანკფურტელებთან დამარცხდებიან, კლინსმანს თანამდებობიდან ახლავე გაათავისუფლებენ. თუ მატჩი ფრედ დამთავრდება, კლინსმანის ახლავე გაშვების საკითხი მაინც დადგება დღის წესრიგში. განსაკუთრებით მაშინ, თუ „ვოლფსბურგი", „ჰერტა" და „ჰამბურგი" მოიგებენ, რადგან ასეთ შემთხვევაში „ბაიერნს" არა მარტო ჩემპიონობის შანსი შეუმცირდება მინიმუმამდე, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება გაისად რეკორდმაისტერის ჩემპიონთა ლიგაში თამაშიც. ასე რომ, კლინსმანს „ბაიერნში" არც ერთ შემთხვევაში არ აქვს მომავალი...

**გოტფრიდ ლენცი**



იურგენ კლინსმანი ნიჩაბზე შემოდეს

**ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII ტური**

# გენერალური რეპეტიცია ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მატჩების წინ

| დღეს | |
|---|---|
| ლივერპული-ბლექბერნი | 14:45 |
| ჩელსი-ბოლტონი | 17:00 |
| მიდლსბრო-ჰალ სიტი | 17:00 |
| პორტსმუთი-ვესტ ბრომვიჩი | 17:00 |
| სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ. | 17:00 |
| ტოტენჰემი-ვესტ ჰემი | 17:00 |
| უიგანი-არსენალი | 17:00 |
| სტოკ სიტი-ნიუკასლი | 19:30 |
| **ხვალ** | |
| ასტონ ვილა-ევერტონი | 16:00 |
| მანჩესტერ სიტი-ფულჰემი | 18:10 |

პრემიერლიგის ლიდერი "მანჩესტერ იუნაიტედი" სანდერლენდში მიემგზავრება. მას ცენტრალური მცველი **რიო ფერდინანდი** ვერ დაეხმარება. ფერდინანდმა საზარდულის ტრავმის მოშუშება ვერ მოასწრო, რის გამოც წინა ტურის შეხვედრა, აგრეთვე ჩემპიონთა ლიგაში "პორტუსთან" პირველი მეოთხედფინალური მატჩი გამოტოვა. ფერდინანდი ინგლისის ნაკრებში ყოფნისას დაშავდა.

"პორტუსთან" შეხვედრაში რიოს მაგივრად ახალგაზრდა **ჯონი ევანსმა** ითამაშა, მაგრამ ისიც დაშავდა. დღეს მისი ასპარეზობა საეჭვოა. ამ ვითარებაში დაცვის ცენტრში თამაში **ჯონ ოშის** დაეკისრება. კოჭის ტრავმას იშუშებს **დიმიტარ ბერბატოვი**. ნეკნს იტკიებს **უეინ რუნი**. ის "პორტუსთან" შეხვედრაში დაშავდა, მაგრამ სერ **ალექს ფერგიუსონმა** დღევანდელი მატჩის განაცხადში მაინც შეიყვანა.

"ლივერპულმა" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალში დასანანი მარცხი იწვნია. მან "ჩელსისთან" საკუთარ მოედანზე 1:3 წააგო. გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაციაა საჭირო. ეს კი "ბლექბერნთან" დღევანდელ შეხვედრაში უნდა მოხდეს.

მერსისაიდელებს **სტივ ჯერარდი** დაუშავდათ. მას საზარდულის ტრავმა აწუხებს. ჯერარდის ასპარეზობა კითხვის ქვეშაა, მაგრამ **რაფა ბენიტესმა** ის განაცხადში მაინც შეიყვანა. სავარაუდოდა, სტივი ძირითად შემადგენლობაში ვერ ითამაშებს. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეხმარება თანაგუნდელებს, თუ მათ ძალიან გაუჭირდებათ.

ბენიტესმა განაცხადა, რომ კაპიტნის გარისკვას არ აპირებს. თუ მას ტრავმა გაურთულდება, შეიძლება, რამდენიმე კვირიანი დასვენება გამოიწეროს. ეს კი სენიორ რაფას გეგმებში არ შედის. ჯერარდი ლივერპულელთა ერთადერთი თავის ტკივილია. დისკვალიფიკაცია მოიხადა და ძირითად შემადგენლობას უბრუნდება არგენტინელი ნახევარმცველი **ხავიერ მასკერანო**.

უფრო სერიოზული საკადრო პრობლემები აწუხებს "ბლექბერნს". "ვარდებს" ყველაზე მეტად თავდასხმაში უჭირთ. ვერ ითამაშებენ **როკე სანტა კრუსი** და **ჯეისონ რობერტსი**. საეჭვოა ნორვეგიელი ნახევარმცველის, **მორტენ გამსტ პედერსენის** ასპარეზობაც. გამოჯანმრთელდა და განაცხადში იქნება ავსტრალიელი ნახევარმცველი **ვინს გრელა**.

დღეს "ჩელსი" "ბოლტონს" მასპინძლობს. ლონდონელთა თავკაცმა **გუუს ჰიდინკმა** უნდა გადაწყვიტოს, ვინ ათამაშოს დაცვის ცენტრში - **რიკარდო კარვალიო**, თუ **ჯონ ტერი**. ტერი "ლივერპულთან" განმეორებით შეხვედრაში ვერ ითამაშებს (დისკვალიფიკაცია). მწვრთნელი "ბოლტონთან" მატჩს იმ შეხვედრისათვის მოსამზადებლად გამოიყენებს. ამიტომ სავარაუდოა, რომ ტერის სკამზე გაამწესებს, ძირითადში კი პორტუგალიელს ვიხილავთ. რიკარდო კარვალიოს პარტნიორი ბრაზილიელი **ალექსი** იქნება.

"უიგანთან" მატჩის წინ "არსენალს" საკადრო პრობლემები შეექმნა. ვერ ითამაშებენ მეკარე **მანუელ ალმუნია** და მცველი **გაელ კლიში**. ისინი "ვილიარეალთან" ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩისას დაშავდნენ. იმავე შეხვედრაში მძიმე ტრავმა მიიღო **ვილიამ გალასმა** და სეზონი ნაადრევად დაასრულა.

საზარდულის ტრავმები მოიშუშეს „მეთოფეთა" წამყვანმა თავდამსხმელებმა – **რობინ ვან პერსიმ** და **ედუარდო და სილვამ**. საეჭვოა **აბუ დიაბის** ასპარეზობა. ეს უკანასკნელი ბარძაყის კუნთს იტკიებს.

პრობლემები აქვს "ვიგანსაც". მძიმედ დაშავდა და მომავალ სეზონამდე დაისვენებს კორეელი ნახევარმცველი **უონ-ჰი ჩო**. მთავარმა მწვრთნელმა **სტივ ბრუსმა** განაცხადში არ შეიყვანა გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **ამრ ზაქი**. ეგვიპტელი თავდამსხმელი სანაკრებო შეკრებიდან გვიან დაბრუნდა. უიგანელთა თავკაცმა კი მისი დასჯა გადაწყვიტა.

საინტერესო მატჩი გაიმართება ბირმინგემში. "ასტონ ვილა" „ევერტონს" უმასპინძლებს. "ვილა", ფაქტობრივად, თავდამსხმელების გარეშე დარჩა. **გაბრიელ აგბონლაორს** ვირუსი შეეყარა. მისი ასპარეზობა საეჭვოა. **ემილ ჰესკი** დაშავებულია და ნამდვილად ვერ ითამაშებს. ლაზარეთშია ბირმინგემელთა ძირითადის კიდევ სამი მოთამაშე - კაპიტანი **მარტინ ლაურსენი**, **ვილფრედ ბუმა** და **კარლოს კუელიარი**. სამივე მათგანი მცველია.

"ევერტონის" შემადგენლობაში ვიხილავთ ამერიკელ გოლკიპერ **ტიმ ჰოვარდს**. "უიგანთან" ბოლო ტურის მატჩისას ჰოვარდმა მუხლი იტკინა. სამედიცინო გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მას მყესები ჰქონდა დაჭიმული, მაგრამ ტრავმა ისეთი სერიოზული არ აღმოჩნდა, როგორც შიშობდნენ.

ამ ტურის ლონდონურ დერბიში "ვესტ ჰემი" "ტოტენჰემს" ესტუმრება. "ჩაქუჩები", ფაქტობრივად, სათადარიგო შემადგენლობით ითამაშებენ. **ჯანფრანკო ძოლას** ოთხი მოთამაშე ნამდვილად არ ეყოლება. ესენი არიან: თავდამსხმელები **კარლტონ კოული** და **დინ ეშტონი**, აგრეთვე ნახევარმცველები **ვალონ ბეჰრამი** და **ჯეკ კოლისონი**. კიდევ ორი მოთამაშის, **სკოტ პარკერისა** და **რადოსლავ კოვაჩის** ასპარეზობა საეჭვოა.

"ტოტენჰემი" უკეთეს მდგომარეობაშია. მას მხოლოდ ორი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული: ნახევარმცველი **ვილსონ პალასიოსი** და თავდამსხმელი **ჯერმეინ დეფო**. ეს უკანასკნელი თითქმის გამოჯანმრთელდა, თუმცა დღეს მაინც ვერ ითამაშებს.

**შალვა ბიბილაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 30 | 21 | 5 | 4 | 52-19 | 68 |
| 2. ლივერპული | 31 | 19 | 10 | 2 | 55-21 | 67 |
| 3. ჩელსი | 31 | 19 | 7 | 5 | 51-17 | 64 |
| 4. არსენალი | 31 | 16 | 10 | 5 | 50-27 | 58 |
| 5. ასტონ ვილა | 31 | 15 | 7 | 9 | 45-39 | 52 |
| 6. ევერტონი | 31 | 14 | 9 | 8 | 44-31 | 51 |
| 7. ვესტ ჰემი | 31 | 12 | 8 | 11 | 37-35 | 44 |
| 8. უიგანი | 31 | 11 | 8 | 12 | 30-32 | 41 |
| 9. ფულჰემი | 31 | 10 | 10 | 11 | 30-27 | 40 |
| 10. მანჩესტერ სიტი | 31 | 11 | 5 | 15 | 46-39 | 38 |
| 11. ტოტენჰემი | 31 | 10 | 8 | 13 | 37-36 | 38 |
| 12. ბოლტონი | 31 | 11 | 4 | 16 | 36-45 | 37 |
| 13. სტოკ სიტი | 31 | 9 | 8 | 14 | 31-47 | 35 |
| 14. ბლექბერნი | 31 | 8 | 10 | 13 | 35-50 | 34 |
| 15. ჰალი | 31 | 8 | 10 | 13 | 35-52 | 34 |
| 16. პორტსმუთი | 30 | 8 | 9 | 13 | 32-46 | 33 |
| 17. სანდერლენდი | 31 | 8 | 8 | 15 | 29-41 | 32 |
| 18. ნიუკასლი | 31 | 6 | 11 | 14 | 36-51 | 29 |
| 19. მიდლსბრო | 31 | 6 | 9 | 16 | 22-46 | 27 |
| 20. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 6 | 6 | 19 | 26-57 | 24 |

**William HILL — უილიამ ჰილის კოეფიციენტები**

### ინგლისი. პრემიერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Liverpool-Blackburn | 1.30 | 4.80 | 12.00 |
| 11 Apr 09 | Middlesbrough-Hull | 2.10 | 3.25 | 3.60 |
| 11 Apr 09 | Portsmouth-West Brom | 1.80 | 3.40 | 4.60 |
| 11 Apr 09 | Chelsea-Bolton | 1.28 | 4.80 | 13.00 |
| 11 Apr 09 | Sunderland-Man Utd | 8.00 | 4.00 | 1.44 |
| 11 Apr 09 | Wigan-Arsenal | 5.50 | 3.40 | 1.70 |
| 11 Apr 09 | Tottenham-West Ham | 1.75 | 3.40 | 5.00 |
| 11 Apr 09 | Stoke-Newcastle | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 12 Apr 09 | Aston Villa-Everton | 2.15 | 3.20 | 3.50 |
| 12 Apr 09 | Man City-Fulham | 1.91 | 3.25 | 4.33 |

### ინგლისი. ჩემპიონატი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Preston-Blackpool | 1:80 | 3.10 | 4.00 |
| 11 Apr 09 | Charlton-Birmingham | 3.30 | 3.25 | 1.95 |
| 11 Apr 09 | Burnley-QPR | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 11 Apr 09 | C Palace-Cardiff | 2.40 | 3.25 | 2.50 |
| 11 Apr 09 | Watford-Barnsley | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 11 Apr 09 | Ipswich-Doncaster | 1.73 | 3.40 | 4.00 |
| 11 Apr 09 | Nottm Forest-Bristol City | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 11 Apr 09 | Plymouth-Coventry | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 11 Apr 09 | Sheff Wed-Derby | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 11 Apr 09 | Swansea-Norwich | 1.73 | 3.40 | 4.00 |

### ინგლისი. I ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Crewe-Hartlepool | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 11 Apr 09 | Brighton-Swindon | 2.25 | 3.20 | 2.75 |
| 11 Apr 09 | Hereford-Leicester | 4.20 | 3.50 | 1.67 |
| 11 Apr 09 | Walsall-Tranmere | 2.50 | 3.25 | 2.40 |
| 11 Apr 09 | Leeds-Stockport | 1.40 | 3.75 | 7.00 |
| 11 Apr 09 | Leyton Orient-Colchester | 2.25 | 3.20 | 2.75 |

### ინგლისი. II ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Brentford-Exeter | 1.95 | 3.10 | 3.50 |
| 11 Apr 09 | Chesterfield-Darlington | 1.80 | 3.40 | 3.60 |
| 11 Apr 09 | Barnet-Bournemouth | 2.50 | 3.10 | 2.50 |
| 11 Apr 09 | Chester-Macclesfield | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 11 Apr 09 | Wycombe-Gillingham | 2.10 | 3.20 | 3.00 |
| 11 Apr 09 | Dag & Red-Aldershot | 1.73 | 3.40 | 4.00 |
| 11 Apr 09 | Grimsby-Accrington | 1.95 | 3.25 | 3.30 |
| 11 Apr 09 | Lincoln-Luton | 1.91 | 3.40 | 3.30 |
| 11 Apr 09 | Rochdale-Port Vale | 1.50 | 3.60 | 5.50 |
| 11 Apr 09 | Rotherham-Notts County | 1.57 | 3.50 | 5.00 |

### ინგლისი. კონფერენცია

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Burton-Histon | 1.95 | 3.30 | 3.25 |
| 11 Apr 09 | Cambridge Utd-Eastbourne | 1.44 | 3.75 | 6.00 |
| 11 Apr 09 | Forest Green-Woking | 1.80 | 3.40 | 3.60 |
| 11 Apr 09 | Altrincham-Kidderminster | 2.80 | 3.40 | 2.10 |
| 11 Apr 09 | Grays-Salisbury | 1.95 | 3.40 | 3.10 |
| 11 Apr 09 | York-Northwich | 1.53 | 3.75 | 4.80 |
| 11 Apr 09 | Mansfield-Barrow | 1.80 | 3.60 | 3.40 |
| 11 Apr 09 | Oxford-Wrexham | 1.73 | 3.50 | 3.80 |
| 11 Apr 09 | Rushden & D-Kettering | 2.30 | 3.40 | 2.50 |
| 11 Apr 09 | Stevenage-Ebbsfleet United | 1.44 | 3.75 | 6.00 |
| 11 Apr 09 | Torquay-Crawley | 1.61 | 3.60 | 4.33 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Hearts-Celtic | 4.80 | 3.50 | 1.75 |
| 11 Apr 09 | Aberdeen-Inverness | 1.80 | 3.25 | 3.80 |
| 11 Apr 09 | Hamilton-Dundee Utd | 2.75 | 3.20 | 2.25 |
| 11 Apr 09 | Rangers-Motherwell | 1.30 | 5.00 | 11.00 |
| 11 Apr 09 | Kilmarnock-Falkirk | 2.15 | 3.20 | 2.90 |
| 13 Apr 09 | St Mirren-Hibernian | 2.40 | 3.10 | 2.60 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Dunfermline-St Johnstone | 2.50 | 3.30 | 2.37 |
| 11 Apr 09 | Dundee-Airdrie | 1.80 | 3.40 | 3.60 |
| 11 Apr 09 | Livingston-Morton | 2.25 | 3.40 | 2.60 |
| 11 Apr 09 | Ross County-Clyde | 1.73 | 3.50 | 3.80 |
| 11 Apr 09 | Partick-Queen of South | 1.67 | 3.50 | 4.20 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Peterhead-Brechin | 2.25 | 3.40 | 2.60 |
| 11 Apr 09 | Arbroath-Ayr | 4.00 | 3.60 | 1.67 |
| 11 Apr 09 | Queens Park-East Fife | 2.20 | 3.50 | 2.62 |
| 11 Apr 09 | Stirling-Stranraer | 1.36 | 4.20 | 6.50 |
| 11 Apr 09 | Raith-Alloa | 1.40 | 4.00 | 6.50 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Dumbarton-Berwick | 1.53 | 3.75 | 4.80 |
| 11 Apr 09 | Albion-Cowdenbeath | 3.75 | 3.60 | 1.73 |
| 11 Apr 09 | East Stirling-Annan Ath | 1.83 | 3.60 | 3.30 |
| 11 Apr 09 | Montrose-Stenhousemuir | 2.20 | 3.50 | 2.62 |
| 11 Apr 09 | Elgin-Forfar | 3.30 | 3.60 | 1.83 |

### ესპანეთი. პრიმერადივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Barcelona-Rec de Huelva | 1.14 | 5.50 | 15.00 |
| 11 Apr 09 | Villarreal-Malaga | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 12 Apr 09 | Numancia-Espanyol | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 12 Apr 09 | Mallorca-Almeria | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 12 Apr 09 | Osasuna-Ath Bilbao | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 12 Apr 09 | Sporting Gijon-Valencia | 3.00 | 3.20 | 2.10 |
| 12 Apr 09 | Real Madrid-Valladolid | 1.28 | 4.50 | 8.00 |
| 12 Apr 09 | Santander-Betis | 1.83 | 3.20 | 3.75 |
| 12 Apr 09 | Sevilla-Getafe | 1.44 | 3.75 | 6.00 |
| 12 Apr 09 | Dep. La Coruna-Atl Madrid | 2.25 | 3.20 | 2.75 |

### იტალია. სერია A

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Chievo-AC Milan | 4.20 | 3.00 | 1.80 |
| 11 Apr 09 | Fiorentina-Cagliari | 1.57 | 3.30 | 5.50 |
| 11 Apr 09 | Inter Milan-Palermo | 1.36 | 3.75 | 8.00 |
| 11 Apr 09 | Bologna-Siena | 2.10 | 2.87 | 3.30 |
| 11 Apr 09 | Lazio-Roma | 2.90 | 2.90 | 2.30 |
| 11 Apr 09 | Torino-Catania | 1.91 | 3.10 | 3.60 |
| 11 Apr 09 | Lecce-Sampdoria | 2.25 | 2.87 | 3.00 |
| 11 Apr 09 | Napoli-Atalanta | 1.91 | 3.00 | 3.75 |
| 11 Apr 09 | Genoa-Juventus | 2.75 | 2.90 | 2.40 |
| 12 Apr 09 | Reggina-Udinese | 2.37 | 2.87 | 2.80 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Cottbus-Bielefeld | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 11 Apr 09 | Dortmund-FC Koln | 1.67 | 3.30 | 4.50 |
| 11 Apr 09 | Hannover-Hertha Berlin | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 11 Apr 09 | Bayern Munich-Frankfurt | 1.28 | 4.50 | 8.00 |
| 11 Apr 09 | Hoffenheim-Bochum | 1.61 | 3.50 | 4.50 |
| 11 Apr 09 | Schalke-Karlsruhe | 1.28 | 4.50 | 8.00 |
| 11 Apr 09 | M'gladbach-Wolfsburg | 4.00 | 3.40 | 1.73 |
| 12 Apr 09 | Leverkusen-Werder Bremen | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 12 Apr 09 | Stuttgart-Hamburg | 2.10 | 3.20 | 3.00 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 12 Apr 09 | Ahlen-Aachen | 2.80 | 3.20 | 2.20 |
| 12 Apr 09 | FSV Frankfurt-Augsburg | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 12 Apr 09 | St Pauli-Duisburg | 2.60 | 3.10 | 2.40 |
| 12 Apr 09 | Koblenz-1860 Munich | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 12 Apr 09 | Osnabruck-Kaiserslautern | 2.60 | 3.10 | 2.40 |
| 13 Apr 09 | Mainz-Freiburg | 2.20 | 3.20 | 2.80 |

### საფრანგეთი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Le Havre-Caen | 2.40 | 2.90 | 2.75 |
| 11 Apr 09 | Le Mans-Sochaux | 2.40 | 2.75 | 2.90 |
| 11 Apr 09 | Nancy-Valenciennes | 2.20 | 2.87 | 3.10 |
| 11 Apr 09 | Auxerre-Bordeaux | 3.10 | 2.87 | 2.20 |
| 11 Apr 09 | Nice-Lorient | 2.20 | 2.87 | 3.10 |
| 11 Apr 09 | Toulouse-Nantes | 1.61 | 3.30 | 5.00 |
| 11 Apr 09 | Rennes-St Etienne | 1.67 | 3.30 | 4.50 |
| 12 Apr 09 | Lille-Paris S.G. | 2.05 | 3.00 | 3.30 |
| 12 Apr 09 | Marseille-Grenoble | 1.30 | 4.20 | 8.50 |
| 12 Apr 09 | Lyon-Monaco | 1.33 | 4.00 | 8.00 |

### საფრანგეთი. II ლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 13 Apr 09 | Lens-Strasbourg | 2.15 | 2.90 | 3.20 |

### ირლანდია. პრემიერდივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Bohemians-St Patricks | 1.61 | 3.30 | 5.00 |

### ირლანდია I დივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Kildare-Mervue Utd | 3.75 | 3.30 | 1.80 |
| 11 Apr 09 | Longford-Athlone | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 11 Apr 09 | Finn Harps-Waterford | 3.10 | 3.10 | 2.10 |

### ჰოლანდია. ერედივიზიონი

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Graafschap-Nijmegen | 2.37 | 3.10 | 2.62 |
| 11 Apr 09 | Den Haag-Sparta | 2.10 | 3.30 | 2.87 |
| 11 Apr 09 | PSV-Utrecht | 1.40 | 3.75 | 7.00 |
| 11 Apr 09 | Twente-Roda JC | 1.28 | 4.50 | 8.00 |
| 12 Apr 09 | Feyenoord-Heracles | 1.33 | 4.33 | 7.00 |
| 12 Apr 09 | Groningen-Vitesse | 1.50 | 3.80 | 5.00 |
| 12 Apr 09 | Heerenveen-Volendam | 1.33 | 4.33 | 7.00 |
| 12 Apr 09 | Ajax-Willem II | 1.12 | 6.50 | 12.00 |

### პორტუგალია სუპერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Leixoes-Rio Ave | 1.70 | 3.20 | 4.50 |
| 11 Apr 09 | Belenenses-Setubal | 2.05 | 3.00 | 3.30 |
| 11 Apr 09 | Sport. Lisbon-Naval | 1.25 | 4.75 | 9.00 |
| 11 Apr 09 | Benfica-Academica | 1.25 | 4.75 | 9.00 |
| 11 Apr 09 | Porto-Amadora | 1.20 | 5.50 | 9.50 |
| 13 Apr 09 | Trofense-Nacional | 2.85 | 2.90 | 2.35 |

### რუსეთი. პრემიერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | FC Moscow-Spartak Moscow | 3.20 | 2.80 | 2.20 |
| 11 Apr 09 | Din. Moscow-Rostov | 1.65 | 3.20 | 4.90 |
| 11 Apr 09 | Kuban-Tomsk | 2.25 | 2.80 | 3.10 |
| 11 Apr 09 | Terek Grozni-Rubin Kazan | 2.70 | 2.80 | 2.55 |
| 12 Apr 09 | CSKA Moscow-Lokomotiv | 1.80 | 3.15 | 4.00 |
| 12 Apr 09 | Spartak-Saturn | 2.00 | 2.80 | 3.70 |
| 12 Apr 09 | Zenit St Petersburg-Amkar | 1.50 | 3.40 | 6.00 |

### თურქეთი. სუპერლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Bursaspor-Ankaragucu | 2.30 | 3.20 | 2.62 |
| 11 Apr 09 | Buyuksehir-Gaziantepspor | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 11 Apr 09 | Sivasspor-Antalyaspor | 1.40 | 3.75 | 7.00 |
| 11 Apr 09 | Hacettepe-Trabzonspor | 5.00 | 3.50 | 1.57 |
| 12 Apr 09 | Eskisehirspor-Ankaraspor | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 12 Apr 09 | Genclerbirligi-Konyaspor | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 12 Apr 09 | Kayserispor-Denizlispor | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 12 Apr 09 | Galatasaray-Fenerbahce | 2.25 | 3.10 | 2.80 |

### ჩეხეთი, გამბრინუსლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Marila Pribram-Mlada Boleslav | 2.60 | 2.90 | 2.50 |
| 12 Apr 09 | Viktoria Zizkov-Sigma Olomouc | 2.10 | 3.10 | 3.10 |
| 12 Apr 09 | Plzen-Zlin | 1.67 | 3.30 | 4.50 |
| 12 Apr 09 | Ceske Budejovice-Kladno | 1.83 | 3.20 | 3.75 |
| 12 Apr 09 | Teplice-Bohemians Prague | 1.57 | 3.50 | 5.00 |
| 12 Apr 09 | FC Brno-Jablonec | 2.10 | 3.10 | 3.10 |
| 12 Apr 09 | Slovan Liberec-Banik Ostrava | 1.91 | 3.10 | 3.60 |
| 13 Apr 09 | Slavia Prague-Sparta Prague | 2.20 | 3.10 | 2.87 |

### აშშ

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | San Jose -Chicago | 2.40 | 3.10 | 2.60 |
| 11 Apr 09 | Toronto FC-Dallas | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 11 Apr 09 | Real Salt Lake-D. C. United | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 12 Apr 09 | Columbus-Colorado | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 12 Apr 09 | Houston-Red Bulls | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 12 Apr 09 | Los Angeles-Chivas | 2.20 | 3.20 | 2.80 |
| 12 Apr 09 | Seattle-Kansas City | 1.70 | 3.40 | 4.20 |

### პოლონეთი. ეკსტრაკლასლიგა

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 11 Apr 09 | Lechia Gdansk-Belchatow | 2.50 | 3.10 | 2.50 |
| 11 Apr 09 | Ruch Chorzow-Polonia Warsaw | 2.50 | 3.10 | 2.50 |
| 11 Apr 09 | Wisla Krakow-Jagiellonia | 1.33 | 4.00 | 8.00 |
| 11 Apr 09 | Piast Gliwice-Lech Poznan | 3.80 | 3.20 | 1.83 |
| 11 Apr 09 | Legia Warsaw-Cracovia Krakow | 1.36 | 4.00 | 7.00 |

ქართული სპორტი

ძალოსნობა

საქართველოს ჩემპიონატი
20-წლამდე ძალოსანთა შორის

# ყველაზე მძიმე კონკურსგარეშე მონაწილემ აწია

**ქუთაისის ძალოსნობის დარბაზმა თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, საჩხერის, ხელვაჩაურის, ზუგდიდის, წყალტუბოსა და ხაშურის გუნდების მონაწილეობით, 20-წლამდე ძალოსანთა შორის საქართველოს პირად-გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლა 9 წონით კატეგორიაში.**

ფიცარნაგზე 100-მდე ახალგაზრდა ძალოსანი გავიდა. ოთხი მათგანი, **გიორგი ლომთაძე, ზურა თავაძე, თემურ პერტაია** და **ვილი ალექსიძე,** ისრაელში გასამართ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. მათ ეს ტურნირი ნაყოფიერად გამოიყენეს. ლომთაძემ, თავაძემ და ალექსიძემ თავიანთ წონებში პირველი ადგილი დაიკავეს. ზუგდიდელი თემურ პერტაია კი 69 კგ-ში მესამე ადგილს დასჯერდა.

62 კგ-ში ფავორიტი ქუთაისის ძალოსანთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **მალხაზ ლომთაძის** ვაჟი, გიორგი ლომთაძე იყო. გიორგიმ ორჭიდის ჯამში 250 კილოგრამი დაძლია და ამ შედეგით 7 კილოთი მძიმეებში, 69 კილოგრამში გამარჯვებულ ზურა თავაძესაც (245) აჯობა. კარგად გამოვიდა 85 კგ-ში ზუგდიდელი **ირაკლი ცანავა,** რომელმაც ორჭიდის ჯამში 295 კილოგრამი დაძლია და ამ შედეგით, 94 კილოში გამარჯვებულ თანაქალაქელ **ილიკო ჯალალონიაზე** (290) უკეთესი შედეგი აჩვენა. თავის წონაში კი ცანავას წინაალმდეგობას 16 წლის წყალტუბოელი **ლაშა ლილუაშვილი** უწევდა, რომელმაც ატაცში 123 კილო მესამე ცდაზე დაძლია, აკვრაში კი პირველივე ცდაზე 145 კილოგრამის აწევის შემდეგ 150 კილო შეუკვეთა, მაგრამ ამ წონის დაძლევა ველარ მოახერხა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა ძალოსანი მეორე ადგილზე გავიდა.

105 კილოგრამ წონით კატეგორიაში უკონკურსოდ იასპარეზა საქართველოს ნაკრების წევრმა **ალუდა მანაგაძემ,** რომელიც კორეაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადება. მანაგაძემ ატაცში 170 კგ დააფიქსირა, აკვრაში კი 190 კილოგრამის აწევის შემდეგ 200 კილო შეუკვეთა და თითქმის დაძლეულიც ჰქონდა, მაგრამ ბოლო მომენტში შტანგა ველარ შეიმაგრა და ორჭიდის ჯამში 360 კილოგრამი დააგროვა. ეს შედეგი ტურნირზე საუკეთესო იყო. რადგანაც მანაგაძე უკონკურსოდ მონაწილეობდა, 105 კილოში გამარჯვება ზუგდიდელ დავით გოგიას დარჩა, რომელმაც ორჭიდის ჯამში 323 კილო დააფიქსირა. მძიმე წონაში გამარჯვებულმა **ვილი ალექსიძემ** ორჭიდში **დავით გოგიაზე** 13 კილოგრამით ნაკლები ასწია, თუმცა ეს შედეგი მძიმე წონაში პირველ ადგილის მოსაპოვებლად საკმარისი ალმოჩნდა.

გუნდურ შეჯიბრებაში ქულათა დათვლის სისტემა ასეთი იყო: პირველ ადგილი 16 ქულა, მეორე - 14, მესამე – 11. დანარჩენი ადგილებისთვის შესაბამისად თითო-თითო ქულით ნაკლები. 116 ქულით პირველ ადგილზე ქუთაისის ნაკრები გავიდა, 110 ქულით მეორე იყო ზუგდიდი, 108 ქულით მესამეზე აჭარაა.

**კვარცხლბეკი**

**50 კგ**
1. თორნიკე თოდაძე (საჩხერე) - 155(65 + 90)
2. რამინ შამილიშვილი (აჭარა) - 138(60+78)
3. ნიკა ჯანელიძე (ქუთაისი) –136(63+73)

**56 კგ**
1. შოთა მიშველაძე (ქუთაისი) - 180(80+100)
2. ზვიად ფუტკარაძე (აჭარა) – 170(75+95)
3. ბაჩანა ქუხილავა (ზუგდიდი) - 159(71+87)

**62 კგ**
1. გიორგი ლომთაძე (ქუთაისი) – 110(140+250)
2. გიორგი გრიგალაშვილი (საჩხერე) –212(95+117)
3. გიორგი საჯაია (ზუგდიდი) - 192(87-105)

**69 კგ**
1. ზურა თავაძე (ქუთაისი) - 245(110+35)
2. რომა სარქისიანი (თბილისი) – 236(103+133)
3. თემურ პერტაია (ზუგდიდი) - 236(106+130)

**77 კგ**
1. ბექა კახიძე (ქუთაისი) – 285(125+160)
2. ნიკა წიკლაური (თბილისი) - 277(127+150)
3. კახა ბალდავაძე (ქუთაისი) - 245(115+130)

**85 კგ**
1. ირაკლი ცანავა (ზუგდიდი) – 295(135-160)
2. ლაშა ლილუაშვილი (წყალტუბო) - 268(123+45)
3. დავით ცარციძე (საჩხერე) - 246(113+133)

**94 კგ**
1. ილიკო ჯალალონია (ზუგდიდი) - 290(135+155)
2. ბექა ბახტურიძე (თბილისი) - 278(125+153)
3. ზაალ კვიციანი ზუგდიდი) - 270(122+148)

**105 კგ**
1. დავით გოგია (ზუგდიდი) - 323(144+175)
2. ჯაბა აბულაძე (აჭარა) - 263(123-+40)
3. გიორგი შეყლაშვილი (თბ.) – 247(112+135)

**მძიმე**
1. ვილი ალექსიძე (აჭარა) – 310(135+175)
2. ვალერი ლობჟანიძე (აფხაზეთი) – 286(121+65)
3. გოგა ფიფია (ქუთაისი) – 278(125+153)

**გუნდური**
1. ქუთაისი-116
2. ზუგდიდი-110
3. აჭარა-108

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

1993 - 94 წ.წ. დაბადებულ ჭაბუკთა გუნდებს შორის

მდგომარეობა მომდევნო ტურის წინ

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ქარიშხალა | 7 | 0 | 0 | 191:87 | 14 |
| 2. სამტრედია | 6 | 0 | 1 | 99:68 | 12 |
| 3. ფოთი | 5 | 0 | 2 | 116:71 | 10 |
| 4. ქუთაისი | 3 | 0 | 4 | 79:88 | 6 |
| 5. ბათუმი | 3 | 0 | 4 | 0:30 | 6 |
| 6. ყვარელი | 3 | 0 | 4 | 52:43 | 6 |
| 7. რუსთავი | 1 | 0 | 6 | 33:55 | 2 |
| 8. თელავი | 0 | 0 | 7 | 9:48 | 0 |



ქარიშხალა

რაგბი

ინტერვიუ თემურ ბენდიაშვილთან



თემურ ბენდიაშვილი

**თბილისის „ლოკომოტივი" საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ტიტულოვანი გუნდია. ეროვნული ჩემპიონატის შარშანდელ გათამაშებაში ამ გუნდმა ღირსეულად გაიმარჯვა. რკინიგზელები ყველასაგან ყოველთვის გამოირჩეოდნენ თამაშის განსაკუთრებული ხელწერით. ძალისმიერი და კომბინაციური თამაშის სინთეზი ლოკომოტიველთა წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორია. ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს ამბიციები არც ამჯერად დაჰკნინებია. „ლოკომოტივის" მზადყოფნასა და ზოგადად რაგბის განვითრების თემაზე ამ გუნდის მთავარ მწვრთნელ თემურ ბენდიაშვილს ვესაუბრეთ:**

# ლოკომოტივი ტიტულის დასაცავად მზადაა

- ჩემპიონატისთვის მზადება ჩვეულებრივი გრაფიკით გავიარეთ. ფიზიკურადაც მოვემზადეთ, კომბინაციებიც დავამუშავეთ. საწვრთნელი შეკრებაც მოვაწყვეთ თელავში. მაგრამ მთავარი ეს არ არის. საქმე ისაა, რომ ქართველ მწვრთნელებს ნელ-ნელა გვეცვლება შეხედულება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის რაგბიში უპირატესი მიმართულება.

**- ხომ ვერ დაგვიკონკრეტებდით რა გაქვთ მხედველობაში?**

- საბედნიეროდ, უკვე განებივრებულნი ვართ იმით, რომ საკმაოდ მაღალი დონის რაგბის შეხვედრების ხილვის საშუალება გვაქვს ტელევიზიით. ზე 14-ის გათამაშება შარშან ზელანდიურმა „კრუსეიდერზმა" მოიგო, რომელიც სულ განდაგან თამაშობს, ცდილობს თამაში გაშალოს. იმავეს ამჟამად საქართველოს ნაკრები ცდილობს. ეს სტილი ძალიან შთამბეჭდავია.

ახალი სეზონი დაიწყო და სატურნირო ცხრილს სათავეში ის გუნდები მოექცნენ, რომლებიც ძირითადად სოლისებური შეტევებით თამაშს ამჯობინებენ. ამ სტილზე თვითონ „კრუსეიდერზიც" გადაეწყო. ამიტომ ახლა ერთგვარად გაორებულნი ვართ. მართალია, ტექნიკურად შეიძლება ეს ყოველივე ისეთ მაღალ დონეზე ვერ შევასრულოთ, როგორც ამას ზე 14-ის გუნდები აკეთებენ, მაგრამ თამაშის რაღაც მოდელი ხომ უნდა ავირჩიოთ?

**- საბოლოოდ თუ შეარჩიეთ რომელიმე მოდელი?**

- ვცდილობთ, ორივე დავამუშაოთ. ვნახოთ რა გამოვა. ასეთი თამაში გუნდში მაღალტექნიკურ მოთამაშეებს მოითხოვს. გარემარბები არ უნდა იდგნენ და ბურთს არ უნდა ელოდებოდნენ. ისინი შიგნითაც უნდა შემოდიოდნენ, ყველგან უნდა იყვნენ, რაც ასევე კარგ ფიზიკურ მომზადებასაც მოითხოვს. ჩვენი გარემარბების ტექნიკური არსენალი კი, სამწუხაროდ, ძალიან მწირია.

საკმაოდ მწვავედ დგას ქართულ რაგბიში ათი ნომრის პრობლემა. ამ ამპლუის ჩვენი მორაგბეები ფიზიკურად სუსტები არიან და რაგბის თამაშიც თავისებურად ესმით. ყოველივე ამის გამოსასწორებლად ძალიან ბევრი მუშაობა დაგვჭირდება.

**- მუშაობა, ცხადია, აუცილებელია, მაგრამ ამისათვის სათანადო პირობებიცაა საჭირო, რაც საქართველოში, რბილად რომ ვთქვათ, ჯერ არაა.**

- გეთანხმებით. აუცილებლად უნდა განვითარდეს საკლუბო რაგბი. წლეულს ერთა თასი ისევ მოვიგეთ, მაგრამ ესპანეთისა და გერმანიის ნაკრებების გარდა, ყველა დანარჩენთან გამარჯვება სათუო იყო. უნდა გითხრათ, რომ პორტუგალიაში რაგბი უკვე პროფესიული გახდა. ესპანეთში სარაგბო გუნდები საფეხბურთო კლუბებს მიაკედლეს და პატრონობენ. მალე იქ რაგბი წინსვლას დაიწყებს და თუ ჩვენ ისევ ენთუზიაზმის ამარა დავრჩით, ჩამოვრჩებით. ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე გუნდების პირობები თუ არ გაუმჯობესდა, თუ სათამაშო დონე არ ამაღლდა, ცუდად გვექნება საქმე. ის, რომ ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში არც ერთი ქართული კლუბის მორაგბე არაა, უკვე თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

აუცილებლად უნდა შეიქმნას საქართველო A ნაკრები, რომელიც მთლიანად ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეებით იქნება დაკომპლექტებული. ამასთან, დაუყოვნებლივ უნდა ჩავერთოთ ევროტურნირებში, კერძოდ ჩელენჯ კაპის გათამაშებაში. ისე წინ ვერ წავალთ, ვერ განვვითარდებით.

**- მოდი, „ლოკომოტივს" და კარს მომდგარ ეროვნულ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. რამდენადაა მზად გუნდი ტიტული დაიცვას?**

- ვფიქრობ, ტიტულის დასაცავად მზად ვართ. მეტიც, ვეცდებით თამაშის ხარისხი შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გავაუმჯობესოთ. ამის შესაძლებლობა ჩვენს გუნდს ნამდვილად აქვს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩემპიონობაზე პრეტენზიას წლეულს ოთხი-ხუთი კლუბი აცხადებს. ეს ძალიან კარგია. აქამდე რეალურად პრეტენდენტი სულ ორი იყო ხოლმე. ამჟამად კი, მოწინავე გუნდების რაოდენობა გაიზარდა. ეს, ცხადია, დაძაბულობას გაზრდის. თითოეულ შეხვედრაში გამარჯვების მიღწევა საგრძნობლად გართულდება. მაშასადამე თამაშის დონეც გაიზრდება.

**- რა ცვლილებებია თქვენი გუნდის შემადგენლობაში?**

- გუნდი სამმა მორაგბემ დატოვა. ოთარ ტურაშვილი, ბექა წიკლაური და ზურაბ კორკოტაძე პოლონეთში წავიდნენ სათამაშოდ. დამატებით კი, მხოლდ ერთი დავიმატეთ. მეორეხაზელი გიორგი ოზებაშვილი აქამდე კიევის „ავიატორში" თამაშობდა. საკმაოდ კარგი მორაგბეა და მისი ძალიან გვეიმედება.

ამასთან, ჩინებული სამსახური გაგვიწია ჩვენმა მეორე გუნდმა, რომელიც შარაშან პირველ ლიგაში ასპარეზობდა. აქედან ოთხი მორაგბე დავიმატეთ. ეს გუნდი კი, ამჯერად სათადარიგო გუნდების შეჯიბრებაში ჩაებმება.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, „ლოკომოტივის" ერთ-ერთი ყველაზე მოურჩენელი სენი არასათანადო ინფრასტრუქტურაა.**

- დიახ, არ გვაქვს სავარჯიშო მოედანი. წლეულს ალბათ ისევ „ლოკომოტივის" სტადიონის სათადარიგო მოედანს ვიქირავებთ და ვარჯიშებს იქ გავმართავთ. ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას, იმ პრემიალური თანხის მიღების შემდეგ ვაპირებთ, რომელიც კლუბს ჩემპიონობის მოპოვებისთვის სახელმწიფო დაჰპირდა. ვფიქრობ, ამის შედეგად მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

სამთოთხილამურობა

# იასონს მხოლოდ ანტონიოლიმ აჯობა

20 წლის **იასონ აბრამაშვილმა** დიდებულად იასპარეზა ფრანგულ კურშეველში, სადაც FIS-ის ეგიდით რამდენიმე ტურნირი გაიმართა. მართალია, გუშინ მან ველარ შეძლო სტარტის მოგება, თუმცა სეზონში მე-6 ტიტულამდე ჩვენებურს მხოლოდ 8 მეასედი წამი დააკლდა - სწორედ ამდენით აჯობა მას გამარჯვებულმა მასპინძელმა **რიშარ ანტონიოლიმ.** იასონმა 1:30,55 წუთი შედეგით მეორე ადგილი დაიკავა სლალომში და 25,03 სარეიტინგო ქულა მიიღო. ძალიან კარგად იასპარეზა 17 წლის **კოტე ვახტანგიშვილმაც,** ვინც 1:32,97 შედეგით მე-7 ადგილზე გავიდა. **ვახტანგ თედიაშვილი** მე-17 იყო, ხოლო **ჯაბა გელაშვილი** - მე-19. ჩვენები დღეიდან სხვა ფრანგულ კურორტზე ჩაებმებიან ასპარეზობაში, ვალტორანში მათ ზედიზედ ხუთი სტარტი ელით და ამით სამთოსათხილამურო სეზონიც დასრულდება.

„პირველ ცდაზე საკმაოდ ცხელოდა, იასონმა ვერ შეძლო კარგად ჩამოსრიალება, თუმცა მეორე ცდაზე მან ყველას აჯობა და კინალამ ტურნირის მოგებაც შეძლო. ვიმედოვნებ, რომ ვალტორანში ვახტანგ თედიაშვილი კომბინაციაში ვანკუვერის ოლიმპიადის ლიცენზიას მოიპოვებს. ძალიან გვეიმედება ვახტანგიშვილისაც, იგი პერსპექტიული მოთხილამურეა და დღეს ბრწყინვალედ ჩამოსრიალდა. ჩვენი ვარაუდით, ნოემბერ-დეკემბერში ისიც მოიპოვებს ოლიმპიურ ლიცენზიას და კანადაში საქართველო ერთბაშად ოთხი სამთო-მოთხილამურით წარდგება", - გვითხრა გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გერა აბრამიშვილმა.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

საქართველოს XVIII ჩემპიონატი. მეოთხედფინალები

# ავიამ ცხვირი აწია, შეფრინდება ნახევარფინალში?



ავიამშენი-ნტდ თბილისი

**10 აპრილი, რუსთავი**

**სასოფლო-დინამო 95:74**

18:23, 29:14, 23:15, 25:22

სასოფლო: გულისაბედაშვილი (20ქ, 4პ, 4ჩ), ნივნივაძე (30ქ, 10მ, 7პ), მარხვაშვილი (2ქ), გ. ბარბაქაძე (8ქ), ათანელიშვილი (15ქ, 11მ, 3პ), ბოქოლიშვილი, ტყეშელაშვილი (7ქ, 6მ), ყველასვილი (6ქ), ჩაჩიბაია (7ქ)

დინამო: გ. ბაქრაძე (2ქ, 3პ), ნანიტაშვილი (15ქ, 4პ), სორდია, ლაფანაშვილი (23ქ, 8მ, 4ჩ), სიგუა (3ქ, 4პ), კობიზე (2ქ), ხიზანიშვილი (2ქ), გემაზაშვილი (5ქ, 3პ), კორკოტაძე (12ქ, 4პ), ქადარია, ხანიაშვილი (10ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე

სერიას იგებს სასოფლო - 1:0

**ავიამშენი-ნტდ 93:85**

19:20, 26:28, 19:18, 29:19

ავიამშენი: ი. ბერიშვილი (3ქ, 6პ), ბოისა (12ქ, 6მ), ნიკოლაძე (15ქ), ნაცვლიშვილი (29ქ, 10მ, 5პ, 5დ, 3ჩ), მათიაშვილი (10ქ, 8მ, 3პ, 3ჩ), დ. ბერიშვილი (13ქ, 7პ), ნინიაშვილი (4ქ, 5მ), პირველაშვილი (7ქ)

ნტდ-თბილისი: ჩიტაშვილი (14ქ, 9პ), ფაშაევი (18ქ), სარიევი (11ქ, 7მ), სუხიშვილი (2ქ), ათუაშვილი (14ქ, 5მ, 2დ), ტეტელაშვილი, ნიფტალიევი (7ქ, 3ჩ), დ. ბარბაქაძე (6ქ, 8მ), კოლუაშვილი (4ქ), ბახშიევი (9ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

სერიას იგებს ავიამშენი - 1:0

**ენერჯი-შსს 108:82**

27:18, 19:22, 22:17, 40:25

ენერჯი: გამყრელიძე (7ქ, 5პ), ბაბიაშვილი (9ქ), დვალიშვილი (2ქ, 3პ), ლეჟავა (12ქ), დიდია (12ქ), მაჭავარიანი (4ქ), ტულუში (10ქ, 10მ, 6პ, 3ჩ), უგრეხელიძე (10ქ, 10მ), არნივიძე (5ქ), ხმელიძე (11ქ, 6მ), ტუჯანი (19ქ, 8მ), ჭოჭუა (7ქ, 3პ)

შსს: შენგელია (21ქ, 4პ), აბულაძე (12ქ, 7მ), ბერუაშვილი (18ქ, 8მ, 3პ, 3ჩ), ტაველიშვილი (6ქ), ბ. ნოზაძე (5ქ), პატარაია (8ქ, 6მ, 8პ), ქვილითაია (4ქ), ფაიქრიძე (8ქ, 7მ, 6პ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. არეშიძე

სერიას იგებს ენერჯი - 1:0

**ლევან მოსეშვილის** "ავიამშენმა" ნახევარფინალისკენ პირველი ნაბიჯი გადადგა – **ნუგზარ კანდელაკის** "ნტდ-თბილისი" 93:85 დაამარცხა. დღეს, 14 საათზე რუსთავში ამ წყვილის განმეორებითი მატჩი შედგება და გამარჯვების შემთხვევაში "ავიატორები" ნახევარფინალში შეფრინდებიან...

...სიტყვა "ფრენა" დასაწერად იოლია, მაგრამ "ნტდ-თბილისზე" გადაფრენა მეტად რთული ამოცანაა. ნტდ-ელებს ხომ საქართველოს ისტორიაში ყველაზე მაღალი კალათბურთელი ჰყავთ – **სერგო ათუაშვილი** 224 სმ სიმაღლისაა. ნუგზარ კანდელაკის შეგირდებმა გუშინაც დაგვანახვეს, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლიათ. ისინი მთელი 30 წუთის განმავლობაში წინ იყვნენ. "ავიატორები" კუდში მისდევდნენ და ნახევრადბაქოელებს თუნდაც 5 ქულით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ. "ნტდ-თბილისის" კალათბურთელები პერიმეტრიდანაც ზუსტად ისროდნენ და მეტოქის კალათის გზას ფარქვეშიდანაც იკვლევდნენ. თავიდან ეს კარგად გამოსდიოდა **მიხეილ ჩიტაშვილს**, რომელმაც პირველ ტაიმში 7-დან 5 ორქულიანი ჩააგდო. ტანმაღალი სერგო ათუაშვილი მხოლოდ სამნამიანი ზონიდან როდი იყო სახიფათო – მან ორი სამქულიანი ისროლა და ორივე კალათში მოათავსა. პირველ ტაიმში გამთამაშებელი **ზაურ ფაშაევიც** ზუსტი ტყორცნებით გამოირჩეოდა...

...მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ეს დიდი სხვაობით დასაწინაურებლად საკმარისი არ იყო. ისევე როგორც "ავიამშენი", ნტდ-ც დაცვაში არასათანადოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა.

აქამდე მხოლოდ საწყისი 30 წუთის ამბები მოგახსენეთ. მეოთხე რაუნდში სიტუაცია რომ დაიძაბა აშკარად გამოჩნდა, რომ "ნტდ-თბილისს" **დავით ბარბაქაძე** აკლდა. უფრო სწორად, დათოს ზუსტი ტყორცნები აკლდა. მან საბოლოოდ 5-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 1 საჯარიმო გამოიყენა, რაც მისთვის მეტად დაბალი მაჩვენებელია. მეოთხე პერიოდში შეტევაში მიხეილ ჩიტაშვილსაც გაუჭირდა (0 ქულა), სერგო ათუაშვილსაც (3 ქულა) და ზაურ ფაშაევსაც (4 ქულა). მაშინ, როცა ნტდ-ელებიდან პირველობა ვერავინ იკისრა, "ავიაში" ლიდერობას ერთმანეთს ეცილებოდნენ **ბერიშვილები, ნიკოლაძე, ნაცვლიშვილი...** სიტყვა "ეცილებოდნენ" კარგი გაგებითაა ნათქვამი – დავით და ირაკლი ბერიშვილებმა, ნაცვლიშვილმა, ნიკოლაძემ და დანარჩენებმა მეოთხე პერიოდში ფუნქციები კარგად გადაინაწილეს და პირველ რიგში გამოცდილების ხარჯზე, მეოთხე პერიოდი დამაჯერებლად ჩაატარეს. თუკი თავიდან წინ "ნტდ-თბილისი" იყო და ძირითადად მასზე გვიწევდა საუბარი, ახლა "ავიატორების" ჯერია, რომლებმაც თამაშში გარდატეხა სწორედ მაშინ შეიტანეს, როცა საჭირო იყო – მეოთხე პერიოდის დასაწყისში დავით ბერიშვილმა სამქულიანს ორიანი მიაყოლა და "ავია" 69:68 დააწინაურა. დათომ 13-დან 6 ქულა და 7-დან 3 პასი სწორედ ბოლო პერიოდში მიითვალა. მისმა ტყუპისცალმა ირაკლიმ სულაც სამივე ქულა ბოლოს ჩააგდო, ხოლო 6-დან 4 პასი ასევე მეოთხე პერიოდში შეასრულა. ის და დათო დინჯად გადადიოდნენ მეტოქის ნახევარზე და ფარქვეშ ძველებურად მოძრავ ვატო ნაცვლიშვილს იოლად პოულობდნენ. ვატოც უშეცდომოდ ესროდა. მან დასკვნით ათწუთეულში 5-დან 5 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა. საბოლოოდ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა: 29 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება (ეს მიმდინარე სეზონის რეკორდია) და 3 ჩაჭრა.

მეოთხე პერიოდის შუაში მოედანზე დაბრუნდა გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც სირენამდე 4 წუთით ადრე მნიშვნელოვანი სამქულიანი ჩააგდო – 80:78. საბოლოოდ გიორგიმ 19 წუთში 15 ქულას მოუყარა თავი. მართალია, ბოლო ათწუთეულში ქულა არ ჩაუგდია **ანატოლი ბოისას**, მაგრამ მან დაცვაშიც ნაყოფიერად იშრომა და შეტევაშიც ეფექტური იყო – ყველაზე მეტი, 3 სამქულიანი სწორედ ტოლიკას ანგარიშზეა. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს **გიორგი პირველაშვილმა** და **თორნიკე ნინიაშვილმა.**

დღეს კიდევ უფრო საინტერესო მატჩი უნდა გამოვიდეს. წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ "ნტდ-თბილისი"-"ავიამშენის" დაპირისპირების შედეგი ბოლო წამებზე გამოირკვევა. ნტდ-ს გამარჯვების შემთხვევაში, მესამე გადამწყვეტი მატჩი ორშაბათს გაიმართება.

პირველ მეოთხედფინალში "დინამომ" "სასოფლოს" საწყის მეოთხედში სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა მეორე პერიოდიდან გამთამაშებელი **ბექა წივწივაძის** ხელმძღვანელობით სასოფლოელებმა გარდატეხა შეიტანეს და საბოლოოდ 95:74 გაიმარჯვეს. მატჩის სნაიპერი წივწივაძე გახდა. მას სამმაგ დუბლამდე 3 შედეგიანი გადაცემა დააკლდა: 30 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი. ორმაგი დუბლი შეასრულა მისმა თანაგუნდელმა **რეზო ათანელიშვილმა** – 15 ქულა, 11 მოხსნა.

გუშინდელი დღე "ენერჯი"-შსს-ს მატჩით დაიხურა. რუსთაველებმა შსს-სთან ჩემპიონატის ფავორიტისთვის შესაფერისი დამაჯერებლობით გაიმარჯვეს – 108:82. სტუმრებს საქართველოს პირველობის საუკეთესო მომხსნელი **კახა შენგელია** ჰყავთ, თუმცა მან გუშინ მხოლოდ 3 მოხსნა მიითვალა. ამ კომპონენტში "ენერჯის" უპირატესობა აშკარა იყო – 56:39.

მატჩში ორი საინტერესო დაბლდაბლი დაფიქსირდა: "ენერჯის" მე-10 ნომერმა **კოტე ტულუშმა** 10 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. ასევე 10-10 ქულა-მოხსნა ჩაიწერა **დავით უგრეხელიძემ**, რომელმაც მოედანზე მხოლოდ 14 წუთი გაატარა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ფოტო: ვიქტორ სანიკიძე

ლეგიონერები

# ისევ კალევი და როკი

## სანიკიძე კვლავ მთავარი მეჭულეა

ბალტიის ლიგის მეოთხედფინალში "როკმა" "კალევი" დამატებით დროში რომ დაამარცხა, გასულ კვირას გესაუბრეთ. მას შემდეგ ამ ესტონურმა გუნდებმა ერთმანეთში კიდევ ორჯერ ითამაშეს. ორჯერვე შიდა პირველობის რეგულარულ ეტაპზე და მოგება-წაგებები გაიყვეს.

ბალტიის თასიდან გამოვარდნის შემდეგ "კალევმა" "როკთან" საშინაო მატჩში ძველებური ხალისით ვერ ისაპარეზა. სამაგიეროდ, **გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის** თანაგუნდელებმა ითამაშეს ალმაფრენით და მეტოქეს პირველივე პერიოდში 11 ქულით გადაასწრეს (28:17). მომდევნო 30 წუთში "როკერებმა" უპირატესობა კიდევ უფრო განავრცეს და საფინალო სირენას 85:68-ზე შეხვდნენ,

ამ შეხვედრაში მწვრთნელმა, **ინდრიკ ვესპაანუმ** გიორგი ცინცაძე ცოტა დაასვენა, მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩართო და სულ 19 წუთი ათამაშა. ბუმ (ცინცაძის მეტსახელი) მხოლოდ 2 სამქულიანი სტყორცნა და 3 ქულას 1 მოხსნა და 2 პასი მიამატა.

ვიქტორ სანიკიძეც სათადარიგო იყო. მან 21 წუთში კინაღამ ორმაგი დუბლი გამოაცხო – 11 ქულა, 8 მოხსნა.

მომდევნო მატჩი ტარტუში გაიმართა და ბოლო დროს ჩამოყალიბებული ტრადიციის მიხედვით, სტუმართა გამარჯვებით დასრულდა – "კალევმა" 88:61 მოიგო. მატჩის ბედი, ფაქტობრივად, მესამე პერიოდში გადაწყდა, რომელშიც ტალინელებმა 31:12 იმარჯვეს.

ამ შეხვედრაში გიორგი ცინცაძე სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდა და 24 წუთში 5 ქულა, 6 მოხსნა და 4 პასი მიითვალა.

სათადარიგო იყო ვიქტორ სანიკიძე, თუმცა ამას სნაიპერობაში ხელი არ შეუშლია. მან 30 წუთში 19 ქულა, 7 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა ჩაიწერა.

24 ტურის შემდეგ ესტონეთის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს სათავეში "ტარტუ როკი" უდგას, რომელსაც 22 მოგება აქვს. მას ოთხი გამარჯვებით ჩამორჩება "კალევი". რეგულარული ეტაპის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ "როკერებს" პირველი ადგილი განაღდებული აქვთ.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ბურთით გიორგი ცინცაძე

ჭიდაობა

# საკუთარი შედეგი გააუმჯობესა

ვილნიუსში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის საქართველოს ნაკრების წევრებმა სამ წონით კატეგორიაში შეძლეს კვარცხლბეკზე დადგომა. მათ შორის საუკეთესო ბესიკ გოჩაშვილი იყო, ვინაც 55კგ-ში ვერცხლის მედალი მოიპოვა და მანამდე მიღწეული მისივე შედეგი - მესამე ადგილი გააუმჯობესა. ევროპის ჩემპიონატის პერიპეტიებსა და სამომავლო გეგმებზე ბესიკ გოჩაშვილს გორის ჭიდაობის დარბაზში ვესაუბრეთ.



ბესიკ გოჩაშვილი (მარცხნივ) ევროპის ჩემპიონატზე

**— ბესიკ, კონტინენტის პირველობაზე მონაწილეობის საკმაო გამოცდილება დაგიგროვდა...**

— ევროპის ჩემპიონატზე მეშვიდედ გამოვედი. 2005 წელს ვარნაში გამართული კონტინენტის პირველობის შემდეგ ყოველთვის ახლოს ვიყავი საპრიზო ადგილებთან, მუდამ სულ ცოტა მაკლდებოდა კვარცხლბეკამდე, ამიტომაც იყო დასანანი ყველა მარცხი. ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ წავედი იმ განწყობით, რომ უკეთეს შედეგს ვაჩვენებდი. იმედის საფუძველს უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ჩემი კარგი ასპარეზობა და ტრავმების მოშუშებაც მაძლევდა.

**— შედეგი მართლაც უკეთესი აღმოჩნდა შენთვის და თანაც ჩვენი ნაკრებიდან ყველაზე მაღალი სინჯის მედალი მოიპოვე...**

— ეს ვერცხლის მედალი ევროპის წინა პირველობებზე მიღწეულსაც ჯობია და ჩვენი ნაკრების წევრების მიერ ლიტვის დედაქალაქში მონაპოვარსაც, მაგრამ მაინც გული დამწყდა, რადგან ჩემპიონობა მქონდა გულში.

**— ვიდრე ვილნიუსურ პერიპეტიებზე ვისაუბრებთ, აღსანიშნავია, რომ ამ ჩემპიონატზე ფაქტობრივად ლადო ხინჩაგაშვილის ნაცვლად მოგიწია ასპარეზობამ. ის ხომ მოქმედი საქართველოს ჩემპიონია...**

— ლადო ჩემი თანაქალაქელი და უმცროსი მეგობარია. წლევანდელი საქართველოს ჩემპიონატი გამოვტოვე და იმ შეჯიბრებაზე სწორედ მას ვგულშემატკივრობდი მთელი გულით. ლადო ნამდვილი ტალანტია! საქართველოს პირველობაც დამსახურებულად მოიგო. ვილნიუსში გამგზავრებაც, პირველ ყოვლისა, მას ეკუთვნოდა, მაგრამ მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, რომ ამ სეზონში მან ახალგაზრდულ ტურნირებში იასპარეზოს.

**—ახლა, რაც შეეხება უშუალოდ ევროპის ჩემპიონატზე შენს გამოსვლას...**

— კენჭისყრით პირველი პაექრობის გამოტოვებამ მომიწია. მეორე წრეში ბელარუსი ვლადისლავ ანდრეევი შემხვდა, რომელთანაც პირველივე წამებზე მოვიპოვე უპირატესობა და შეხვედრის ის მონაკვეთი მოვიგე კიდეც. მეორე პერიოდში შეტევაზე გადმოსულ ანდრეევს კიდევ უფრო დიდი უპირატესობით ვაჯობე. ნახევარფინალში ჩემ წინააღმდეგ აზერბაიჯანელი იაშარ ალიევი დადგა. პირველ პერიოდში მაჯობა, თუმცა მომდევნო ორში დამაჯერებელი უპირატესობით დავჯაბნე და ფინალში გავედი.

**— შენ და კიდევ ერთ გორელ ფალავანს, მალხაზ მუზიაშვილს ნახევარფინალში აზერბაიჯანელი სპორტსმენები შეგხვდნენ და ორივეს მძიმე ბრძოლა გადაგხდათ...**

— სამწუხაროდ, ჩემგან განსხვავებით, თავის აზერბაიჯანელ მეტოქე ჟაბრაილ ჰასანოვთან მალხაზი დამარცხდა, თუმცა დებიუტანტის კვალად მუზიაშვილის საბოლოო შედეგი - ბრინჯაოს მედალი უდავოდ დამაკმაყოფილებელია. სხვათა შორის, მე და მალხაზს შეგვხვდნენ მათი ნაკრების ეროვნებით აზერბაიჯანელი წევრები, თორემ ამჟამად გუნდში რუსეთის ნაკრების ჩრდილოკავკასიელი მოჭიდავეების გადაბარგების ტენდენცია აშკარად შეინიშნება.

**— როგორ ფიქრობ, ფინალში ნარიმან ისრაპილოვთან განცდილი მარცხის თავიდან აცილება შეიძლებოდა?**

— ისრაპილოვს პირველი პერიოდი კი მოვუგე, მაგრამ მეორეში თავიდანვე ამართვა ერთი ქულა. შემდეგ მომგებიანი ქულის აღებას რომ ვაპირებდი, საპასუხოდ „ნაკადზე“ დამატრიალა და მისი უპირატესობა სამამდე გაიზარდა. აი, აქ დავუშვი დიდი შეცდომა. ჩამორჩენის ამოქაჩვას შევეცადე და მთელი ძალით გადავერთე იერიშზე. მართალია, ერთი ქულა ავართვი, მაგრამ, სამაგიეროდ, მესამე პერიოდს უკვე თითქმის გამოფიტული შევხვდი. ამის გამო ორთაბრძოლის შემოტრიალება ველარ შევძელი. არადა, აშკარად აჯობებდა, რომ მეორე პერიოდში სამქულიანი ჩამორჩენისას თავგანწირვით აღარ მებრძოლა, დამეთმო და მესამე, გადამწყვეტი პერიოდისთვის შემომენახა ძალები.

**— უახლოესი შეჯიბრება როდის გაქვს?**

— 11 აპრილს ჩემი კლუბის, „ამასია შაქარსპორის“ სახელით მიწევს ასპარეზობა. მერე საქართველოში დავბრუნდები და მოვემზადები მომავალი შეჯიბრებებისათვის.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ღირსებას ისევ შენ დაიცავ?**

— მსოფლიოს ჩემპიონატი აგვისტოში გაიმართება, მანამდე კი დიდი დროა. ბუნებრივია, ყველაფერი მწვრთნელების გადასაწყვეტია და ალბად იქამდე ნაჩვენები შედეგების მიხედვით მიიღებენ გადაწყვეტილებას. მაქსიმალურად შევეცდები საკუთარი შესაძლებლობები სრულად გამოვავლინო. საამისოდ ენთუზიაზმს არ ვუჩივი, საბედნიეროდ, ტრავმებიც არ მაწუხებს.

*თავისი შეგირდების გამოსვლაზე შეფასება მწვრთნელს, ნუგზარ სხირელსაც ვთხოვეთ.*

— ბატონო ნუგზარ, ვილნიუსში ჩვენი ქვეყნის ნაკრების მიერ მოპოვებული სამი მედლიდან, ორი თქვენი შეგირდების წილად მოდის. ალბათ კმაყოფილი ბრძანდებით...

— რასაკვირველია, სასიხარულოა, რომ სამი მედლიდან ორი სწორედ გორის თავისუფალი ჭიდაობის სკოლის აღზრდილებმა მოიპოვეს. მით უფრო, რომ ამჯერად გორელებს მეტი მონაწილე არც გვყავდა გუნდში. შეუძლებელია კმაყოფილი არ ვიყო მალხაზ მუზიაშვილის ბრინჯაოს მედლით. მალხაზი ჯერ 23 წლისაა და ბოლო ორი წელი ტრავმის გამო გაუცდა. ეს ევროპის ჩემპიონატი მისთვის სადებიუტო იყო და პირველივე ცდაზე კვარცხლბეკზე ასვლას ბევრი ვერ ახერხებს. სასიხარულო იყო ბესიკ გოჩაშვილის ვერცხლიც. თუმცა, რომ არა მიუტევებელი შეცდომა, რომელზეც ზემოთ თავად გესაუბრათ, შეიძლებოდა ოქროს მედალიც მოეპოვებინა.

**— ამჟამინდელი ევროპის ჩემპიონატი გამოტოვეს ოთარ თუშიშვილმა და გიორგი გოგშელიძემ. რატომ დაისვენეს?**



ნუგზარ სხირელი

— დასვენებისა რა გითხრათ. ვფიქრობ, ევროპის ჩემპიონატზე მათი არმონაწილეობა სწორი იყო. გოგშელიძე შარშან საქართველოს ჩემპიონი გახდა და ევროპის ჩემპიონატშიც მონაწილეობდა. წლეულს მან საქართველოს პირველობა გამოტოვა, სადაც ჩემპიონი ლუკა კურტანიძე გახდა და კონტინენტის პირველობაზეც ის წავიდა. ცალკე საკითხია, რომ ლუკამ ძველებურად კარგი შედეგი ვერ აჩვენა (ის ხომ ბოლო წლების საქართველოს საუკეთესო ფალავანია), მაგრამ გამორიცხული არაა, ასაკის მიუხედავად, ისევ განაგრძოს 96 კგ-ში ფავორიტობისათვის ბრძოლა, ანუ კონკურენცია გოგშელიძესთან და მსოფლიოს ჩემპიონატზე წამსვლელის ვინაობაც ალბათ ვ. ბალავაძის საერთაშორისო ტურნირზე გაირკვევა. ყოველ შემთხვევაში, ეს ბატონი ზაზა თურმანიძის გადასაწყვეტია. თავისი სიტყვის სათქმელად მზად არის ოთარ თუშიშვილიც. ოთარს ბოლო ხანს ტრავმები ჰქონდა, რომელიც უკვე მოიშუშა. მის წონაში აგერ კიდევ ერთი ფალავანი (ისიც გორელი) მალხაზ მუზიაშვილი გამოჩნდა ევროპის ჩემპიონატზე. აქვე დავამატებდი, რომ 55 კგ-ის უმთავრესი ფავორიტები გოჩაშვილი და ხინჩიგაშვილი აგრეთვე გორის ჭიდაობის დარბაზის აღზრდილები არიან. ეს ფაქტიც გორის ჭიდაობის დარბაზის კარგ მუშაობაზე მეტყველებს...

**ვასილ ბალახაძე**

ძიუდო

# საევროპო ნაკრების შემადგენლობა პარასკევს გაირკვევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლეულს, 24-25 აპრილს, თბილისის სპორტის სასახლე ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის, სხვებთან ერთად, ცხადია, ქართველი სპორტსმენებიც ემზადებიან.

ამას წინათ გაუწყეთ ბაკურიანში ბოლოსწინა შეკრებისას საქართველოს ნაკრებში მომხდარი ინციდენტის შესახებ. 8 აპრილს ჩვენი ძიუდოისტები ბოლო საწვრთნელ შეკრებაზე ბორჯომში ჩავიდნენ. გუშინ ნაკრების მთავარ მწვრთნელს **შოთა ხაბარელს** ტელეფონით შევეხმიანეთ.

— შეიძლება ითქვას, რომ ის ინციდენტი დავიწყებას მიეცა. ბორჯომში მწვრთნელებთან ერთად 55 ძიუდოისტი შეიკრიბა. არ ჩამოსულან მხოლოდ ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი ლაშა გუჯეჯიანი, რომლებიც ამჟამად მკურნალობენ. დანარჩენები მონდომებით ემზადებიან, რათა თბილისში ევროპის ჩემპიონატზე ღირსეულად წარვსდგეთ.

**— წონითი კატეგორიების მიხედვით თუ არის გარკვეული, ვინ იჭიდავებს კონტინენტის პირველობაზე?**

— ზოგ წონაში ყველაფერი ცნობილია, ზოგშიც — დასაზუსტებელია. მომდევნო პარასკევს შემადგენლობა საბოლოოდ გაირკვევა, მას შემდეგ, რაც რამდენიმე წონაში საკონტროლო ორთაბრძოლებს გავმართავთ ნაკრებში ადგილის დასაბევებლად. დარწმუნებული ვარ, თბილისის სპორტის სასახლეში თავს არ შევირცხვენთ.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# ქვაცაბაია ერთეულებში, ჩახნაშვილი წყვილებში

20 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (684) ბელეკის ტურნირის მეოთხედფინალშია. მეორე წრეში საკვალიფიკაციო წრიდან გამოსული ქართველი ამავე წესით მოხვედრილ ბელარუს **იმა ბოჰუშს** (626) შეხვდა და ორ სეტში მოუგო - 7:5, 6:1. მეოთხედფინალში სოფიო ქვაცაბაიას მეტოქე ბერძენი **ირინი გეორგატუს** (717) ეთამაშება, გამარჯვების შემთხვევაში ქვაცაბაია კარიერაში მესამედ გავა ერთეულთა თანრიგის ნახევარფინალში. სოფიომ რუს **ავგუსტა ციბიშევასთან** (730) ერთად წყვილთა თანრიგშიც მოახერხა მეოთხედფინალში გასვლა. მათ მე-3 ნომრად განთესილები, ბრიტანელი **ნატაშა ხანი** (560) და ესპანელი **ლუსია საინს-პელეგრი** (865) დაამარცხეს - 2:6, 6:3, 11:9. ქართულ-რუსული დუეტის შემდეგი მეტოქეები ბელგიელი **სოფი კორნერო** (842) და ფრანგი **ან-ვალერი ევე** (751) იქნებიან. ბელეკის ტურნირში **ეკა გორგოძეც** (602) მონაწილეობდა, თუმცა იგი პირველივე რაუნდში გავარდა, ეკამ სწორედ ავგუსტა ციბიშევასთან წააგო - 5:7, 4:6.

**მაკა ჩახნაშვილი** (215) ესპანეთის ქალაქ მონსონში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში თამაშობს, რომლის საპრიზო ფონდი 75 ათასი დოლარია. მაკამ ერთეულებში მალევე წააგო, მაგრამ იგი წარმატებით ასპარეზობს წყვილთა თანრიგში. მისი მეწყვილე საკმაოდ ძლიერი ჩოგბურთელია, იტალიელი **ალბერტა ბრიანტი** (121), ეს დუეტი კი ტურნირზე მე-4 ნომრად არის განთესილი. ფინალში მაკა და ალბერტა მე-3 ნომრად განთესილებს, ტაივანელ **ი ჩენს** (590) და რუს **ვესნა მანასიევას** (148) ეთამაშებიან. მაკას შურისძიების შანსი მიეცა - ერთეულებში მას სწორედ მანასიევამ აჯობა.



მაკა ჩახნაშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

## გამოიწერეთ ლელო

ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი“
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# აივერსონი: შესაძლოა, უკანასკნელი მატჩი უკვე ვითამაშე



ალენ აივერსონი

1 ივლისიდან ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ნებადართული იქნება თავისუფალ აგენტებთან კონტრაქტების გაფორმება. სწორედ მაშინ შევიტყობთ, ძველებურად აქტუალურია თუ არა NBA-ის კლუბებს შორის 34 წლის **ალენ აივერსონის** პიროვნება მას შემდეგ, რაც წლევანდელ სეზონში 82-დან მხოლოდ 54 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 17.4 ქულა დააგროვა. პირველად 13-წლიანი კარიერის განმავლობაში, NBA-ის ოთხგზის საუკეთესო სნაიპერმა ვერ გადალახა სეზონში საშუალო 20-ქულიანი მაჩვენებელი. ამ მომენტისთვის, მსოფლიო კალათბურთის ვარსკვლავს კარიერის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი აქვს.

## ევროპა

2008 წლის ზაფხულში NBA-დან ევროპაში დაახლოებით ათი კალათბურთელის გადაბარგებამ ის გამოიწვია, რომ კალათბურთის მოყვარულები გულუბრყვილოდ იჯერებდნენ ახალ ამბებს **კობი ბრაიანტისა** და **ლებრონ ჯეიმსის** ევროპულ კლუბებთან ერთწლიანი კონტრაქტების გაფორმების შესახებ. მაშინ კონკრეტული თანხებიც სახელდებოდა - 30-40 მილიონი. მაგრამ დღეისთვის, „ოლიმპიაკოსის“ მფლობელების, ძმებ **ანგელოპულოსების** გარდა, ევროპაში პრაქტიკულად არ დარჩა მსურველი, რომელიც მილიონებს დახარჯავს სპორტის ამ სახეობაში.

მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა ევროპულ კალათბურთს უფრო ავნო, ვიდრე NBA-ს. მიუხედავად ამისა, ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი მოთამაშე, ვინც ოკეანის გაღმა გაეშურება სათამაშოდ, „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ყოფილი მონაწილე იქნება, რომლის კარიერაც ფინიშის სწორზეა გასული. მაგალითად, **სტეფონ მარბერი** ან ალენ აივერსონი. მაგრამ საკითხავია, აინტერესებთ კი მათ ამერიკის ფარგლებს გარეთ თამაში?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, აღმოსავლეთი კონფერენციის ერთი გუნდის გენერალურმა მენეჯერმა აღნიშნა, რომ არ გამორიცხავს აივერსონის ევროპაში გადასვლას. მას ხომ იქ სროლის უფრო მეტი საშუალება ექნება, სათამაშო დროსაც თავზე საყრელად გამოუყოფენ და თაყვანისმცემლებიც მრავლად ეყოლება. აღარაფერს ვამბობთ მრავალმილიონიან კონტრაქტზე. თუ ევროპაში გადასვლის ვარიანტს განვიხილავთ, სავარაუდოდ, მოსალოდნელია ორი ბერძნული სუპერკლუბიდან („ოლიმპიაკოსი“ ან „პანათინაიკოსი“) ერთ-ერთში დისლოკაცია. დანარჩენი კლუბები, უბრალოდ, ფინანსურად ვერ შესწვდებიან კალათბურთელს, რომელიც NBA-ში კარიერაში საშუალოდ 27.1 ქულას აგროვებდა.

## ბოსტონ სელტიქსი

თუ „ბოსტონ სელტიქსი“ წელს ვერ შეძლებს თავისი ტიტულის დაცვას და თუ აივერსონი მოკლევადიანი კონტრაქტის გაფორმებასა და კარიერაში პირველი საჩემპიონო ბეჭდის მიღების შესაძლებლობას დათანხმდება, ეს ვარიანტი სულაც არ მოჩანს უტოპიური. მოსალოდნელია, რომ ამ შემთხვევაში ალენს მაინც მოუწევს თავისი ამბიციების დავიწყება და სათადარიგო მოთამაშის როლთან შეგუება. მაგრამ სწორედ ეს ფაქტორი იქნება მოვლენათა ამგვარი განვითარების ყველაზე დიდი ბარიერი.

ჯერ კიდევ 2006 წლის დეკემბერში, „ბოსტონში“ **რეი ალენისა** და **კევინ გარნეტის** ტრიუმფალური მისვლიდან დიდი ხნით ადრე, **პოლ პირსს** პარტნიორად სწორედ აივერსონის ხილვა სურდა, „სელტიქსის“ გენერალური მენეჯერი **დენი ეინჯი** კი 2001 წლის საუკეთესო კალათბურთელის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი გახლავთ.

თავის მხრივ, TNT-ის მიმომხილველი **დევიდ ოლდრიჯი** მიიჩნევს, რომ აივერსონისთვის უკეთესი იქნება, თუ თავის ძველ მასწავლებელს **ლარი ბრაუნს** დაუბრუნდება და მის გუნდს - „შარლოტ ბობკეტსს“ თავდასხმის ხაზის დალაგებაში დაეხმარება.

## კარიერის დასრულება

სათადარიგოთა სკამზე გატარებული სამი მატჩის შემდეგ, აივერსონმა განაცხადა, რომ ურჩევნია კარიერა დაასრულოს, ვიდრე სარეზერვო კალათბურთელის როლს მოერგოს. გამორიცხული არ არის, რომ ამაყი და ჯიუტი სუპერვარსკვლავი, **ლეთრელ სპრიუელის** კვალს გაჰყვეს და კარიერა ნაადრევად დაასრულოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ იმაზე ნაკლებ ხელფასსა და ცოტა სათამაშო დროს მისცემენ, ვიდრე მას ეკადრება.

აივერსონმა უკმაყოფილება უკვე გამოთქვა და ალბათ, მის გულწრფელობაში ეჭვს აღარ შევიტანთ, თუ ალენის სიტყვებს მოვისმენთ: *„კმაყოფილი ვარ ჩემი კარიერით და იმით, რასაც მივაღწიე. ცხოვრებაში გამიმართლა - ოცნებების ასრულების შესაძლებლობა მომეცა. ნორმალურად აღვიქვამ იმას, რომ შესაძლოა, ჩემი კარიერა სულ მალე დასრულდეს“.*

თუ არსებულ სიტუაციას რეალურად შევხედავთ, აივერსონს (Hoopshype-ის მონაცემებით, 2008-09 წლების სეზონში ალენის ხელფასი 21.9 მილიონ დოლარს შეადგენს) მომავალ სეზონში შემცირებულ ხელფასს შესთავაზებენ - საუკეთესო შემთხვევაში, ეს იქნება 15 მილიონი. მაგრამ ახლა ეს „საუკეთესო შემთხვევა“ ნაკლებად არის მოსალოდნელი, რადგან 34 წლის ვეტერანმა 16 მატჩი ზურგის გაურკვეველი ტრავმის გამო გამოტოვა, შემდეგ სამი მატჩი გამართა და საბოლოოდ, „დეტროიტ პისტონზის“ ხელმძღვანელობას შევეზულება გამოსტყუა.

*„არა მგონია, სეზონებს შორის შესვენებისას აივერსონმა NBA-ის კლუბებს შორის პოპულარობით ისარგებლოს. შესაძლოა, რომელიმე გუნდმა საკუთარ არენაზე დასწრების პროცენტის გაზრდა მოისურვოს, მაგრამ სერიოზული კლუბები ამაზე არ წავლენ“*, - ამბობს დასავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი გუნდის გენერალური მენეჯერი.

თავის მხრივ, მეორე სპეციალისტმა განაცხადა, რომ თუ აივერსონს სასტარტო ხუთეულის წევრობა სურს, მაშინ მისი კარიერა დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ექსპერტი ცდება. ალენი ხომ კალათბურთის ყველა გულშემატკივარს უყვარს.

| ჩიკაგო-ფილადელფია | 113:99 |
|---|---|

22:29, 28:21, 32:22, 31:27

**ჩ**: ბ. გორდონი (24+7 მოხსნა), ტ. ტომასი (24), დ. როუზი (16+8 პასი), ბ. მილერი (15+6 პასი), სალმონსი (14).

**ფ**: ა. მილერი (20), იგუოდალა (19+7 მოხსნა+10 პასი), ლ. უილიამსი (16+3 ჩაჭრა), უ. გრინი (12).

| საკრამენტო-ჰიუსტონი | 98:115 |
|---|---|

33:30, 21:19, 20:35, 24:31

**ს**: ჰოვსი (22+11 მოხსნა), გარსია (17+3 დაფარება), ნოჩიონი (17), ტომპსონი (16+10 მოხსნა), უდრიხი (12).

**ჰ**: არტესტი (26), იაო მინი (20+9 მოხსნა), სკოლა (15+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ვაფერი (13), ბატიე (12), ბრუქსი (10).

| ლეიკერსი-დენვერი | 116:102 |
|---|---|

33:25, 23:31, 32:25, 28:21

**ლ**: ბრაიანტი (33), პ. გასოლი (27+19 მოხსნა), ბინუმი (16+7 მოხსნა).

**დ**: ენტონი (23), სმიტი (19), ნენე (17+10 მოხსნა), ბილაპსი (17+8 პასი), კლეიზა (12+9 მოხსნა).


ეტორე მესინა

# ნიუ ჯერსი მესინას იწვევს

ევროლიგის მოქმედი ჩემპიონის, მოსკოვის ცსკა-ს მთავარმა მწვრთნელმა **ეტორე მესინამ** მომავალ სეზონში, შესაძლოა, „ნიუ ჯერსი ნეტსი“ ჩაიბაროს. NBA-ის კლუბის გენერალური მენეჯერი **კიკი ვანდევეგე** მესინაში „ნეტსის“ ამჟამინდელი მწვრთნელის **ლოურენს ფრენკის** შემცვლელს ხედავს. იტალიელ სპეციალისტს ამ ზაფხულს უმთავრდება კონტრაქტი მოსკოვურ კლუბთან, ფრენკი კი მიმდინარე სეზონის შემდეგ დატოვებს „ნიუ ჯერსის“.

წლევანდელ რეგულარულში „ნიუ ჯერსი“ სუსტად გამოვიდა და პლეი ოფის მიღმა დარჩა. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე მესინას პიროვნებით NBA-ის კიდევ ერთი კლუბი - „ტორონტო რეპტორზი“ იყო დაინტერესებული.

■ ■ ■

სავარაუდოდ, გაისად NBA-ში კიდევ ერთი მწვრთნელის დებიუტს ვიხილავთ. „ბოსტონ სელტიქსის“ საჩემპიონო დაცვის“ შემქმნელი **ტომ ტიბოდო** სეზონის დასრულების შემდეგ „სელტიქსის“ დატოვებასა და ასოციაციის ერთ-ერთი გუნდის გაძღოლას აპირებს. ამ ინფორმაციას „ბოსტონის“ გენერალურ მენეჯერ **დენი ეინჯზე** დაყრდნობით RealGM ავრცელებს.

ეინჯი ამბობს, რომ გასული სეზონის საუკეთესო ასისტენტს მისთვის ერთხელაც არ მიუმართავს ახალი კონტრაქტის გაფორმების თხოვნით, არადა, ტიბოდოს ამჟამინდელ ხელშეკრულებას წლევანდელ ზაფხულს გასდის ვადა. „სელტიქსის“ ხელმძღვანელობას ნიჭიერი მწვრთნელის შენარჩუნება სურს, თუმცა უკვე შეეგუა იმ აზრს, რომ ტომი სხვაგან გადავა და გაისად მთავარი მწვრთნელის რანგში მისი დებიუტი შედგება.

ევროლიგა. 1/4 ფინალი

# ბოლო საგზური ბარსას ერგო


ერსან ილიასოვა

ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირზე - ევროლიგაზე „ოთხთა ფინალის“ ბოლო მონაწილე გაირკვა. „ბარსელონასა“ და „ტაუგრესის“ მეოთხედფინალურ წყვილში ხუთი მატჩის ჩატარება გახდა საჭირო გამარჯვებულის გამოსავლენად.

„ბარსელონას“ საკუთარი მოედნის უპირატესობა ჰქონდა, ამიტომაც ბოლო შეხვედრაში შინ მიიღო მეტოქე. კატალონელებმა კარგად გამოიყენეს ეს ფაქტორი და ნახევარფინალის ბოლო საგზური მოიპოვეს.

მასპინძლებმა ოთხივე მეოთხედი მოუგეს „ტაუგრესს“. ყველაზე დიდ უპირატესობას პირველ 10-წუთეულში მიაღწიეს. „ბარსა“ რვა ქულით გავიდა წინ და აქედან მოყოლებული, მეთოდურად ზრდიდა ქულათა სხვაობას. მეორე მეოთხედში „ბარსას“ უპირატესობა 10 ქულამდე გაიზარდა, მესამეში 14 ქულით დაშორდა მეტოქეს და საბოლოოდ, საფინალო სირენამ კატალონიური კლუბის 16-ქულიანი უპირატესობა დააფიქსირა.

„ბარსელონას“ რიგებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ **ხუან კარლოს ნავარო** და **ერსან ილიასოვა**, რომლებმაც 19-19 ქულა დააგროვეს, ხოლო ამ გუნდის ცენტრმა **დევიდ ანდერსენმა** უნიკალურ შედეგს მიაღწია - მან უკვე მეოთხე კლუბის შემადგენლობაში მოიპოვა „ოთხთა ფინალში“ თამაშის უფლება.

„ბარსელონა“ ევროლიგის ნახევარფინალში მოქმედ ჩემპიონს - მოსკოვის ცსკა-ს შეხვდება. მეორე წყვილში „ოლიმპიაკოსი“ და „პანათინაიკოსი“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს მატჩები 1 მაისს გაიმართება, 3 მაისს ფინალია დაგეგმილი. „ოთხთა ფინალს“ ბერლინი უმასპინძლებს.

■ ■ ■

მეოთხედფინალური ეტაპის დასრულების შემდეგ, ევროლიგის ხელმძღვანელობამ პლეი ოფის საუკეთესო მოთამაშე დაასახელა. MVP-ის ტიტული იტალიური „მონტეპასკის“ ამერიკელმა გამთამაშებელმა **ტერელ მაკინტაირმა** მოიპოვა. მან ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა და თითოში საშუალოდ 29 პირობითი ქულა დააგროვა. თუმცა მისი ეფექტური თამაში საკმარისი არ აღმოჩნდა მეოთხედფინალურ სერიაში „პანათინაიკოსის“ დასამარცხებლად.

სხვათა შორის, მაკინტაირი მთელი 2008-09 წლების სეზონშიც ლიდერობს ეფექტურობის კოეფიციენტით, რომელიც 19.8 ქულას უდრის.

| ბარსელონა-ტაუგრესი | 78:62 |
|---|---|

23:15, 17:15, 18:14, 20:18

**ბ**: ნავარო (19), ილიასოვა (19+10 მოხსნა+4 ჩაჭრა), ლაკოვიჩი (16).

**ტ**: სპლიტერი (19+7 მოხსნა), მიკელი (14+7 მოხსნა), რაკოჩევიჩი (10+4 ჩაჭრა).

# ჩემპიონი ციხეშია

**წარსულში** ცნობილი კალათბურთელი, NBA-ის ორგზის ჩემპიონი **ვერნონ მაქსველი** ციხეში მოხვდა. „ჰიუსტონ როკეტსის“ ყოფილი მცველი ალიმენტის გადაუხდელობაშია დადანაშაულებული - წერს სააგენტო AP.

როგორც კალათბურთელის აგენტი **რობერტ რაში** აცხადებს, სასამართლომ ალიმენტის ოდენობა ჯერ კიდევ მაქსველის კალათბურთელობისას დაადგინა და ახლა, ყოფილ პროფესიონალ სპორტსმენს უჭირს ამ თანხის გადახდა.

■ ■ ■

„გოლდენ სტეიტ უორიორზის“ ფორვარდმა **კორი მაგეტმა** „მინესოტა ტიმბერვულვზთან“ მატჩის შემდეგ გულშემატკივრებს გამოუცხადა, რომ ამ სეზონში მოედანზე აღარ დაბრუნდება.

მაგეტიმ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო შვიდი მატჩიდან ექვსი გამოტოვა. მიზეზი „სან ანტონიოსთან“ შეხვედრაში მიღებული ტვინის შერყევა იყო. 29 წლის კალათბურთელი წლევანდელ სეზონში საშუალოდ 18.6 ქულასა და 5.5 მოხსნას აგროვებდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# რენო უდაბნოში წავიდა

ამ დღეებში ფორმულა 1-ის ფრანგული საჯინიბო „რენო" არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში სარბოლო შოუს მართავს. ამ ღონისძიების ეგიდით გაიმართა სადემონსტრაციო რბოლა ავტოსტრადაზე, რომელიც უდაბნოზე გადის. როგორც „რენოს" პრესსამსახური ირწმუნება, აქამდე მსგავსი რბოლა არც ერთ გუნდს არ გაუმართავს.

*„უდაბნოში რბოლა ახალი გამოცდილებაა ჩემთვის,* - აცხადებს „რენოს" ტესტ-პილოტი **რომან გროსჟანი**. *- ამ ქვეყანაში დრო შესანიშნავად გავატარეთ და ისეთი შოუ დავდგით, რაც აქამდე არავის უჩვენებია".*

*„მსგავს შოუში პირველად ვიღებთ მონაწილეობას,* - ამბობს ფრანგული გუნდის ახალგაზრდა პილოტი **ადამ კანი**, რომელსაც „რენო" საჩვენებელ გამოსვლებში იწვევს. *- უდაბნოში ასფალტი მტვრიანია, მაგრამ გზა იდეალურად სწორია. ამიტომაც, ფორმულა 1-ის ბოლიდით მაქსიმალური სიჩქარე განვავითარეთ. ეს ყველაფერი ძალიან სახალისო იყო".*



■ ■ ■

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) პრეზიდენტმა **მაქს მოსლიმ** მისი ორგანიზაციის ეგიდით გამართულ ჩემპიონატებში ხარჯების შემცირების ახალ გეგმებზე გააკეთა განცხადება.

მოსლის აზრით, ყველა მსხვილი საერთაშორისო სარბოლო სერია - ფორმულა 1, ფორმულა 2, რალის მსოფლიოს ჩემპიონატი და „ტურინგის" კლასის პირველობა - უახლოეს მომავალში ერთი ფირმის საბაზო ძრავებს გამოიყენებს.

ველოსპორტი

# არმსტრონგს დამცველი გამოუჩნდა



ლენს არმსტრონგი

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის (UCI) პრეზიდენტი **პეტ მაკვეიდი** აცხადებს, რომ ფრანგული ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლები „არაპროფესიულად" მოიქცნენ ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონთან - **ლენს არმსტრონგთან** მიმართებაში, როცა ლეგენდარული ველომრბოლი ანტისადოპინგო წესების დარღვევაში დაადანაშაულეს.

2009 წლის მარტის შუა რიცხვებში არმსტრონგს დოპინგტესტი ჩაუტარეს. ფრანგული სააგენტოს მტკიცებით, სპორტსმენმა დაარღვია წესი, რომლის მიხედვითაც, ანალიზების ჩაბარებისას ის მუდმივად დოპინგოფიცრის ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო. როგორც ფრანგები ამბობენ, დოპინგტესტის ჩაბარებისას არმსტრონგი 20 წუთით შხაპის მისაღებად გავიდა. მოგვიანებით, ტესტმა არ დაადასტურა ლენსის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის არსებობა.

მაკვეიდის თქმით, ფრანგულმა ანტისადოპინგო სააგენტომ დოპინგტესტის შესახებ ანგარიში UCI-ში გაიგზავნა, თუმცა ველომრბოლელთა კავშირს ასეთ სიტუაციებთან დაკავშირებით რაიმე გადაწყვეტილების გამოტანის უფლება არ გააჩნია. მაკვეიდმა იმის გამოც გამოთქვა უკმაყოფილება, რომ ანტისადოპინგო სამსახურის ანგარიშის შინაარსი პრესისთვის გახდა ცნობილი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-მონრეალი 5:4 (ო)**

1:0, 2:4, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პ. ბერჟერონი-8 (პანვიკი-19, რეკი-36), 1:1 კოვალიოვი-26 (დანდენო-8), 2:1 კესელი-32 (მ. სტიუარტი-12), 3:1 რეკი-21 (ხარა-31, პ. ბერჟერონი-30), 3:2 დ'აგოსტინი-11 (ა. კოსტიცინი-18, ი. უებერი-1), 3:3 მ. შნაიდერი-9 (პამრლიკი-27, ს. კოივუ-34), 3:4 დ'აგოსტინი-12, 4:4 ხარა-18 (რეკი-37, სავარი-61), 5:4 რეკი-22 (პ. ბერჟერონი-31).

**რეინჯერსი-ფილადელფია 2:1**

2:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ნესლუნდი-24 (კელეჰანი-18, დრური-33), 2:0 კელეჰანი-22 (მორისი-13, დრური-34), 2:1 ბრიერი-10 (მ. რიჩარდსი-49, ტიმონენი-40).

**კაროლინა-ბაფალო 1:5**

0:1, 0:3, 1:1

**გოლები:** 0:1 პომინვილი-18 (კონოლი-27, შაპრეკი-35), 0:2 ელისი-6 (შაპრეკი-36, პეი-14), 0:3 პეხტი-12 (პეი-14), 0:4 პომინვილი-19 (კონოლი-28), 0:5 დ. როი-28 (ბულიტი), 1:5 ე. სტაალი-40 (რეი უიტნი-51, ბაბჩუკი-19).

**ატლანტა-ფლორიდა 2:3**

1:0, 0:1, 1:2

**გოლები:** 1:0 ბოგოსიანი-8 (ვიაჩ. კოზლოვი-49, ენსტრიომი-26), 1:1 ჰორტონი-22 (უეისი-44, ბოუმისტერი-27), 2:1 ბოგოსიანი-9 (რისონერი-14), 2:2 სტილმანი-17 (გ. კემპბელი-19, ჰორტონი-23), 2:3 ბუტი-29 (უეისი-45).

**ოტავა-ნიუ ჯერსი 2:3 (ბ)**

1:0, 0:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 იარკო რუუტუ-7 (ლი-11, ვინჩესტერი-14), 1:1 ჯონტა-20 (შენეჰანი-8, მოტო-14), 1:2 როლსტონი-15 (კლარკსონი-15), 2:2 პიტლი-38 (სპეცა-41, ვინჩესტერი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** პარიზე (ნიუ ჯერსი), ალფრედსონი (ოტავა), შენეჰანი (ნიუ ჯერსი).

**პიტსბურგი-აილენდერსი 6:1**

1:1, 2:0, 3:0

**გოლები:** 0:1 ნილსენი-9 (უეიტი-27, პარკი-17), 1:1 ბუშე-3 (ფედოტენკო-22, მალკინი-77), 2:1 დუპუი-12 (ადამსი-5, გოდარდი-2), 3:1 კუკი-12 (ჯ. სტაალი-26, კენედი-20), 4:1 გერინი-21 (კროსბი-70), 5:1 კროსბი-33 (გონჩარი-12, მალკინი-78), 6:1 კენედი-15 (ბუშე-6, სკუდერი-15).

**ტამპა ბეი-ვაშინგტონი 2:4**

1:1, 0:2, 1:1

**გოლები:** 1:0 სტემკოსი-22 (კონოპკა-1, სენტ ლუისი-50), 1:1 ლეიჩი-21 (ბექსტრიომი-64, გრინი-41), 1:2 ლეიჩი-22 (გრინი-42, ნიულანდერი-24), 1:3 შტეკელი-8 (ბრედლი-6, კ. ოკუანი-4), 2:3 პეტინგერი-7 (ჩერჩურა-5, მიხალიკი-3), 2:4 გრინი-31.

**დეტროიტი-ნეშვილი 3:4 (ბ)**

1:0, 1:1, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 კრონვალი-6 (ზეტერბერგი-41, ჰუდლერი-33), 1:1 ნიკოლი-4 (კოისტინენი-8, დუმონი-47), 2:1 ლიდსტრიომი-16 (რაფალსკი-48, ფილპულა-28), 3:1 ფრანცენი-34 (ზეტერბერგი-42, კლირი-25), 3:2 არნოტი-31, 3:3 დუმონი-16 (ჯონსი-10, არნოტი-24).

**ბულიტები გაიტანეს:** ჰუდლერი (დეტროიტი), კოისტინენი (ნეშვილი), არნოტი (ნეშვილი).

**კოლორადო-დალასი 2:3 (ბ)**

0:0, 1:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ს. სტიუარტი-11 (მაციასი-1, ჰენსიკი-17), 1:1 ბრუნსტრიომი-15 (ლ. ერიქსონი-27, ვიშნევსკი-1), 1:2 ბიგინი-8 (პერიში-6, ფისტრიჩი-4), 2:2 ლაილსი-12 (ჰეიდუკი-32, გალიარდი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ვოლსკი (კოლორადო), ბრუნსტრიომი (დალასი), ჰეიდუკი (კოლორადო), ნილი (დალასი), რიბეირო (დალასი).

**ვანკუვერი-ლოს ანჯელესი 1:0**

0:0, 1:0, 0:0

**გოლი:** 1:0 კესლერი-26 (სუნდინი-19, ედლერი-27).

**სან ხოსე-ფინიქსი 1:4**

0:2, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 აპშოლი-15 (ლომბარდი-31), 0:2 ჟოვანოვსკი-9 (დოუნი-40, ლომბარდი-32), 0:3 ზ. მიხალეკი-6 (მიულერი-23), 1:3 მოენი-7 (გრირი-13, გოკი-9), 1:4 მიულერი-13 (აპშოლი-19, ლინდსტრიომი-11).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| **ჩემპიონატი** | |
| ვულვზი-საუთჰემპტონი | 3:0 |
| რედინგი-შეფილდი | 0:1 |
| **I ლიგა** | |
| საუთენდი-მილტონი | 0:2 |
| როვერსი-ნორთჰემპტონი | 1:0 |
| კარლაილი-ოლდჰემი | 1:1 |
| პიტერბრო-ჩელტენემი | 1:1 |
| იეოვილი-მილუოლი | 2:0 |
| სკანთორპი-ჰადერსფილდი | 1:2 |
| **II ლიგა** | |
| ბერი-შრიუსბერი | 2:1 |
| მორეკამბი-ბრედფორდი | 2:1 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-ტური | 0:2 |
| ბრესტი-დიჟონი | 1:2 |
| შატორუ-რეიმსი | 0:0 |
| კლერმონი-ბულონი | 2:3 |
| სედანი-ბასტია | 1:1 |
| ტრუა-ამიენი | 0:1 |
| ანჟერსი-გინგამი | 0:1 |
| ნიმი-მონპელიე | 2:1 |
| ვანი-მეცი | 1:1 |

| ჰოლანდია | |
|---|---|
| ბრედა-ალკმაარი | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კამბური-ჰელმონდი | 2:0 |
| ექსელსიორი-ემენი | 0:2 |
| დენ ბოში-ვენლო | 0:5 |
| ეინდჰოვენი A-იგლზი | 1:1 |
| ომნივორლდი-აპელდორნი | 0:3 |
| ცვოლე-ტოპ ოსი | 0:0 |
| ჰაარლემი-ფორტუნა | 2:0 |
| მაასტრიხტი-როსენდალი | 4:1 |
| ვაალვიკი-ტელსტარი | 3:0 |
| ვეენდამი-დორდრეხტი | 0:4 |

| ბელგია | |
|---|---|
| რუზელარე-გენკი | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ლიერსი-ბევერენი | 3:2 |

| პორტუგალია | |
|---|---|
| ბრაგა-მარიტიმუ | 1:1 |
| ფერეირა-გიმარაეში | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ავეში-ბეირა მარი | 1:0 |

| დანია | |
|---|---|
| ნორდსილანდი-რანდერსი | 6:1 |
| ვეილე-მიდტიულანდი | 2:3 |

| შვედეთი | |
|---|---|
| ბრომაპოიკარნა-ჰაკენი | 2:0 |
| ჰალმსტადი-ტრელებორგი | 1:1 |
| ერებრუ-ელფსბორგი | 0:1 |

| ავსტრია | |
|---|---|
| მატერსბურგი-ალტახი | 5:4 |
| **II დივიზიონი** | |
| ავსტრია A-სტ. პოლტენი | 1:1 |
| ლუშტენაუ-ადმირა | 3:0 |
| გრატკორნი-ავსტრია (ლ) | 1:7 |
| ზალცბურგი A-ლეობენი | 4:0 |
| ფოკლაბრუკი-გრიოდიგი | 2:3 |

| თურქეთი | |
|---|---|
| ქოჯაელი-ბეშიქთაში | 1:3 |
| **II დივიზიონი** | |
| მანიშა-გირეშუნი | 3:1 |

| ირლანდია | |
|---|---|
| ბრეი-დანდალკი | 1:1 |
| შემროკი-კორკი | 1:1 |
| დერი-სლიგო | 1:2 |
| დროგედა-გალვეი | 0:1 |

| უელსი | |
|---|---|
| ტნს-ქერსოუსი | 4:0 |

| კვიპროსი | |
|---|---|
| აპოლონი-ეთნიკოსი (ა) | 2:0 |
| დოხა-აპოპ | 3:2 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| **II დივიზიონი** | |
| დუკლა-იჟლავა | 2:1 |

| რუსეთი | |
|---|---|
| კრილია-ხიმკი | 3:0 |

| [illegible] | |
|---|---|
| დიორი-მეცი | 3:1 |
| **[illegible]** | |
| კლუჟი-გლორია (ბის) | 2:2 |
| სტიაუა-ფარული | 1:1 |

| ბულგარეთი | |
|---|---|
| ვიჰრენი-ბელასიცა | 4:1 |

**კალათბურთი**

| საფრანგეთი | |
|---|---|
| პავრი-ვიში | 54:77 |
| ვილერბანი-ორლეანი | 71:59 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ლოკომოტივი-აკ ბარსი | 2:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| სკალიცა-კოშიცე | 2:2 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-იუვიასკიულა | 0:1 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-კარლოვი ვარი | 3:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. კასაბლანკა | |
|---|---|
| ჟილი-მონტანიესი | 6:7, 4:6 |
| ფერერო-ჰანესკუ | 6:3, 7:5 |
| სერა-გაბაშვილი | 6:0, 6:4 |
| ანდრეევი-ჟიკელი | 6:1, 6:3 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| ოდესნიკი-ისნერი | 7:5, 3:6, 7:6 |
| ჰაასი-ფაუ | 3:6, 6:3, 3:6 |
| **WTA. მარბელია** | |
| მ. გარიგესი-ერანი | 6:2, 6:7, 7:5 |
| იანკოვიჩი-ვინჩი | 3:6, 6:3, 7:6 |
| კანეპი-კირსტეა | 4:6, 6:2, 5:7 |
| ს. ნავარო-ზაკოპალოვა | 6:1, 6:2 |
| **WTA. პონტე ვედრა** | |
| პაშეკი-ვოზნიაკი | 3:6, 6:3, 6:7 |
| პეტროვა-ა. ბონდარენკო | 4:6, 6:3, 7:6 |

TV პროგრამა

**11 აპრილი. შაბათი**

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.
13:00 იმედის ფსონი.
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-მალაგა (LIVE).

**I არხი**

16:15 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:15 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ესტუდიანტესი (არგენტინა)-კრუზეირო (ბრაზილია).
08:05 საფეხბურთო კლუბი.
09:00 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
09:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
10:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ბაიერნი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 საფეხბურთო კლუბი.
13:15 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
14:20 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:50 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
15:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ბლექბერნი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-არსენალი (LIVE).
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბოლტონი.
21:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეკრეატივო (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-მალაგა (LIVE).
01:55 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ.
03:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. ოსერი-ბორდო.
05:30 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 ბრძოლა წესების გარეშე.
11:10 ახალი ამბები.
11:20 ჰოკეი.
12:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა თასი. სეზონის მიმოხილვა.
13:00 სპორტული დღე.
13:45 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. მოსკოვი-სპარტაკი (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ესპანეთი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
19:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აინტრახტი.
21:45 ახალი ამბები.
21:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ვესტ ჰემი.
23:45 სპორტული საღამო.
00:15 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ბრედფორდი-ლიდსი.
02:00 კალათბურთი. NBA მოკლედ.
02:50 ახალი ამბები.
03:00 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-ვაშინგტონი (LIVE).
05:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. +75 კგ. კაცები. 105 კგ. რუმინეთი.

**EUROSPORT**

01:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ჰამბურგი-მანჩესტერ სიტი.
13:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვერდერი-უდინეზე.
14:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. +75 კგ. რუმინეთი (LIVE).
15:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ჰამბურგი-მანჩესტერ სიტი.
16:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 94 კგ. რუმინეთი (LIVE).
17:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 105 კგ. რუმინეთი (LIVE).
19:00 ბილიარდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბელგია.
21:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. +75 კგ. რუმინეთი.
22:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 105 კგ. რუმინეთი.
23:00 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. კანადა (LIVE).
02:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საჩვენებელი გამოსვლები. ლოს ანჯელესი. აშშ.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ავსტრალია.
11:00 ახალი ამბები.
11:30 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. პოლო დე ბარსელონა (ესპანეთი)-რედინგი (ინგლისი). გერმანია (LIVE).
13:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
13:30 კალათბურთი. ევროლიგა. ტელეჟურნალი.
14:00 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. როტერდამი (ჰოლანდია)-გრუნვალდი (პოლონეთი). გერმანია (LIVE).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. V ტური. ჰიროშიმა-კაშივა.
17:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი (LIVE).
18:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXVI ტური (LIVE).
20:30 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. 1/8 ფინალი. ამსტერდამი (ჰოლანდია)-ვატერლოო დაკსი (ბელგია). გერმანია.
21:45 ახალი ამბები.
22:15 სერფინგი. ავსტრალია.
22:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი.
23:45 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. V ტური. ჰიროშიმა-კაშივა.
00:45 სერფინგი. ავსტრალია.
01:00 ხელბურთი. საფრანგეთის ლიგის თასი. ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).
02:45 სერფინგი. ავსტრალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ავსტრალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ავსტრალია.
05:00 ახალი ამბები.

**12 აპრილი. კვირა**

**იმედი**

13:00 იმედის ფსონი.

**I არხი**

16:15 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:30 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ვესტ ჰემი.
08:20 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აინტრახტი.
10:10 ინგლისის ჩემპიონატი. სანდერლენდი-მანჩესტერ იუნ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეკრეატივო.
14:15 ინგლისის ჩემპიონატი. ვიგანი-არსენალი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:55 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ევერტონი (LIVE).
19:05 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ფულჰემი (LIVE).
21:05 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვერდერი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ატლეტიკო (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-ბოკა ხუნიორსი.
03:00 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰამბურგი.
04:45 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ევერტონი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 კარატე. რუსეთის ჩემპიონატი.
10:00 პროფესიული კრივი. პოლ უილიამსი-ვინკი რაიტი.
12:00 ახალი ამბები.
13:10 სპორტული დღე.
13:55 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. რუმინეთი (LIVE).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-ვაშინგტონი.
18:00 ფიგურული სრიალი. SKATY FOR THE HEART.
18:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰამბურგი (LIVE).
20:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ხეტაფე (LIVE).
22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მონაკო (LIVE).
01:00 ახალი ამბები.
01:30 აფროსნობა. VOLVO OCEAN RACE.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.
04:30 ახალი ამბები.

**EUROSPORT**

10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. პეკინი.
12:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. +75 კგ. რუმინეთი.
13:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 105 კგ. რუმინეთი.
14:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. +105 კგ. რუმინეთი (LIVE).
16:00 ველოსპორტი. პარიზი-რუბე (LIVE).
19:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 105 კგ. რუმინეთი.
21:00 ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. მე-3 ადგილისთვის. კანადა (LIVE).
23:00 პროფესიული კრივი. ევროპის ჩემპიონატი. სუპერსაშუალო წონა. კ. მურატი (გერმანია)-ვ. სანავია (იტალია. გერმანია.
01:00 ბრძოლა წესების გარეშე.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. ავსტრალია.
11:00 ახალი ამბები.
11:45 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
14:00 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. გერმანია (LIVE).
15:30 ახალი ამბები.
15:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი.
16:30 ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. გერმანია (LIVE).
18:00 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. V ტური. ჰიროშიმა-კაშივა.
18:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი (LIVE).
20:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი.
21:30 ახალი ამბები.
21:45 სერფინგი. ავსტრალია.
22:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXVI ტური.
23:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
00:30 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი.
01:45 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. ავსტრალია.
03:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. ავსტრალია.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. ავსტრალია.
05:00 ახალი ამბები.

ჩოგბურთი

# ნადალმა ბალახის სეზონი დაგეგმა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** ჟურნალისტებს თავისი სამომავალო გეგმები გააცნო.

ამერიკული მასტერსების შემდეგ, საჩოგბურთო კალენდარში თიხნარის სეზონის დრო დადგა, რომელიც ივნისის დასაწყისში საფრანგეთის ღია პირველობით დასრულდება. ამის შემდეგ, ჩოგბურთელები ბალახის კორტებზე გადაინაცვლებენ და უიმბლდონისთვის მზადებას დაიწყებენ.

ესპანელმა ჩოგბურთელმა გამოაცხადა, რომ უიმბლდონამდე ლონდონში, „ქუინზ ქლაბის" ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. აქ ნადალს შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა მოუწევს. 2008 წელს, „ქუინზ ქლაბის" ფინალში რაფამ **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ორ სეტში დაამარცხა, ხოლო შემდეგ უიმბლდონზე ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია. ნადალი წელსაც ანალოგიური გზის გავლას აპირებს.

*„ყოველთვის სასიამოვნოა იქ დაბრუნება, სადაც ერთხელ უკვე იყავი ჩემპიონი. მე მიყვარს ეს ორი ტურნირი - „ქუინზ ქლაბი" და უიმბლდონი და აქ მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩასვლა ჩემთვის ახალი გამოცდილება იქნება"*, - ამბობს 22 წლის ნადალი.

აღსანიშნავია, რომ ნადალი 2005 წლიდან ლონდონის ტურნირის უცვლელი მონაწილეა. წლევანდელი „ქუინზ ქლაბი" 8 ივნისს, როლან გაროსის დასრულების შემდეგ აიღებს სტარტს.

რაფა ჯერჯერობით ბრწყინვალე სეზონს ატარებს. წელს მის ანგარიშზე 26 მატჩში მოპოვებული 23 გამარჯვება მოდის. ესპანელმა ორი დიდი ტურნირის მოგება მოასწრო - მან ავსტრალიის ღია პირველობისა და ინდიან უელსის მასტერსის მთავარი პრიზები მოიპოვა.


რაფაელ ნადალი (მარცხნივ)

რაც შეეხება ესპანელის უახლოეს გეგმებს, ის მომავალ კვირას მონტე კარლოს მასტერსში ჩაებმება. მანამდე კი მსოფლიოს პირველი ჩოგანი თავისი საყვარელი საქმიანობით არის დაკავებული, კერძოდ, მალიორკაში გოლფის თამაშით ირთობს თავს.

თუ წინა შემთხვევაში ნადალმა პარტნიორად სერბი ჩოგბურთელი **ანა ივანოვიჩი** აირჩია, ამჯერად ის თავის მეგობარ **ტომეო სალვასთან** ერთად თამაშობდა.

# შარაპოვა: არ ვიცი, როდის დავბრუნდები!

გუშინ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **მარია შარაპოვა** ლოს ანჯელესში, კომპანია Cole Haan-ის მიერ მოწყობილ ვახშამს დაესწრო. სალამოს ბევრი ცნობილი ადამიანი სტუმრობდა, თუმცა საყოველთაო ყურადღება სწორედ რუსი ჩოგბურთელისკენ იყო მიპყრობილი.

ყველას აინტერესებდა, როდის დაუბრუნდება მარია აქტიურ სპორტულ ცხოვრებას. ამ შეკითხვას შარაპოვამ ასეთი პასუხი გასცა: *„ჩემ მიერ დათქმული დაბრუნების ყველა თარიღი მცდარი აღმოჩნდა, ამიტომაც წინასწარ არაფრის თქმას ვაპირებ. არ მინდა, ჩემს გულშემატკივრებს ფუჭი დაპირებები მივცე".*


მარია შარაპოვა

# ანამ ნიშნობის ბეჭედი წარმოადგინა

ამერიკაში პოპულარულმა რუსმა ჩოგბურთელმა **ანა კურნიკოვამ** საქველმოქმედო აქციაში მიიღო მონაწილეობა - ტრიატლონში სცადა ბედი. ფინიშზე მისვლის შემდეგ კი ჟურნალისტების წინაშე ნიშნობის ბეჭდით მოიწონა თავი.

კურნიკოვა KSwiss-ის შემადგენლობაში შედიოდა. მის გუნდში ირიცხებოდნენ პროფესიონალი ტრიატლონისტები - **ლეანდა კეივი** და **კატია მაიერსი**, რომლებმაც პირველ ორ ეტაპზე იასპარეზეს, ანას კი 4 მილზე სირბილი ერგო. მომღერალ **ენრიკე იგლესიასის** შეყვარებულმა ამოცანას თავი კარგად გაართვა და თავის გუნდს გამარჯვება გაუფორმა. KSwiss საპრიზო ფონდს ბავშვთა საავადმყოფოს გადასცემს.

ბოლოს იახტაზე სალამო გაიმართა და სწორედ იქ დაიტრაბახა კურნიკოვამ ახალი ბეჭდით. საზოგადოებამ ამ ფაქტისგან მარტივი დასკვნა გამოიტანა - ენრიკემ ანას ხელი სთხოვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**





ანა კურნიკოვა


როჯერ ფედერერი

# როჯერი მონაკოში ითამაშებს

მონტე კარლოს მასტერსზე ATP-ის ტურის თითქმის ყველა ვარსკვლავი მოიყრის თავს. ბოლო მომენტამდე გაურკვეველი რჩებოდა მსოფლიოს მეორე ჩოგანის, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერის** საკითხი. თავდაპირველი გეგმის მიხედვით, ჩოგბურთელი არ აპირებდა მონაკოში ჩასვლას, მაგრამ ბოლოს თამაში გადაწყვიტა და მოასწრო ტურნირის ორგანიზატორებისგან სპეციალური მიწვევის (უაილდ-ქარდი) მიღება.

ტურნირის დირექტორმა **ჟელკო ფრანულოვიჩმა** აღიარა, რომ მას ბოლო მომენტამდე ჰქონდა ფედერერის იმედი და ბედნიერია იმით, რომ როჯერმა მონაწილეობაზე შეიტანა განაცხადი. აღსანიშნავია, რომ როჯერს მონტე კარლოს ტურნირი არასოდეს მოუგია. ის სამჯერ იყო ფინალში, მაგრამ სამივეჯერ **რაფაელ ნადალთან** წააგო. უკანასკნელად ეს 2008 წელს მოხდა. სხვათა შორის, ესპანელს შანსი აქვს ეს ტურნირი ზედიზედ მეხუთედ მოიგოს.

წელს მონტე კარლოში ATP-ის რეიტინგის 10 საუკეთესო ჩოგბურთელიდან ცხრა გავა კორტზე: ნადალი, ფედერერი, **ნოვაკ ჯოკოვიჩი, ენდი მიურეი, ხუან მარტინ დელ პოტრო, ჟილ სიმონი, ფერნანდო ვერდასკო, ნიკოლაი დავიდენკო** და **გაელ მონფილსი**. მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი **ენდი როდიკი** ამ ტურნირს გამოტოვებს.

# ფერერო წასვლას აპირებს

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ხუან კარლოს ფერერო** პროფესიული ჩოგბურთიდან წასვლაზე დაფიქრდა. თუმცა ესპანელი არ აპირებს დიდი ჩოგბურთის დაუყოვნებლივ დატოვებას.

*„ჩოგბურთში 11-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, მოტივაცია აღარ გამაჩნია"*, - მოჰყავს ფერეროს სიტყვები გაზეთ „მარკას".

ხუან კარლოსმა დაამატა, რომ ჩოგბურთიდან წასვლის შემდეგ, სურვილი აქვს ახალგაზრდობას გაუზიაროს გამოცდილება, მონაწილეობა მიიღოს ვალენსიას ტურნირის ორგანიზებაში და ამავე ქალაქში საკუთარი სასტუმროს მართვას ჩაუდგეს სათავეში. ფერერო წარმოშობით ვალენსიადანაა.

ესპანელს ATP-ის ტურში 11 ტიტული აქვს მოპოვებული, მათ შორის შედის გამარჯვება როლან გაროსზე. დღეს 29 წლის ჩოგბურთელი 115-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში.


ხუან კარლოს ფერერო

# ჯოკოვიჩის მახვილი თვალი


ნოვაკ ჯოკოვიჩი

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** ერთადერთი ჩოგბურთელი აღმოჩნდა მსოფლიოში, რომელიც სისტემა Hawk-Eye-ის („მახვილი თვალი") გამოყენებისას, ნახევარზე მეტჯერ მართალი აღმოჩნდა. ამ ინფორმაციას Tennis Australiaავრცელებს.

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (ATP) და ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ (WTA) ერთობლივი კვლევა ჩაატარეს მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ გასულ კვირას, მაიამის ტურნირის მსვლელობისას ჩოგბურთელებმა Hawk-Eye-ის საშუალებით დაახლოებით ათიათასჯერ გადაამოწმეს მსაჯების გადაწყვეტილება. აღმოჩნდა, რომ 2006 წლიდან მოყოლებული, მამაკაცებმა 6279-ჯერ გამოიყენეს ელექტრონული სისტემა და მხოლოდ 35 პროცენტის შემთხვევაში იყვნენ მართლები. ქალებს შორის ანალოგიური მაჩვენებელია - 3693 და 36 პროცენტი.

სერბი ჯოკოვიჩი მსაჯების გადაწყვეტილების გაპროტესტებისას, ნახევარზე მეტჯერ (55 პროცენტი) მართალი გამოდგა. ამ მხრივ, ის მამაკაცთა ტურში ერთადერთი ჩოგბურთელი აღმოჩნდა. **როჯერ ფედერერი** Hawk-Eye-ის სისტემას 39-პროცენტიანი წარმატებით იყენებდა, **ენდი მიურეის** ანალოგიური მაჩვენებელი კი 25 პროცენტს შეადგენს.

